# ივერია

1881

№ II, თებერვალი.

თბილისი
ექვთიმე ხელაძის სტამბა
1881

## შინაარსი:


I აჩრდილი, პოემა ილია ჭავჭავაძისა . . . . . . 3

II ვეკფილდის მოძღვარი, რომანი ოლივერ გოლდსმიტისა (შემდეგი) . . . . . . . . . . . 20

III *** (ლექსი) . . . . . . . . . . . 76

IV ჩემს ლექსს (ლექსი) იორდანესი . . . . . 77

V მარილი . . . . . . . . . . . . 79

VI გამოსალმება.— სასოწარკვეთილება. — გამოფხიზლება, (ლექსები), აკაკისა . . . . . . 93

VII დედა მაია, მოთხრობა სოფ. მგალობლიშვილისა 98

VIII თეატრი, გ. თ—მ—ისა . . . . . . . 130

IX ახალი წიგნები . . . . . . . . . . 141

X შინაური მიმოხილვა . . . . . . . . 147

XI განცხადება (ყდაზედ).

# ივერია

## საპოლიტიკო და სალიტერატურო ჟურნალი.

---

წელიწადი მეხუთე.

**№ II**

5989

ბიბლიოთეკა-მუზეუმი
Библиотека-Музей
имени
акад. И. Гришашвили
Академия наук

თბილისი.
ექვთიმე ხელაძის სტამბა, ატამანის ქუჩაზე.
**1881**



Дозволено цензурою, Тифлисъ 2 Января 1881 г.

# აჩრდილი.

ვუძღვნი ივ. პოლტარაცკის და ილია წინამძღვრიშვილს.

«რა ვარდმან მისი ყვავილი გაახმოს დაამჭკნაროსა,
იგი წავა და სხვა მოვა ტურფასა საბაღნაროსა.»

შოთა-რუსთაველი.

## I

აღმობრწყინდა მზე დიდებულათა
და განანათლა ქვეყანა ბნელი;
კავკასის მთების წვერთა მაღალთა
ზედ გარდაჰფინა ოქროს ნათელი.
აღმოჩნდა მთების ზემოდ მყინვარი,
ცისა და ქვეყნის შუა დაკიდული,—
იგივ დიადი, იგივ მძვინვარი,
იგივ დიდებულ და დადუმებულ.
ქვესკნელით ძალთაგან იგი მთა მედგრად
ცის გასარღვევად აღმოზიდულა,
მაგრამ მის ბრძოლა ცაში უეცრად
თითქო განგებით შეჩერებულა.
მისი ყინულით ნაკვეთი თავი
მოირთო მზისა ოქროს სხივებით;
ქვეყანას მშიშარს მის ფრთეთა ზვავი
დაჰსცქერის რისხვით და მუქარებით,—

თითქო ელისო განკითხვის დღესა
რომ იგრიალოს, წარმოიქუხოს,
ხმელეთს დაეცეს, მერმედ ქვესკნელსა;
თვითც დაიღუპოს, ისიც დაღუპოს.

## II

მაგრამ ისეთი მშვიდი, ნარნარი
იყო იმ დღისა ლამაზი დილა,
რომ თვით მყინვარის რისხვა და ზარი
იმ დილის მადლსა დაემორჩილა.
ქვეყანაც იყო დაყუდებული,
თითქო დუმილით ყურს უგდებს ცასა,—
და ცაც უღრუბლო და მხიარული
გადმოაფენდა მადლს ქვეყანასა.
ხოლო კი ჩემი უნდო გონება
არ მოიხიბლა იმ დილითაცა...
«ნუ გჯერსო, მითხრა, ეს მყუდროება,
«ტყუისო ცაცა და ქვეყანაცა!
«ამ გვარი დილა ქვეყანას ბედ-კრულს
«ბევრჯერ სხვა დროსაც გაჰსთენებია,
«მაგრამ არც ერთხელ მის გულსა ვნებულს
«მადლი ცისა არ მიჰკარებია.
«სულ ტყუილია, რასაც ეხლა ჰგრძნობ...
«ქვეყნის დრტვინვაა დაუძინარი,—
«ღრმად ჩააკვირდი მის დუმილს და ჰსცნობ
«თვით მაგ დუმილში რა წყევლა არი!...»

## III

ბოლოს კი დილის სიტკბოებამა
მეც განმიფანტა ეჭვთა დრუბელი,
და ყოვლად მხსნელმა სასოებამა
მომცა ნუგეში მაცხოვნებელი.
ამა ნუგეშით აღძრული სული
აღმევსო ნელის სიხარულითა;
ეჭვთაგან წინად გვემული გული
განცხოველდა წმიდის სიყვარულითა ;
გარდმომევლინა ყოვლად შემძლები
ქვეყნისა ამის სიკეთის რწმენა ,
აღმიფრთოვანნა მან ოცნებები
და განმიწმინდა ხედვა და სმენა.
მეწვივნენ იგი უცხო ხილვანი ,
სავსენი ლხენით, ნეტარებითა, —
რომელთაც წარაქვთ კაცთ გულის-თქმანი
საიდუმლობის მაცდურებითა .

## IV

და მომევლინა მე კაცი დიდი
მყინვარზე მდგომი მოხუცებული;
ვითა ქვეყანა ისც იყო მშვიდი,
უძრავი, უხმო, დაფიქრებული.
მარჯვენა ხელით ეჩრდილნა თვალნი

ყურად-ღებითა შორს გაჰყურებდა,
მის გარეშემო შვენოდეს მთანი
და მათ ყვრისთა-ქვეშ თერგიც გაჰყეფდა.
თერგი მრისხანე, თერგი ბდღვინვარე
ქაფისა ზვირთითა მიაქანებდა,
ვით შმაგი ლომი დაჭრილი, ცხარე
რბოდა, ბღაოდა, მიღრიალებდა,
ჰსჭექდა და ჰქუხდა; კლდენი და მთანი
თვის მაშფოთვარს შვილს გადმოჰყურებდენ
და მის ბღავილთან მათი ყრუ-ხმანი
ხეობაში მგზავრს აშინებდენ.
იქით შორს ჰსჩანდენ მინდორნი, ტყენი
და იმათ შორის არაგვიც ჩვენი...

V

ჩვენო არაგვო! რა რიგ მიყვარხარ!
ჩვენის ცხოვრების მოწამედ შენ ხარ;
შენს კიდეებზედ ჩემი მამული
იყო ერთს დროსა გამშვენებული;
ჩემის ქვეყნისა დიდება ძველი
შენთა თვალთა-წინ აყვავებულა,
მიყვარხარ მისთვის, რომე ქართველი
აქ-შენს კიდეზედ დაბადებულა.
შენთა ზვირთთა შორის ჩემის ქვეყნისა
გმირი მოთხრობა დამარხულია
და წმიდა სისხლი ქართველებისა

შენს კიდეებზედ გადასხმულია.
იქ, სადაც შენსა წმიდასა წყალსა
შეურევ მღვრიეს და მდოვრსა მტკვარსა,
იქ ერთხელ ქართვლის სიცოცხლე დუღდა,
იქ მამულისთვის ქართვლის ხმა ჰქუხდა.
შენს ზვირთებს გაჰყვნენ საუკუნენი
და საუკუნეთ — იგი ქართველნი!...
გულ-ხელ-დაკრეფილით შენსა წმინდას წყალს
რამდენჯერ ტანჯვით ვადევნებდი თვალს!...
რას ვეძებდი მე? ჩემ-ქვეყნის წარსულს,
შენ წინ დაღუპულს ჩემს ძველს მამულსა,
და მარტო სისხლი ჩემს თვალს დაღალულს
აძლევდა გულის - საკლავს პასუხსა!...

## VI

მაგრამ საკუთრად არცა არაგვმა,
არც თერგმა, არც ტყემ და არცა მთამა
არ მიიზიდა მოხუცის თვალი,
მთიდამ ამაყად გადმომზირალი, —
სრულ საქართველო მოჩანდა შორსა...
იგი მოხუცი მას დააცქერდა;
ქვეყნის მარგალიტს მაგა ობოლსა
სიყვარულითა იგი დამზერდა.
საიდამა ხარ? რამ მოგავლინა,
ჰოი საკვირველო კაცო, მითხარი?
რად დაგიგდია შენ შენი ბინა

და ამა მთაზედ რისთვის ხარ მდგარი?
და რა ვჰსთქვი ესა, მსწრაფლვე მომესმა
იმა მოხუცის დიდებული ხმა:

## VII

«მარად და ყველგან, საქართველოვ, მე ვარ შენთანა!...
მე ვარო შენი თანამდევი უკვდავი სული.
«შენთა შვილთ სისხლით გული სრულად გარდამებანა,
ამ გულში მე მაქვს შენი აწმყო, შენი წარსული.
მეცა ვტანჯულვარ, ჰოი ბედ-კრულო, შენის ტანჯვითა,
შენისა ცრემლით თვალნი ჩემნი მიტირებია,
მეც წარტყვევნილვარ წარსულთ დღეთა შენთა ნატვრითა,
შენის აწმყოთი სული, გული დამწყლულებია.
წარვლილთა დღეთა შენთა მახსოვს დიდებულება,
ვიცი, რომ იყავ ერთხელ შენცა მორჭმულ-ძლიერი,
შენცა გფენია ქვეყნის მადლი—. . . . .
ესლა აღგვილა ყველა ესე ვითარცა მტვერი...
და მესა შენსა დღეს არც კი ჰსწამს . . . .
განწირულების შთაჰსდგომია მას გულში წყლული,
მას დაჰკარგვია ტანჯვათ შორის შენდამი რწმენა
და დაუგდიხარ ვით ტაძარი გაუქმებული.
ვიდრე მე შენი არ განიკვლევს ზოგადს ცხოვრებას
და მცნების ნათლით ზე-აღზიდულ, ამაღლებული
ჭკვით არ განჰსჭვრიტავს საზოგადო ცხოვრების დენას,
იმ დრომდე იგი უიმედო, შეწუხებული
უქმისა დრტვინვით, გულის-წვითა მწარე ცრემლს დაღვრის,

მაგრამ არ ირწმენს, წამებულო, შენს . . . . . . .
და იგი ცრემლი ურწმენობის, ეჭვის და ტანჯვის
ღაღადებს მხოლოდ მისა შენის უძლურებასა.»

## VIII

„აქ ყოველს დიდსა, თუ პატარასა
ქვეყნის ტკივილით არ ჰსტკივა გული...
დაჰვიწყებია, რომ ქვეყნად ცასა
ღვთად მოუცია მარტო მამული;
დაჰვიწყებია, რომ დიდი არი
ღვთისა წინაშე იგი ცხოვრება,
რომელიც ქვეყნის წვითა დამწვარი
ქვეყანასავე შეეწირება.
წმინდაა იგი, ვისაც ელირსა
მამულისათვის თავის-დადება!...
ნეტა იმ ვაჟ-კაცს, ნეტა იმ გმირსა,
ის თავის ხალხში აღარ მოჰკვდება.
მას განაცოცხლებს სიმღერა ხალხთა,
შორს საუკუნეთ ეტყვის მის სახელს
და არა ერთხელ ჭაბუკთა-ყრმათა
ხმლის ტარზედ ძლიერს აუთრთოლებს ხელს;
იმ სიმღერას რა ისმენს მხცოვანი,
სიბერის ჟამსა კვლავ მოიგონებს,
გმირის სიკვდილი სახელოვანი
ახლად ცხოვრებას მას მოანდომებს;
აკვანზედ დედა უმღერის შვილსა

ტკბილისა ხმითა იმ სიმღერასა,
და თუ ინატრებს რასმეს მისთვისა—
ინატრებს გმირის მის დიდებასა;
და უფრო ხშირად იმღერს ქალწული,
გმირს მოიგონებს და გამხნევდება,—
ყოველი იმღერს და სხვა მორჭმული
გმირი იმ მღერით დაიბადება.

## IX

„მაგრამ, ქართველნო, სად არის გმირი,
რომელსაც ვეძებ, რომლისთვისაც ვჰსტირი?
იგი აღარ გყავთ... მის მოედანი
ჯავით აღვსილა, ვერანად ქმნილა,
გმირის დამბადი დიდი საგანი
თქვენში სპობილა და წარწყმედილა.
გადაჰსდგომიხართ თქვენ ქართველობას,
დაგინგრევიათ დიდი მამული,—
რაღა დაჰბადავს თქვენში დიდს გრძნობას?
რითი აღტყინდეს ქვეყნისთვის გული?
თქვენ-გარს მადლითა სავსეს ბუნებას
შეუკრეფნია ყოველი-ფერი,
რომ მიჰსცეს თქვენში ზრდა დიდს ცხოვრებას,
ჰყოს იგი ძლიერ და ბედნიერი.
ვიშ, ეს ქვეყანა, ხმელეთის თვალი,
დიდის სამოთხის კუთხე პატარა
ქედ-მოდრეკილა ნაღველით საწყალი,

რომ მისი ტრფობა თქვენში შემწუდარა,
რომ დაგიგდიათ უმწედ, უსუგეშ,
თქვენის სიავით დაწყლულებულა,
თქვენგან გმობილი უცხოს კალთის-ქვეშ,
ვით ობოლი, შეფარებულა.

## X

ხოლო აქაც კი ვრდომილთ შორისა
ღვთის ნაპერწკალი ზოგჯერა ჰკრთების,
ქვეყნის წარსდომას გული ზოგისა
შეებრძვის და არ ემორჩილების,
მაგრამა ლალვა, შური და მტრობა
იმ ზოგთა შორისც ღრმად ჩანერგულა,
ამა ჭირთაგან მათი მხნეობა
აღძვრისა უმალ გაცუდებულა.
აგერ ორ-სამს კაცს რაღაც უგრძვნიათ,
ქვეყნისა სახსრად ერთად მოდიან,
ერთის საქმისთვის გაუღვიძნიათ,
მაგრამ ერთმანეთს არ ენდობიან.
ერთმანეთისა მათ სიკეთე ჰშურთ,
თუმც ერთისათვის თითქო იღვწიან;
თვით ამხობენ მას, რას აღადგენაც სურთ,
თვით შველიან მას, რასაც ებრძვიან.

## XI

„აგერ უღელი და მისი მონა *)
თრთოლით სასწორზედ ხარჯს უწონს მნელსა
და, რა დაჰსწორდა სასწორზედ წონა,
უფალი პინას ზედ ადგამს ფეხსა
და მით მის ხარჯსა ერთი-ორად ხდის...
მონამ მწუხარედ გულს განიღიმა,
უმწეობითა თავის ხარჯსა ჰზრდის
და საწყლის თვალთგან ცრემლმა იწვიმა.
მაგრამ ქვა არის ბატონის გული,
ვერ დაარბილებს მას შებრალება;
ვერა გაჰკურნოს მან მონის წყლული,
ვინც მონებას თვით ემორჩილება.
მონა ბედ-შავი, მონა საწყალი
დგას, ევედრება მის თვალი შვებას,
და გულში ფიქრობს: ვას, ჩემი ბრალი!
რით შევძლებ შვილთა ჩემთ გამოკვებას?
ვახ, ჩემი ოფლი მათთვის დაღვრილი,
ნაყოფი იმა ოფლით გაზრდილი,
დღე-და-ღამ ჩემი უწყვეტი შრომა,
დარში, ავდარში ცის-ქვეშე დგომა,
ვაი, ვაგლახი, ჭირნახულობა,
თმენა, ცდა, სიმხნე და უძილობა
მარტო ბატონის თვალსა ახარებს
და თქვენ, ცოლ-შვილო, კი არას გარგებს.
ვაიმე ბედ-კრულს რაღა დამრჩება,

*) ეს იმ დროს ეკუთვნის, როცა ჩვენში ჯერ ბატონ-ყმობა გადა-გარდნილი არ იყო.

რომ გავახარო ცოლ-შვილის თვალი?...
ვინა შრომობდა და ვინა მღება!?
ღმერთო, სად არის აქ სამართალი!...

## XII

„შენში კაცისას გრძნობას არ ჰხედვენ,
დედის ძუძუდამ შვილსა აჰგლეჯენ,
ვინ იცის სიდამ სად გაჰყიდიან...
უწმინდურისა ხელითა ჰსთხრიან
დედისა გულში უკეთესს გრძნობას,
ცოდვად უთვლიან შვილისა ტრფობას.
თუ ღმერთმა მიჰსცა შენსა ასულსა
სილამაზე და მშვენიერება, —
მონავ ჩაგრულო, ვითამ შენს გულსა
სასიხარულოდ ეგე ექმნება?!
ქალს წაგართმევენ, ქალს გაჰყიდიან,
ნამუსს მოუკვლენ შეუბრალებლად
და წრფელსა გულში ღვარძლს ჩაასხმიან,
გახდიან ყვავილს ფეხ-ქვეშ სათრევლად.
უმანკო პირზედ შენს ტურფას ქალსა
გარყვნა დაასვამს საზარო დაღსა...
მას, რაც გიყვარდა, ნახავ დაცემულს
ნამუს-წართმეულს და შეგინებულს!...
პირს უკუ-იქცევ და შეძრწუნდები,
ცრემლს მოინდომებ და არ გექმნება,
წყევლით, ვაებით მას განშორდები

და ქალი შენი შენ შეგზარდება,—
და მაშინ იტყვი: ნეტავი გველად,
გველის წიწილად მე მომცემოდი,
რომ ქვეყნის ქელვად, ქვეყნის სათრევლად
შენ, შვილო ჩემო არ გამსდომოდი.

## XIII

„შრომისა შვილო! მძიმე უღელი
ქვეყნის ცოდვისა შენ გაწევს კისრად,
თუმცა ტვირთ-მძიმეთ შემწყნარებელი
შენის დახსნისთვის ჯვარს ეცვა ქვეყნად;
თუმცა ქვეყანას მისი მოძღვრება
დღეს მარტო სიტყვით უქმით ჰრწმენია,
მაგრამ ცხადად ჰხმობს მის წმინდა მცნება,
რომ მეუფობადი მარტო შენია.
შრომა, აწ ქვეყნად ტყვეთა პყრობილი,
მცარცველობის ქვეშ ჩაგრულ-ვნებულა,
ხოლო რღვეულა მისი ბორკილი
და დასამსხვრევლად გამზადებულა.
შრომისა ახსნა—ეგ არის ტვირთი
ძლევა-მოსილის ამ საუკუნის,
კაცთა ღელვისა დიადი ზვირთი
მაგ ახსნისათვის მედგრადა იბრძვის.
ვეღარ განუძლებს ქვეყანა ძველი
განახლებისა გრიგალის ქროლას,
ვეღარ განუძლებს ქვეყნის მცარცველი

ჭეშმარიტებით აღძრულსა ბრძოლას, —
და დაიმსხვრევა იგი ბორკილი
შემაფერხებელი კაცთა ცხოვრების,
და ახალს ნერგზედ ახლად შობილი
ეს ქვეყანა კვლავ აღყვავდების.

## XIV

„შრომის სუფევა მოვა მაშინა
ჭეშმარიტების მის ძლიერებით
და განმტკიცდება სოფელსა შინა
კაცთ-მოყვარების სახიერებით.
ყველასთვის იქმნეს იგი სუფევა
თანასწორადა ნიჭთა მიფენელი;
მის მადლით წარწყმდეს ცარცვა და რბევა
და ერთგან ჰსძოვდეს ცხვარი და მგელი.
მაშინ უქმ-სიტყვად აღარა იქმნენ

. . . . . . . . . . . .

ქვლის გვირგვინით ქვეყნად აღარ ვლენ
კაცთ-მოყვარება და სათნოება.
ალღო აიღო ქვეყანამ ძველმა,
რომ დღე-და-დღე მის წყობა ირღვევა,
და ამ ზვიადმა საუკუნემა
უნდა შვას იგი შრომის სუფევა.
მაშინ, მაშვრალო, შენ განჰკაცდები,
წართმეულთ ნიჭთა კვლავ მოიპოვებ,
სხვას ძირს არ დაჰსწვევ; თვით აღმაღლდები;

არც ვის ემონვი და არც იმონებ.
მაშინ ეგე ხმა შენის სიმღერის,
დაბლად ღუღუნი დაღონებული,
მღერა, ვით კვნესა, საწყალის მხრის,
შორი ხმა მწყემსის დაობლებული
მხიარულ ხმებათ გარდაგეცვლების
და შენს გუთანზედ გულით-ღმობილი
იტყვი სიმღერას თავის-უფლების.
ეგ სიმღერაა, ვით ლოცვა, ტკბილი!...
მინდორნი, ტყენი, ნასხნავნი, ველნი
შენის ლხენითა განისარებენ;
შენგან შემკულნი იგი ყოველნი
შენს ტკბილს სიმღერას ბანს გამოჰსცემენ.

## XV

„აგერ დიდ-კაცი დარბაისელი
კმაყოფილების განცხრომაშია
. . . . . . . . . .
. . . . . . . . . .
მოძმეთა ხსნისთვის თავის-დადება
წმიდა მხვედრია მხოლოდა გმირთა
და მას ვით შეჰსძლებს თავ-მოყვარება,
რომელიც იმა დიდ-კაცთა ჰსჭირთა?
ის რად ინდომებს ქვეყნისა ბედსა,
როს მასა შველის მის ბედ-კრულება?
რად შეებრძვის ის სიბოროტესა,

როს მეოხებით მისით თვით რჩება?
აგერ ვაჭარიც ცბიერის ღიმით
მომმეთ ატყუებს, რა ჰყიდის ნივთსა,
და ძმა მის მოკვდეს თუნდა შიმშილით,
უნაღვლოდ განვლის ცხოვრების ხიდსა.
აგერა მღვდელნიც — ერთა მამანი —
რომელთ ქრისტესგან ვალათ ჰსდებიათ
ამა ერისა სულის აღზრდანი,
რა რიგ გულ-ხელი დაუკრეფიათ!
სად არის სიტყვა დიდის სწავლის,
სიყვარულისა და სამართალის,
რომ მათ ბაგეთგან არ მომდინარებს
და ერს დაცემულს არ აღამაღლებს?
სად არის იგი მღაღადებელი
ქვეყნისა ხსნისთვის ჭეშმარიტება?
სად არის იგი ბიწის მდევნელი
ჯვარ-ცმულის ღმერთის მაღალი მცნება?

# XVI

აგერ ტფილისიც!... ყრმასაც და ბერსაც,
ქალსა მახინჯსაც და მშვენიერსაც,
დიდსა, პატარას, თავადსა, გლეხსა
მე უხილავი ყურსა ვუგდებდი,
მაგრამ კი, ვფიცავ ქართვლის სახელსა,
მათს აზრში აზრსა მე ვერ ვპოვებდი.
ერთ-გზით შეჰხვედავ და იქ ცხოვრება

მართალ ცხოვრებათ მოგეხვევნება;
ლხინობენ კიდეც, კიდეც ხარობენ,
ფიქრობენ, გრძნობენ და მოქმედობენ;
ჰხედავ ფაცა-ფუცს და ყველგან ყივილს,
უბედურ ცრემლთან ბედნიერის ღიმილს,
მაგრამ მათ ცრემლსა, ღიმილს, თუ გრძნობას
ფრჩხილის-ოდენიც არა აქვს აზრი
და ყველა იგი თვალთ-მაქცი არი.
ფუჭია იგი მისი ცხოვრება,
უფერულია და ცალიერი,
არც სიცოცხლეა, არც გემოვნება,
არცა საგანი გულ-წარმტაცელი!
იქ დღეს ჭრობის დღესა, ვით ჭრობოდა გუშინ
ერთ-ნაირად და უფერულადა,
რისთვისაც მამანი იღვწოდენ უწინ,
დღეს შვილთ არ უღირთ არც ერთ ფულადა.
გრძნობას ოქროსა ფასად ჰყიდიან
. . . . . . . . . . . .

## XVII

აგერა მცხეთაც—სავანე გმირთა,
დიდი აკლდამა დიდის ცხოვრების,
სად პირველ ქართველის მორწმუნეთა შვილთა
ღრმად ჩარგეს ძირი თავის-უფლების;

სადაც უყვარდა ხე ცხოვრებისა
ქართველის გულიდამ აღმოცენილი,
და წყარო იგი წყაროთ შვებისა
ჰსჩქეფდა იმ გულით გარდმოდენილი;
სად ის ხე ნაძვის მის საუხსენელისა*)
უყვარდა ქართველის წყლულთა კურნებად
და მის ქვეშ წყარო უკვდავებისა
ჰსცემდა იაზმას ერის ცხოვნებად.
სად იმ ხის წმიდის ეროთოლი, სილი
საკვდავადაც დაჭრილს ჰკურნებოდა,
სად იმა წყაროს წყლით დაბანილი
ქართველის ტკივილი დაყუჩდებოდა.
აწ აღარა ჰსჩქეფს წყარო ცხოველი,
ხე ცხოვრებისაც იგი დამჭკნარა,—
და იგი დედა-ქალაქი ვრცელი
აწ სამიკიტნოდ დაბად გამხდარა.
ნგრეულან მისნი დიდნი პალატნი,
დიდი ცხოვრება მის დაცემულა,
დღეს იმ ცხოვრების წმიდა ალაგნი
პირუტყვთა ქელვით შეგინებულა.

ილია ჭავჭავაძე.

(დასასრული შემდეგს ნომერში)

*) ამ ნაძვის ხეზედ თქმულობა იხილე ვახუშტის გეოგრაფიაში.

# ვეკფილდის მოძღვარი.

(შემდეგი *)

## თავი X.

ჩემი ცოლ-შვილი ცდილობს ცხოვრებაში მდიდრებს წაჰბაძოს. ვაი იმ ღარიბთ, რომელნიც თავიანთ ქონების კვალობაზედ არა სცხოვრობენ!

მე მხოლოდ ეხლა ვიგრძენი რომ, ჩემმა განუწყვეტელმა და მძიმე დარიგებამ სრულებით არ იმოქმედა ჩემს ცოლ-შვილ-ზედ; არ ასწავლა არც ზომიერება, არც წესიერად ცხოვრება; არ ჩააგონა, რომ კმაყოფილი ყოფილიყვნენ თავიანთის სვედრისა. რადგან ახლად გაცნობილნი დიდნი-კაცნი კარგად გვეპყრობო-დენ, მათ გულში აღიძრა კიდევ უწინდელი ამპარტავნება, რო-მელიც მე დაბლა დავწიე, მაგრამ მთლად კი ვერ მოვსპე.

ჩვენს ფანჯრებზედ უწინდელებრივ ჩამოამწკრივეს მინები, სავსე პირის-სახისა და კისრისთვის სახმარის წყლებით. კარ-ში მზე ეხლა უფრო ეკიდებოდათ და შინ ცეცხლი უხდენ-დათ პირის-კანს. ჩემი ცოლი მარწმუნებდა რომ, ადრე ადგო-მა ჩვენს ქალებს თვალებს უფუჭებსო; სადილს უკან ხელ-საქმე

*) «ივერია» № 1, 1881 წ.

ცხვირს დაუწითლებს და ხელებიც მხოლოდ მაშინ ექნებათ სუფთა და ფაფუკი, თუ საქმეს ხელს არ მოჰკიდებენო. გეორგის ფერანგებს თავი დაანებეს, თავიანთ კისეის კაბები ხელ-ახლავ დასჭრეს და ახალ-მოდურად მორთეს. საწყალ ფლამბოროს ქალებს, რომელნიც უწინ მხიარულად ატარებდენ ერთად ჩემს ქალებთან დროსა, ეხლა ყურს აღარავინ უგდებდა; ეხლა ჩემი ქალები ლაპარაკობდენ მხოლოდ დიდ-კაცობაზედ, მხატვრობაზედ, გემოვნებაზედ, შექსპირზედ და მუსიკაზედ.

ეს კიდევ არაფერი; ამის ატანა კიდევ შეიძლებოდა, მაგრამ საიდგანღაც გაჩნდა ერთი ბოშა-მკითხავი დედა-კაცი და ისე მაღლა აწია ჩემის ქალების ბედი, რომ სულ გადარია. მოვიდა თუ არა ეს შავგვრემანი დედა-კაცი ჩვენს სახლში, მოიჭირეს ჩემი ქალები და თითო შილინგი (შილინგი ექვს შაურამდეა) მთხოვეს; უამფულოდ მკითხაობა არ შეიძლებოდა.

სწორე გითხრათ, მეც მომწყინდა მუდამ ჭკუის ძალას დატანა, ამიტომ შევუსრულე თხოვნა და მივეცი თითო შილინგი; მინდოდა მათი მხიარული სახე დამენახა. კი არ გეგონოთ, რომ ჩემი ქალები უფულოდ იყვნენ; ჩემი ცოლი უოველთვის თითო გინეას აძლევდა და უბძანებდა ხოლმე, ჯიბეში გქონდეთ და არამცა და არამც არ დახარჯოთო.

მკითხავი და ჩემი ქალები რამდენსამე ხანს ცალკე ჩაკეტილს ოთახში იყვნენ და როცა გამოვიდნენ, სახეზედ შევატყე რომ, მკითხავი რაღაც კაი ბედს უნდა დაჰპირებოდა.

— აბა, ჩემო საყვარელო შვილებო, რა იშოვეთ და რა იპოვეთ? ვკითხე მე. აბა ოლივია, ერთის გროშის დანაფასევი მაინც შეგძინა რამე იმ მკითხავმა?

— თუნდა დავიფიცავ, მამა, რომ მაგ დედა-კაცს ეშმაკთანა აქვს საქმე: დაბეჯითებით მითხრა რომ, ამ ერთს წელიწადზედ ერთს მებატონეს შეირთავო.

— შენა, სოფიო, შენ როგორიღა ქმარი გეყოლება?

— როცა ჩემი და მებატონეს შეირთავს, მას შემდეგ მე ლორდი (ინგლისის დიდი-კაცი) უნდა შევირთო.

— მაშ თქვენს ორს შილინგში მაგ დაპირების მეტი არა გრგებიათ-რა?! ლორდი და მებატონე ორს შილინგად! აბა ერთი რამ დაგვავიწყათ?! მაგის ნახევარი რომ მოგეცათ ჩემთვის, თუნდა ხელმწიფის შვილსა და ინდოეთის ნაბობს დაგპირდებოდით ქმრადა.

ამ ცნობის მოულოდნელობას შესანიშნავი ზოლი მოჰყვა: ჩვენ წარმოვიდგინეთ, რომ ჩვენც რაღაც მაღალი ბედი მოუნიჭე-ბია ჩვენთვის და გულში თითქო ვგრძნობდით მომავლის დი-დებასა.

ათასჯერ შემიმჩნევიათ სხვებსა და მეც თითონ შევამჩნიე, რომ ბედნიერების ლოდინით გატარებული დრო უფრო სასიამოვ-ნოა, ვიდრე თვითონ ამ ბედნიერებით დატკბობა. პირველს შემთხვევაში ჩვენ ჩვენს გემოზედ ვიმზადებთ სანოვაგეს, მეო-რეში კი ჩვენი ბედი გვიმზადებს თავის გემოზედ.

ვერ წარმოიდგენთ, რაებსა ვფიქრობდით და რა სასია-მოვნო ოცნებებით ვატარებდით დროსა. ჩვენ გვეგონა რომ ბედის ჩარხი ხელ-მეორედ გადაგვიტრიალდა და გამდიდრებასა ვაპირებდით. იმდენი იყაყანეს მთელს იმ მხარეს ტორნჰილს მღვდლის ქალი უყვარსო, რომ თვითონ ჩემს ქალს შეუყვარ-და იგი. მითქმა-მოთქმა უფრო უძლიერებდა სიყვარულს.

ამ ხანებში ჩემს ცოლს ძილში ძალიან სასიამოვნო სიზ-მრები ეზმანებოდა და ამ სიზმრებს ყოველ-დილით დაწვრი-

ლებით გვიამბობდა ხოლმე დიდის ამბით. ერთხელ სიზმარში კუბო და გადაჯვარედინებული ძვლები ენახა—ეს მალე ქორწილს მოასწავებდა; მეორედ იმის ქალის ჯიბეები შავის ფულით გავსილი ენახა— ეტყობა მალე ოქროებით გაიტენებოდენ. ქალებიც თავიანთებურად წინასწარ - მეტყველებდენ: ხან სიზმარში ტუჩებზედ ვიღაცა ჰკოცნიდა; ხან სანთელზედ ბეჭედი იყო ჩამოცმული; ხან ცეცხლიდამ ქისები გამოცვივნდებოდენ; ხან ჩაის ფინჯანში სიყვარულის ნიშანს ჰხედავდენ.

ერთი კვირა რომ გამოვიდა, ჩვენ მივიღეთ ბარათი ქალაქელ ქალებისაგან; ჯერ მოკითხვას გვითვლიდენ და მასუკან სურვილს აცხადებდენ, კარგი იქნება მომავალს კვირას მთელის სახლობით ეკლესიაში იყოთ და იქა გნახოთო. ამ ამბის გამო ჩემი ცოლი და ქალები მთელი შაბათი-დღე ერთმანერთს რაღასაც ეჩურჩულებოდენ და ხანდისხან ისე რიგად შემომხედავდნენ, რომ ვიფიქრე, ალბად საიდუმლო განზრახვა აქვთ რამე; და სწორე გითხრათ, მე ეჭვი მომივიდა, ვაი თუ ეს განზრახვა უაზრო რამ იყოს და მის შესრულებით უნდოდეთ ხვალ ხალხში ბრწყინვალედ იჩინონ თავი მეთქი.

საღამოს ჟამზედ წესიერად დაიწყეს მათ თავიანთი მოქმედება და ჩემმა ცოლმა იკისრა ჩემი მიმხრობა. ჩაის შემდეგ, კარგს ქეიფზედ რომ მოვედი, დამიწყო ლაპარაკი:

— მგონია, ჩარლს, ხვალ ეკლესიაში კაი ხალხი უნდა იყოს?

— იქნება, მივუგე მე, მაგრამ ეგ ჩემთვის სულ ერთია, კაი ხალხი იქნება, თუ ცუდი, მაინც მე ქადაგება უნდა ვსთქვა.

— ეგ ხომ აგრეა, მაგრამ, მე მგონი, ურიგო არ იქნება რომ რიგიანად ვიყოთ იქა; ვინ იცის, რა შემთხვევა მოხდეს!

— მომწონს შენი სიტყვა, ვუპასუხე მე. რიგიანი ქცევა ეკლესიაში ჩემთვის დიდად სასიამოვნოა. იქ დგომის დროს უნდა გვეტყობოდეს ღვთის-მოშიშობა, სიმშვიდე და გულ-ახსნილობა.

— ეგ ჴომ მეც ვიცი; მე მხოლოდ იმას გეუბნებოდი რომ, ისე უნდა წავიდეთ იქა, როგორც პატიოსანს ჴალხს შეჰფერის და არა სხვა წუწკს ჴალხსავით.

— სრულიად მართალი ხარ, მივუგე მე. მეც ეგ უნდა მეთქვა; ისე უნდა წავიდეთ, როგორც პატიოსანს ჴალხს შეჰფერის, ესე იგი, ადრე მივიდეთ, რომ ვიდრე ღვთის-მსახურება დაიწყობოდეს, შეგვეძლოს უფლისადმი გონების აღმართვა.

— რას აგიყინია, მაგაზედ ვინ რას გეუბნება! მე მხოლოდ იმას ვამბობ, რომ პატიოსნურად უნდა წავიდეთ. შენ კარგად იცი, ეკლესიამდის ორს მილზედ მეტია და არაფერი სასიამოვნოა, რომ ჩვენმა ქალებმა ამოდენა გზა ქვეითი გაიარონ. მერე ეკლესიაში ისე გულ-ამოვარდნილნი და გაჭარხლებულნი უნდა მივიდნენ, თითქო დოღში ურბენიათო. აი მე რას ვამბობ: ის ორი სამუშაო ცხენი შევაკაზმინოთ; ერთი ულაყი და მეორე ის ჭაკი-ცხენი, წასულს თვეში რომ მოიგო. ორივე კარგად მსუქნად არიან და უსაქმობისაგან დაზარმაცდენ. რა უჭირთ რომ პატარა გავსარჯოთ. მოსემ გასწმინდოს ის ცხენები და მგონი მაშინ თვალთათვისაც არა უჭირდეთ-რა.

მე ვუპასუხე რომ ქვეითი სიარული ათას-წილად სჯობს ჩვენს ჯაგლაგს ცხენებზედ შეჯდომასა მეთქი; ერთს თვალი დაშავებული აქვს, მეორეს—კუდი მოჭრილი; თავის-დღეში პირში აღვირი არა სდებიათ და ამას გარდა ერთის უნაგირის მეტი არსად მოგვენახვება მეთქი. ამ საბუთებმა ვერ გასჭრეს და მეტი გზა არ იყო, უნდა დავმორჩილებოდი.

მეორე დღეს ყველანი დიდს მზადებაში იყვნენ ეკლესიაში წასასვლელად. რა კი დავატყე რომ ამ მზადებაში კარგა ხანი გავიდოდა, მე წინ-და-წინვე წაველი და ისინიც დამპირდენ, ჩვენც მალე წამოვალთო.

თითქმის მთელი ერთი საათი ვიჯექ კათედრის წინ და ველოდი მათ, მაგრამ რომ აღარ მოვიდნენ, მეტი ღონე არ იყო, უნდა დამეწყო ღვთის-მსახურება; გულში კი ძალიან მწყინდა, რომ ჩემი ცოლ-შვილი არსად სჩანდა. ღვთის-მსახურება გათავდა, ყველანი დაიშალნენ და ისინი კიდევ არ მოვიდნენ. ამის გამო შინ ცხენის-გზით დავბრუნდი, თუმცა ამ გზით ხუთის მილის გავლა მიხდებოდა და ქვეითი კი ორის მილის მეტი არ იყო. ნახევარ-გზა რომ გამოვიარე, დავინახე, ჩემი ცოლ-შვილი ნელ-ნელა მოდიოდა. ჩემი შვილი მოსე, ჩემი ცოლი და ორი ჩემი პატარა ერთს ცხენზედ შემსხდარიყვნენ და ჩემი ორი ქალი მეორეზედ. მე ვკითხე მიზეზი დაგვიანებისა და სახეზედ კი შევატყე რომ გზაზედ სხვა-და-სხვა უსიამოვნობა უნდა დამართნოდათ. ჯერ თურმე ცხენები ადგილიდამ დაძვრას არ აპირებდენ და არც დაიძროდენ, ბორბალი რომ ნახევარ მილზედ უკან კომბლით არ გამოჰყოლოდა; მას-უკან, ჩემი ცოლი რომ იჯდა, იმ უნაგირის მოსართავი გაწყვეტილიყო და გზაზედ გაჩერებულიყვნენ დასამაგრებლად. მერე კიდევ ერთი ცხენი დამდგარიყო და ვერც ცემით, ვერც დაყვავებით ვერ მოეხერხებინათ ადგილიდამ დაძვრა. მე რომ შევეყარე, ის იყო იმ ცხენს ჯიუტობისათვის თავი დაენებებინა.

ესეთი ჩემის ცოლ-შვილის დამცირება, სწორე გითხრათ, არა მწყენია; უფროდაც მესიამოვნა: შემდეგში ამ ამბის წყა-

ლობით ჩემი სიტყვა უფრო გავიდოდა და ჩემი ქალებიც უფრო თავ-მდაბლად მოიქცეოდნენ.

## თავი XI.

### ჩემს ცოლ-შვილს თავი კიდევ მაღლა უჭირავს.

ეს შემთხვევა მოსდა კვირას. ორშაბათს მიქელ-გაბრიელობის წინა-დღე იყო და ჩვენმა მეზობელმა ფლამბორომ დაგვპატიჟა, შემწვარს სილს შევექცეთ და ამ დღესასწაულის შესაფერად დრო გავატაროთო. უკანასკნელმა უსიამოვნო შემთხვევამ ჩვენს ამპარტავნობას ცოტა ფრთები შეაკვეცა, თორემ უიმისოდ არც კი ვიკადრებდით ფლამბოროსთან წასვლას; ეხლა კი ამ დაპატიჟებამ დიდადაც გვასიამოვნა. ჩვენს მეზობელს ჰქონდა კი მსუქანი ბატი და ჩინებული შაქრის-პურები; გასრესილის ვაშლის წვენი ჩემს ცოლსაც კი მოეწონა და ამისთანა საქმეში იმას სიტყვა დაეჯერებოდა.

საჭმელ-სასმელი კი კარგი ჰქონდა ჩვენს მეზობელს, მაგრამ სხვა-და-სხვა გრძელის და მოსაწყენის ამბების თქმით საქმე გაგვიჭირა. მერე სულ თავის ამბავს გვიამბობდა. უწინ რამდენჯერ ძალ-დატანებით გვიცინია ამ ამბებზედ და მეტი ღონე არ იყო, ეხლაც უნდა გვეცინა; ზდილობა ამას მოითხოვდა.

ბორჩელიც იქ იყო და სიამოვნებით იღებდა მონაწილეობას ყოველს-გვარს ხუმრობასა და შექცევაში; ყმაწვილებისა და ქალების გასართობად გამართა თვალ-ხუჭანაობა და ჩემი ცოლიც შიგ გაერია. ამ ამბავმა ძალიან მასიამოვნა: ეტყობა ჩემი ცოლი ჯერ ძლიერ მოხუცებული არ არის, რომ

თვალ-ხუჭანას თამაშობს, ვიფიქრე მე. მე და ჩემი მეზობელი ვუცქეროდით მოთამაშეებს, ვიცინოდით, როდესაც რომელიმე მოთამაშე ხერხს გამოიჩენდა და ვაქებდით ჩვენს სიმარჯვეს სიყმაწვილის დროს. თვალ-ხუჭანაობის შემდეგ გაიმართა გამოცანაობა და ბოლოს მოჰყვნენ «წაღის საპოვნელას.» შეჩვეულია, ბევრს არ ეცოდინება, რა არის ეს უწინდელებური თამაშობა და ახსნა საჭიროა. ყველა მოთამაშეები ირგვლივ დასხდებიან და მხოლოდ ერთი სდგას შუაში. გარშემო მსხდომნი ერთმანეთს მუხლებს ქვეშ წაღას აწოდებენ და შუაში-მდგომმა უნდა იპოვნოს ეს წაღა. რადგან იმისთვის ძნელია ერთბაშად ყველას მოავლოს თვალი,—ვისაც წაღა აქვს, უნდა ეცადოს ქუსლით დაჰკრას შუაში მდგომს სხეულის იმისთანა ნაწილზედ, რომელსაც სხვა ნაწილებზედ ნაკლებ შეუძლიან პასუხის გაცემა.

ეს თამაშობა რომ დაიწყეს, ჩემს უფროსს ქალს შეხვდა შუაში დგომა. წაღის ქუსლით როცა მიჰბეგვეს, დაღალულ-დაქანცულმა და გაწითლებულმა ისე მაღლა დაიწყო ყვირილი, «რიგზედ ითამაშეთ, რიგზედაო», რომ ყურთა-სმა აღარ ისმოდა. ამ დროს, ვაი სირცხვილო! ოთახში შემოვიდნენ ჩვენი ნაცნობი ქალაქელი ქალები. ენით როგორ ვიტყვით რა საშინელი თავ-ზარი დაგვეცა ამ ამბავმა. ის არა სჯობდა დედა-მიწა გამსკდარიყო, თან ჩავეტანეთ და იმ მშვენივრად გაზდილ დიდკაცთა ცოლებს ამ სირცხვილეულის ყოფაში კი არ ვენახეთ! უმეტესი აბა რა გამოვიდოდა ფლამბოროს მოგონილის თამაშობისაგან! რამდენსამე წუთს ვიყავით უძრავად. შეკრთომამ და სირცხვილმა ენა მუცელში ჩაგვიგდო.

ქალაქელი ქალები ჩვენსა ყოფილიყვნენ და შინ რომ ვერ ვენახეთ, ფლამბოროსას წამოსულიყვნენ: უნდოდათ შეეტყოთ,

რა მიზეზით არ იყო ჩემი ცოლ-შვილი წინა-დღეს ეკლესია-ში და ხომ ცუდი არა შეგვემთხვა-რა. ოლივიამ მოკლედ აუხსნა ამის მიზეზი: «ცხენებიდამ გადმოვცვინდითო.» ამ ამბავმა ისინი ძალიან შეაწუხა, მაგრამ რა კი შეიტყვეს, რომ არა დაგვშავებია-რა, დიდად გამხიარულდენ. მხოლოდ ეს არის, შიშმა კინაღამ გაგვათავაო, ვუთხარით ჩვენ და ამ სიტყვებმა ხელ-მეორედ დაალონა; მაგრამ რომ დავუმატეთ: «ღამე მშვიდობიანად გავატარეთო,» ხელ-მეორედ კიდევ უფრო გამხიარულდენ.

საშინლად შეუყვარდათ იმათ ჩემი ქალები. თუმცა წინა-ღამითაც სიყვარულით ექცეოდენ, მაგრამ ამ ღამეს ეს სიყვარული უფრო გაუცხოველდათ. «ნეტავი არ იქნება, დიდ-ხანს შეგვეძლოს ერთად ყოფნაო!» ამბობდენ ისინი. ერთს უფრო ოლივია მოსწონდა; მეორეს—სოფიო. ისინი ერთმანერთს რაღაებზედაც ელაპარაკებოდენ; ჩემი ქალები კი ჩუმად ისხდენ და უკვირდათ მათი სწავლა და გაზდილობა, რადგან ყოველის მკითხველისათვის, რაც უნდა ღარიბი იყოს იგი, საამო გასაგონია დიდ-კაცური ლაპარაკი თავადიშვილებზედ, მათ ცოლებზედ, ჩინიანს ხალხზედ, მეც თქვენს მოსასმენად დავსწერ უკანასკნელს ნაწილს მათის საუბრისას.

— ეგ ამბავი იქნება მართალი იყოს, იქნება არა, ამბობდა ერთი, რომელსაც ერქვა სკეგსი. მხოლოდ ამას კი დაგარწმუნებთ, თქვენო ბრწყინვალებავ, რომ მთელი შეკრებილება განცვიფრებული იყო. მის ბრწყინვალებას ნაცრის ფერი დაედო; მათ მეუღლეს გულს-შემოეყარა; ტომკინმა კი ხმალი იძრო და ამბობდა: «ვიდრე ერთი ბეწვა სიცოცხლე მაქვს, მაგის თავს ვერავინ წამართმევსო!...»

— საკვირველია, მიუგო მეორემ—ბლარნეიმ—რომ ჯერცოგის ცოლს მაგ ამბისა ჩემთვის არაფერი უთქვამს და მგონი,

მის უგანათლებულესობას ჩემთვის არას დროს არა დაუმალავს-რა. ეს კი ნამდვილად ვიცი რომ მეორე დღეს ჰერცოგმა სამჯერ დაუძახა თავის მსახურს, წვივ-საკრავები მომიტანეო.

არ შემიძლიან არ გავკიცხო' ბორჩელის უზდელი ქცევა ამ ლაპარაკის დროს. ის იჯდა ცეცხლისკენ პირ-მიბრუნებული და გაათავებდა თუ არა ერთ-ერთი ამ ქალთაგანი თავის ლაპარაკს, მაშინვე წამოიძახებდა ხოლმე: «მიჭქარვენ!» ეს სიტყვა ყველას გვწყინდა და უშლიდა ამ დიდ-კაცურ საუბრის გაგრძელებას.

— ამას გარდა, ძვირ-ფასო სკეგს, მაგ ამბისა არაფერია იმ ლექსებში, რომელიც მაგ საქმის თაობაზედ შესთხზა დოქტორმა ბორდოკმა.

— მიჭქარვენ! წამოიძახა ბორჩელმა.

— მე მაკვირვებს მე. დოქტორი თავის გასართობად სწერს ლექსებს და მაგისთანა ამბავი ძვირად გამოეპარება რომ ლექსებში არ ჩაურთოს. არ შეიძლება, თქვენო ბრწყინვალებავ, მაჩვენოთ ის ლექსები?

— მიჭქარვენ!

— იქნება გგონიათ, ჩემო ძვირ-ფასო მეგობარო, რომ მე მაგისთანაებს ყოველთვის თან ვატარებ? თუმცა კი, მართალი უნდა სთქვას კაცმა, ის ლექსები ჩინებული მგონია და მე ლექსების სიკეთე და სიცუდე კარგად მესმის: მოსაწონი მომწონს და დასაწუნს ვიწუნებ. მე ყოველთვის მომწონდა დოქტორ ბორდოკის წვრილ-წვრილი თხზულებანი. სწორე გითხრა, ამ ბოლოს დროს ყველანი უბრალო საგნებზედა სწერენ; გარდა დოქტორისა და ჩვენის გამოჩენილის გრაფინასი, არავინ რასა სწერს დიდ-კაცურს ცხოვრებაზედ.

— მიჭქარვენ!

— რატომ თქვენი თხზულებანი კი არ ჩასთვალეთ, თქვენო ბრწყინვალებავ, ქალების ჟურნალში რომ ბეჭდავდით, მიუგო მეორემ; იქ ხომ მდაბიო სალხის ცხოვრებაზედ არაფერია. ან რატომ ალარ გვაღირსებთ ერთხელ კიდევ თქვენის თხზულების წაკითხვას?

— მიჭქარვენ!

— თქვენ კარგად მოგეხსენებათ, რომ ის ქალი, რომელიც ჩემთან იყო და მაკითხავდა ხოლმე, გავიდა ჩემგან და ერთი კაპიტანს შეირთო. ისიც იცით რომ, თვალების ტკივილი მომდის და მე თითონ არ შემიძლიან წერა; სხვა ქალი უნდა მოვნახო. რიგიანის შოვნა ძნელია; ვის იშოვით ოც-და-ათ გირვანქა სტერლინგად წელიწადში, რომ კითხვა, წერა შეეძლოს, კარგად გაზდილი და სახლში გამოსადეგიც იყოს! ქალაქში გაზდილი ქალები კი სწორედ ძნელი ასატანნი არიან.

— მიჭქარვენ!

— ეგ მეც თითონ გამომიცდია, მიუგო სკეგსმა. ამ ნახევარ წელიწადში სამი გამოვცვალე: ერთმა იმაზედაც კი უარი სთქვა რომ დღეში თითო საათი საკერავისთვის მომენდომებინა; მეორემ წელიწადში ოც-და-ხუთი გინეა იცოტავა და მესამე მე თითონ დავითხოვე, რადგან მგონია კარის-მღვდელს ეჩურჩურებოდა. კარგი ქცევა დიდი რამ არის, თქვენო ბრწყინვალებავ, მაგრამ სად არის!

— მიჭქარვენ!

ჩემი ცოლი დიდის მოწიწებით უგდებდა ამ ლაპარაკს ყურსა და უგანასკნელს სიტყვებს უფრო მეტად დააკვირდა. ოც-და-ათი გირვანქა სტერლინგი და ოც-და-ხუთი გინეა წელიწადში ორმოც-და-თექვსმეტს გირვანქა სტერლინგზედ მეტი შესდგებოდა და ეს ფული ადვილად შეიძლებოდა ჩვენს ოჯახს

ნაძოვნსავით შეუძისა: ჯერ მე შემომხედა, თითქო რჩევას მე-კითხებოდა და მეც, სწორე გითხრათ, უარს არ ვიტყოდი რომ ეს ორი ალაგი ჩემს ქალებს დაეჭირათ. ამას გარდა, თუ ტორნჰილს მართლა ჩემის ქალის შერთვა სწადდა, ამ გზით შეიძლებოდა ჩემს ქალს იმის შესაფერი ყოფა-ქცევა მიეღო.

ჩემმა ცოლმა გადასწყვიტა რომ ეს შემთხვევა ხელიდამ არ უნდა გაგვეშვა, მორცხვობას თავი უნდა დავანებოთო და თითონვე იკისრა ყველას მაგიერ ლაპარაკი.

— იმედი მაქვს, თქვენო ბრწყინვალებავ, წარმოსთქვა იმან, რომ მომიტევებთ ამ კადნიერებას. რასაკვირველია, ჩვენ ღირსნი არა ვართ თქვენთან ხლებისა, მაგრამ, როგორც დედას, მომეტევება ჩემის შვილების ბედ-იღბალისათვის ზრუნვა. გავკადნიერდები და მოგახსენებთ რომ ჩემს ქალებს ნიჭიც შესწევთ და გაზდილნიც კარგად არიან, ასე რომ ამ მხარეს მათზედ უკეთესად დაზდილს ვერავისა ნახავთ; კითხვაც იციან, წერაც, ანგარიშიც, სხვა-და-სხვა ხელ-საქმეც და ცოტა მუსიკაც; უფროსმა კარგად იცის აგრეთვე ქაღალდზედ ფიგურების გამოჭრა და უმცროსმა ქაღალდის გაშლა.

— მიჭქარვებს! წამოიძახა კიდევ ბორჩელმა.

ეს პატარა მწვავე-მეტყველური სიტყვა რომ გაათავა ჩემმა ცოლმა, ქალაქელმა ქალებმა ერთმანერთს ჩუმად შეხედეს და სახეზედ ეჭვი გამოეხატათ. პატარა ხნის უკან სკვერმა წარმოსთქვა—როგორც მე ეს ყმაწვილი ქალები გავიცანი მალიან გამოსადეგნი იქნებიან ამ ალაგებისათვის, მაგრამ ამისთანა საქმეში საჭიროა ერთმანერთთან დაახლოვება, ერთმანერთის ხასიათების გაცნობაო. იმას კი ნუ იფიქრებთ, რომ მე თქვენის ქალების ყოფა-ქცევასა და რიგიანობაზედ ეჭვი შემო-

ვიტანო, მაგრამ წესი ამას მოითხოვს და ჩვენც წესს უნდა მივდიოთო.

ჩემმა ცოლმა უქო ეს სიფთხილე და დაუმატა რომ, მეც თვითონ ძალიან ფთხილი ადამიანი ვარო. ჩემს ქალებზედ კი თუნდ მთელს მეზობლობასა ჰკითხეთ, რა ხასიათისაც არიანო.

— ეგ საჭირო არ არის, მიუგო ერთმა იმ ქალთაგანმა, ჩემის ბიძა-შვილის ტორნჰილის რეკომენდაციაც საკმარისი იქნება.

ამით გათავდა ჩვენის ქალების დაბინავებაზედ ლაპარაკი.

## თავი XII.

ბედს თითქო ვეკფილდელ მოძღვრის ოჯახის დამცირება უნდა. ხშირად უბრალო უსიამოვნობა დიდს უბედურებაზედ უფრო ძნელია.

შინ რომ დავბრუნდით, მთელი საღამო ჩემის ქალების მომავალს ბედზედ ვფიქრობდით. ჩემი ცოლი სულ იმასა ლაპარაკობდა, რომელს ჩვენს ქალს უფრო კაი ადგილი ეჭირება და უფრო კაი ხალხს გაიცნობსო. მხოლოდ ერთს რასმეს შეეძლო ჩვენი ბედი უკუღმა დაეტრიალებინა—ტორნჰილის სიტყვას, მაგრამ ის ისეთის მეგობრულის თვალით გვიცქეროდა რომ ეჭვი არ იყო კარგის აზრისა იქნებოდა ჩვენზედ. ლოგინშიაც კი ჩემი ცოლი სულ ამ საგანზედ მელაპარაკებოდა:

— ჩვენში რომ ვთქვათ, მგონი დღეს ძალიან კარგი საქმე გავარიგეთ, მეუბნებოდა იგი.

— ძალიან კარგი, მივუგე მე და არ ვიცოდი სხვა რაღა უნდა მეთქვა.

— ძალიან კარგი და მეტი არაფერი! ძალიან კარგი კი არა, ჩინებული. წარმოიდგინე, ჩვენი ქალები ლონდონის საზოგადოებას გაიცნობენ. მე დარწმუნებული ვარ რომ მთელს ქვეყანაზედ ლონდონისთანა საქმროები არსად არ იქნება. ამას გარდა ბევრი საოცარი საქმე ხდება ქვეყანაზედ, და თუ დიდკაცთა ცოლები ასე კარგად ექცევიან ჩვენს ქალებს, განა არ შეიძლება რომ, თვითონ დიდი-კაცნიც ასე მოექცნენ? მე, სწორე გითხრა, ძალიან მომწონს ბლარნი მისის გულ-კეთილობისათვის და სკეგსისთვის თითქმის ფეთება მომდის. ხედავდი, როგორ ჩავერიე მათ ლაპარაკში, როცა კი სიტყვა ადგილების შოვნაზედ ჩამოვარდა? სწორე მითხარ, კარგად არ მოვიქეცი, კარგად არ ვიზრუნე ჩემის ქალების ბედისათვის?

მე არ ვიცოდი რა მეპასუხნა და ისე წარმოვსთქვი:

— ღმერთმა ქნას რომ ცუდი არა დამართოდეთ-რა!

ამ სიტყვებს მე ხშირად ვამბობდი რომ ჩემის ცოლისთვის უფრო ჭკვიანად და შორს-გამჭვრეტად მეჩვენებინა თავი. თუ ჩემი ქალები კარგად დაბინავდებოდენ, მაშინ ეს მხოლოდ კეთილის ნატვრა იქმნებოდა და ასრულდებოდა კიდეც, და თუ უბედურება დაემართებოდათ რამე, მაშინ ეს სიტყვები წინასწარ-მეტყველებასავით გამოვიდოდა.

ეს ლაპარაკი მხოლოდ წინა-სიტყვაობა იყო ერთის აზრის გამოსათქმელად და მეც ამ აზრის გამოთქმისა მეშინოდა. ეს ის აზრი იყო რომ, რა კი ესლა უფრო რიგიანი ცხოვრება შეგვფეროდა, გაგვეყიდნა ულაყი ცხენი, იქვე ახლო ბაზარში და ამ ბებერის ცხენის მაგივრად ისეთი ცხენი გვეყიდნა, რომელზედაც ერთსაც შეეძლებოდა შეჯდომა და გაჭირებაში ორსაც; ეკლესიაში და სტუმრად წასვლის დროსაც გამოგვდგომოდა. ამაზედ დიდი უარი ვსთქვი, მაგრამ სხვებმაც

დიდი ჯიუტობა გამოიჩინეს. მე თან-და-თან ნებას მივყევ, ჩემნი მოპირდაპირენი კი ისევ თავისას ამბობდენ და ბოლოს გადავწყვიტეთ ჩვენის ცხენის გაყიდვა.

ბაზრობა მეორეს დღეს იყო და მე თითონ მოვინდომე იქ წასვლა, მაგრამ ჩემმა ცოლმა მითხრა, შენ გაცივებული ხარ და არას გზით არ გაგიშვებო; არც გამიშვა.

— ჩვენი მოსე ჭკვიანი ბიჭია, მითხრა ცოლმა, და კარგად შეუძლიან გაყიდვაცა და ყიდვაც. მთელი ჩვენი შინაური ავეჯეულობა მაგისაგან არ არის ნაყიდი?! ეგ დადგება და იმდენს ხანს ევაჭრება, რომ ვაჭარსაც კი დაღალავს ლაპარაკით და სავაჭროს გამოიტანს.

მეც ვიცოდი რომ, მოსე გონიერი ყმაწვილი იყო და ამიტომ უარი არა ვსთქვი, ეს საქმე იმისთვის მიგვენდო. მეორეს დღეს ჩემი ქალები მოსეს სულ გარშემო უტრიალებდენ და რთავდენ ბაზარში წასასვლელად: თმა დაუხუჭუჭეს, შეუსწორეს და ქუდი გაულამაზეს. კარგად რომ მოირთო, მოსე შეჯდა ულაყს ცხენზედ და წინ ერთი ხის ყუთი შემოიდგა ბაზრიდამ რაგინდარაების მოსატანად. ზედ ეცვა მწვანე მაუდის სერთუკი, რომელიც თუმცა კი მოკლე იყო, მაგრამ ჯერ ცოდო იყო იმისი გადაგდება; ჟილეტკა მოყვითალო ეცვა და თავზედაც დებმა განიერი შავი ლენტი შემოაკრეს. ჩვენ რამდენსამე მანძილზედ გავაცილეთ და ვიდრე თვალთაგან მიგვემალებოდა, მივყვიროდით: „გზა მშვიდობისა, გზა მშვიდობისაო!“

წავიდა თუ არა მოსე, ტორნჰილის კარის-კაცი მოვიდა ჩვენთან და გვახარა, მომილოცავს, მე ყური მოვკარ რომ, ჩემი ბატონი კარგებს ამბობდა თქვენზედაო.

ერთს სასიამოვნო ამბავს მეორეც მოჰყვა. იმავე სასლი-

დამ მოვიდა ბიჭი და ბარათი მოუტანა ჩემს ქალებს ქალაქელ ქალებისაგან; იწერებოდენ, ისეთის კარგის აზრისაა ტორნჰი-ლი თქვენზედ რომ, ცოტაოდენის ცნობის შეკრეფის შემდეგ, იმედია ჩვენ-შუა ყველაფერი გარიგდებაო.

— მე ვხედავ, წამოიძახა ჩემმა ცოლმა, რომ ჯერ ძნელი ყოფილა დიდ-კაცებში გარევა, და თუ ერთი გაერიე, მერე, მოსვენი არ იყოს, დრიგინ-დრიგინით მიდიხარ.

ჩემს ცოლს ეს სიტყვა ოხუნჯობად მიაჩნდა და ქალებმაც ისეთი გადიხარხარეს, რომ დაარწმუნეს, კითომ სწორედ მოსწრებულად იყო ნათქვამი. ამ ამბის მოტანამ, ერთის სიტყვით, ისე გაახარა ჩემი ცოლი, რომ ჯიბიდამ გროშები ამოიღო და მახარობელს აჩუქა.

ის დღე სწორედ სტუმრობის დღე იყო. იმ ორის კაცის შემდეგ მოვიდა ბორჩელი ბაზრიდამ ჩემს პატარებს მოუტანა სათითაოდ თეთრს პურზედ გამოჭრილი ანბანი. ჩემმა ცოლმა ეს პური შეინახა და დაჰპირდა თითო ასოობით მოგცემთო. ბორჩელმა მოუტანა აგრეთვე ჩემს ქალებს პატარა ყუთები, რომელშიაც იმათ შეეძლოთ შეენახათ ფოჩტის მარკები, ბურნუთი, სახის სალები და ფულიც, როცა კი ექნებოდათ. ჩემს ცოლს კი ფულის შესანახავად ყოველთვის მერცხლის ტყავის ქისა ჰქონდა, ბედნიერი არისო.

ჩვენ კიდევ კარგად ვეპყრობოდით ბორჩელს, თუმცა იმისმა უზდელმა ქცევამ ამ ბოლოს დროს ცოტა გული აგვიცრუა. მაინც ვერ მოვითმინეთ, ვუამბეთ, რა ბედი გველოდა და რჩევა ვკითხეთ. თუმცა რჩევას ძვირად მივდევდით, მაგრამ მის მოსმენას არ გვეზარებოდა. ქალაქელ ქალების ბარათი რომ წაიკითხა, თავი გადააგდ-გადმოაგდო და სთქვა, ამისთანა საქ-

მე კაცმა სიფთხილით უნდა დაიჭიროსო. ეს დაუნდობლობა ჩემს ცოლს ძალიან ეწყინა.

— მე ყოველთვის დარწმუნებული ვიყავ, სთქვა იმან, რომ თქვენ ჩემთვის და ჩემის ქალებისთვის სიკეთე არ გინდათ. თქვენ მეტის-მეტის სიფთხილით იქცევით და თუ რჩევა დაგ-ვჭირდება ვისიმე, იმისთანა პირთ მივმართავთ, რომელთაც სხვის რჩევაც გამოუყენებიათ

— ჩემს ყოფა-ქცევაზედ აქ მგონი ლაპარაკი არა ყოფილა, მიუგო ბორჩელმა და მე არა მგონია, რა კი სხვის რჩევა ვერ გამოვიყენე, ნება არა მქონდეს სხვას ვურჩიო რამე.

მე დავატყე რომ, ამ პასუხს, თუ არ მარჯვე, ცხარე პა-სუხი მაინც მოჰყვებოდა და სიტყვა ბანზედ გადავუგდე, რა-ვქნა, რატომ ასე იგვიანებს მოსე ბაზარში, აგერ დაღამდა მეთქი.

— ჩემის შვილისა ფიქრი ნუ გაქვს; ის საქმეს არ წაახ-დენს, წვიმაში ქათამს არ გამოიყვანს გასაყიდად. მერე იცით რა იაფად ვაჭრობს ხოლმე? ერთს ამბავს გიამბობთ იმისას რომ, გულ-მუცელი სიცილით დაგასკდებათ. აი — აგერ თითონ მოსეც მოდის; ცხენი გაუყიდნია და ყუთი ზურგზედა ჰკიდია.

ამ ლაპარაკში, მართლა მოსეც მოვიდა ქვევითი; ოფლი წურწურით ჩამოსდიოდა შუბლიდამ, რადგან გზაზედ დაღა-ლულიყო და ზურგზედაც პეპა ყუთი ეკიდა.

— გამარჯვება შენი, მოსე, გამარჯვება! აბა რა მოგვიტანე ბაზრიდამ?

— რა მოგიტანეთ და ჩემი თავი, წამოიძახა იმან თავ-მო-წონებით და დადგა ყუთი სტოლზედ.

— ეგ ვიცით, უთხრა ჩემმა ცოლმა, მაგრამ ცხენი რაღა იქნა?

— ცხენი გავყიდე და ავიღე სამი გირვანქა სტერლინგი, ხუთი შილინგი და ორი პენნი.

— აი ბარაქალა, უთხრა ჩემმა ცოლმა, მე ვიცოდი, რომ შენ ვერავინ მოგატყუებდა. სამი გირვანქა სტერლინგი, ხუთი შილინგი და ორი პენნი კაი ღვთის წყალობაა. აბა ფული სად არის?

— ფული თან არ მომიტანია, მიუგო მოსემ. მე იმ ფულით ერთი კარგი რამ ვიყიდე. ამ დროს უბიდამ ამოიღო შეკრული რაღაც და სთქვა: აი ჩემი ნასყიდიც — თორმეტი დუჟინი ვერცხლის მწვანე სათვალე ქაღალდის ბუდეებში.

— თორმეტი დუჟინი მწვანე სათვალე! გაოცებით წარმოსთქვა ჩემმა ცოლმა. მერე ცხენის მაგიერად სათვალეების მეტი არა მოგვიტანე-რა?

— რასა ჯავრობთ დედა, მიუგო მოსემ; ჯერ გამიგონეთ: ეგ სათვალეები თითქმის მუქთად ვიშოვე, თორემ რა მაყიდვინებდა. მარტო რაც მაგათზედ ვერცხლია ერთი-ორად იმ ფულადა ღირს, მაგათში რომ მივეცი.

— ვერცხლი რა თავში ვიხალოთ, ერთი მითხარი! გაჯავრებით წამოიძახა ჩემმა ცოლმა. თუნდა დავიფიცავ რომ, ნახევარ ფასსადაც კი არ გაიყიდება: დაშლილს ვერცხლში უნციაში შილინგის მეტს ვინ ოხერი მოგცემს.

— რასა ცხარობთ? ვუთხარი მე. სხვა ვერცხლი როგორც უნდა გაიყიდოს, ეს ვერცხლი კი გროშადაც არ გავა. ეს ვერცხლი კი არ არის, დაფერილი თითბერია.

— რას ამბობ, წამოიძახა ჩემმა ცოლმა, მაშ ვერცხლისა არ არის?!

— ისეთისავე ვერცხლისაა, როგორისაც შენი ქვაბებია.

— მაშ იმიტომ დავთმეთ ერთი ცხენი რომ, თორმეტი დუ-

ყინი თითბრის სათვალე გვეყიდნა! შავმა ჭირმა წაიღოს, ვინც ეგ გააბრიყვა. არა, შე სულელო, როგორ არ იცოდი, ვისთან იჭერდი საქმეს, როგორ არ იცნობდი იმისთანა ხალხსა?

— ღმერთმა დაიფაროს იმათის გაცნობისაგან, წარმოვსთქვი მე.

— ამისთანა სიმხეცე გაგონილა, ჯავრობდა კიდევ ჩემი ცოლი. რაში მინდოდა რომ ეს ჩიხი-მახოები მომიტანე. ახი არ არის რომ ავიღო და სულ ერთიანად ცეცხლში ჩავყარო!

— ეგეც მეტის-მეტია; თუმცა სათვალეები თითბრისაა, მაგრამ რად გადავყაროთ?! სულ უარარაობას, ისევ თითბრის სათვალეები სჯობს.

მოსე მიხვდა რომ, მოტყუებული იყო. ეს მოხვედრილიყო ვიღაც მაწანწალა მატყუარას მახეში; ალბად სახეზედ დაატყო, რომ ადვილად შეიძლებოდა ამის გაცურება. მე გამოვკითხე, როგორ მოხდა ეგ ამბავი მეთქი და აი რა მიამბო:

— ცხენი რომ გავყიდე, დავდიოდი ბაზარში და სხვა ცხენს ვეძებდი საყიდლად, ერთმა დარბაისლურად ჩაცმულმა კაცმა წამიყვანა თავის კარავთან, მე მყავს ერთი გასაყიდი ცხენიო. იქ კიდევ ერთი ვიღაც კარგად ჩაცმული კაცი ვნახე, რომელიც ამ სათვალეებს აგირავებდა ოც გირვანქა სტერლინგად, ძალიან მიჭირს ფული, თორემ სამოციც მეტი ღირსო. რომელმაც მომიყვანა, წამაჩურჩულა, კითომ-და მეგობრულად, იყიდე, ამისთანა შემთხვევას ხელიდამ ნუ გაუშვებო. მე ფლამბოროს დავუძახე რჩევის საკითხავად, მაგრამ იმასაც ჩემსავით თვალები აუხვიეს და თითოს თორმეტ-თორმეტი დუჟინი სათვალე მოგვყიდეს.

## თავი XIII

ბორჩელი ჩვენი მტერი ყოფილა, რადგან ჰკადნიერდება და უსიამოვნო რჩევას გვაძლევს.

ჩემი ცოლ-შვილი რამდენჯერმე ეცადა თავი კარგად გამოეჩინა, მაგრამ ყოველთვის რომელიმე მოულოდნელი შემთხვევა უქმებდა განზრახულს. ხშირად ამ გვარი ამბავი მათ შეურაცხ-ყოფდა და ამ შეურაცხ-ყოფას მე სხვაფრივ გამოვიყენებდი ხოლმე: ვცდილობდი შემებაწრა მათი პატივ-მოყვარეობა და მათ გულში სიკეთე ჩამენერგა.

— ხომ ხედავთ, რა ფუჭი არის ხალხში თავის გამოჩენა და დიდ-კაცთა მიბაძვა, ვეუბნებოდი მე. ვინც კი ღარიბია და მხოლოდ მდიდრებს მისდევს,—ვერც ერთგან მოთავსდება, ვერც მეორეგან. ღარიბებს შესძაგდებათ და მდიდრები ზიზღით დაუწყებენ ყურებას. უთანასწორობა ღარიბებისთვის არის ძნელი, თორემ მდიდრებს იმით არაფერი აკლდებათ. აბა რიჩარდ, მოდი გვიამბე ის არაკი წეღან რომ ჰკითხულობდი, ვუთხარი მე ჩემს პატარა შვილს და ისიც მოჰყვა არაკს.

„იყო და არა იყო-რა, იყო ერთი დევი და ერთი პატარა-კაცი. დაუმეგობრდენ ერთმანერთს და სცხოვრობდენ ერთად. შეჰკრეს პირობა, ერთმანერთს თავს ნუ დავანებებთ, წავიდეთ და ბედი ვეძებოთო. წავიდნენ, იარეს, იარეს და შეხვდენ ორს თათარს; პატარა-კაცი ძალიან დიდ-გულა იყო და ერთს თათარს კარგი ღონიერი მუშტი დაჰკრა, მაგრამ კი ვერა დააკლო-რა. თათარმა ხმალი მოუქნია და მკლავი გააგდებინა. საწყალი პატარა-კაცი დარჩა უმკლავო, მაგრამ მალე დევი

წამოეშველა და ორივ თათარი იქვე დახოცა. გაჯავრებულმა პატარა-კაცმა მკვდარს თავი გააგდებინა. ახლა სხვა მხარეს წავიდნენ და წინ სამი მგელ-კაცა შემოეყარათ. ამ მგელ-კაცებს ერთი საცოდავი ქალი მოეტაცნათ. პატარა-კაცი ახლა უფრო წყნარად იქცეოდა, მაგრამ მაინც ვერ მოითმინა და პირველმა მოუღერა მუშტი ერთს მგელ-კაცას. მგელ-კაცამაც დაჰკრა და თვალი ამოსთხარა. ამ დროს დევი მიეშველა და მგელ-კაცები რომ არ გაქცეულიყვნენ, ერთიც ვერ გადარჩებოდა ცოცხალი. ეს გამარჯვება ორივეს ძალიან უხაროდათ და ქალიც ხელში შერჩათ, ქალმა დევი შეიყვარა და ქმრად შეირთო. მერე წავიდნენ კიდევ შორს, შორს და ავაზაკებს შეხვდენ. პირველად დევმა გამართა ბრძოლა, მაგრამ პატარა-კაციც უკან არ ჩამორჩა. იბრძოლეს ცხარედ და დიდ-ხანს. დევს ვერც-ერთი ვერ უმაგრდებოდა, მაგრამ პატარა-კაცი რამდენჯერმე კინაღამ მოჰკლეს. ბოლოს ისევ ამათ გაიმარჯვეს, მაგრამ პატარა-კაცს ერთი ფეხი მოსჭრეს ავაზაკებმა. დევი არც კი გაკაწრულა, მაგრამ პატარა-კაცი დარჩა ერთის ფეხის, ერთის ხელისა და ერთის თვალის ანაბარას. დევმა უთხრა პატარა-კაცს, ჩემო პატარა გმირო, სანაქებოდ ვატარებთ დროსა, ერთხელ კიდევ რომ სადმე გავიმარჯვოთ, მაშინ საუკუნოდ ვისახელებთ თავსა.“ პატარა-კაცი ახლა კი ცოტა მოჭკვიანდა და მიუგო დევსა: „არა ძმაო, ბრძოლა ჩემი საქმე არა ყოფილა, თავი დამანებე; როგორც ვატყობ ყოველს ბრძოლაში სახელი და ნაალაფევი შენა გრჩება და მე კი ცემა-ტყეპის მეტი ვერა ვირგუნე-რა.“

მე მინდოდა ამ არაკის ძალით დარიგება მიმეცა რამე, მაგრამ ჩემს ცოლს და ბორჩელს ცხარე ლაპარაკი გაემართნათ ჩემის ქალების ქალაქში წასვლის თაობაზედ და ვეღარა ვთქვი-

რა: ჩემი ცოლი გაცხარებული ამტკიცებდა რომ, ეს ჩემის ქალებისთვის ძალიან სასარგებლო იქნებაო, მაგრამ ბორჩელი კიდევ უფრო ცხარედ უმტკიცებდა, დიდი შეცდომას მოგივათო. მე კი ამ ბაასში არ გავრეულვარ. ბორჩელი თითქმის იმასვე ამბობდა, რითაც ისე რიგად აღვაშფოთა იმ დილით.

ბაასი თან-და-თან უფრო გაცხარდა: ჩემმა ცოლმა, საბუთები რომ შემოელია, ყვირილს მოუმატა და მხოლოდ იმითი იხსნა თავი რომ ერთი საშინელი შეჰკივლა. ბოლოსაც ისე დაიბნა რომ ყველა შეგვაწუხა თავის უსიამოვნო ლაპარაკით:

— მე ვიციო რომ ზოგიერთებს გულში სხვა მიზეზი უძევთ და იმიტომ გვაძლევენ ამისთანა რჩევას; ის ემჯობინებოდა, ამისთანა ხალხს ჩვენს სახლში ფეხი ამოეკვეთნა.

— ბატონო ჩემო, მიუგო ბორჩელმა დამშვიდებულის სახით, რამაც უფრო აალელვა ჩემი ცოლი: თქვენ მართალსა ბძანებთ, მე გულში სწორედ სხვა მიზეზები მიძევს და არც გაგიმხელთ იმათ, რადგან თქვენ იმ მიზეზების დარღვევასაც ვერ ახერხებთ, რომელნიც ეხლა წარმოგიდგინეთ. ჩემი მოსვლა კი თუ ეგრე გწყინთ, მშვიდობით ბძანდებოდეთ, წავალ და იქნება მხოლოდ ერთხელღა მოვიდე გამოსათხოვებლად, როცა ამ მხარეს სრულებით თავს დავანებებ.

ესა სთქვა, ქუდი აიღო და წავიდა. სოფიომ თვალებით ბევრი უსაყვედურა ამ აჩქარებისათვის, მაგრამ ვერც ამ საყვედურმა გააჩერა.

ბორჩელის წასვლის შემდეგ რამდენსამე წუთს შემკრთალენი ვისხედით ჩუმად და ერთმანერთს შევცქეროდით. ჩემი ცოლი მიხვდა რომ, ამ უსიამოვნო ამბის მიზეზი თითონ იყო; სცდილობდა გაეღიმა და მშვიდობიანი სახე ეჩვენებინა

ჩვენთვის, ვითომ-და აქ არაფერი ამბავიაო. ეს მე, სწორე გითხრათ, არაფრად მომეწონა და ვუთხარი:

— რასა ჰგავს ეს საქციელი? განა უცხო პირი ეგრე უნდა გვეპყრობოდეთ? ეგრე უნდა ვუხდიდეთ სიკეთესა? ჯერ მე შენის პირიდამ მაგისთანა მკვახე სიტყვები არსად გამიგონია და შენს ლაპარაკს ასე არსად არ ავუღელვებივარ.

— თითონ იმისვე ბრალი იყო, მომიგო იმან. მე კარგად ვიცი, რა მიზეზითაც მაძლევდა იმ რჩევას. იმას უნდოდა, ჩემი ქალები არ წასულიყვნენ და აქ ჩემის უმცროსის ქალის ნახვა ხშირად შესძლებოდა; მაგრამ რაც უნდა მოხდეს, ჩემს ქალს უფრო კაი ბედი უნდა მოელოდეს, ვიდრე ვიღაც უმზგავსოს გადაკიდება.

— რად ეძახი უმზგავსოს?! იქნება ჩვენ მაგ კაცის ხასიათი კარგად არ ვიცოდეთ; ხანდისხან ვერა ჰხედავ, რა გაზდილსა და ჭკვიანს კაცსა ჰგავს! აბა, სოფიო, უთქვამს რამე თავის-დღეში იმას შენთვის თავის სიყვარულზედ ან პირ-და-პირ, ან გადაკვრითა?

— მე არ მახსოვს რომ მაგისთანა რამ მომხდარიყოს, მომიგო სოფიომ. ყოველთვის ზდილობიანად და ჭკვიანურად მელაპარაკებოდა. ერთხელ კი მითხრა რომ, ჩემს დღეში იმისთანა ქალი არ მინახავს, რომელიც ღარიბს კაცში რასმე ღირსებას ჰხედავდესო.

— ყველა უბედური და ზარმაცე მაგის მეტს კი არას ამბობ, ვუთხარი მე. მე მგონია, შენ ეხლა კარგად იცნობ მაგისთანა ხალხს და სიგიჟე იქნება, მოელოდე ბედნიერებას იმისთანა კაცისაგან, რომელმაც თავის-თავის მოვლაც კი ვერ შეიძლო. მე და დედა-შენი უფრო უკეთესს ბედს გიმზადებთ:

მომავალს ზამთარს ქალაქში გაატარებ და იქ უფრო გონივრულად ამოირჩევ შენს საქმროს.

არ ვიცი სოფიო ამ ლაპარაკის დროს რასა ჰფიქრობდა, მაგრამ მე კი გულში სამწუხაროდ არა მქონდა რომ ბორჩელს მოვრჩით. ვინ იცის, იქნება ბოლოს რა უსიამოვნობა მოეყენებინა. სტუმრის პატივის-ცემა კი ვერ მოგვივიდა რიგიანი, მაგრამ ესეც მალე ავიტანე. ჩემი სინიდისი სხვა-და-სხვა მოგონილის მიზეზებით დავამშვიდე, და მართალი უნდა ვსთქვა, სინიდისის ტანჯვისთანა ადვილად დასაშოშმანებელი არა არის-რა. სინიდისი ლაჩარი რამ არის და ვერა ჰზედავს იმ ცოდვათა გაჰკიცხვას, რომელთ თავიდამ აცილება არ შეუძლიან.

## თავი XIV

ახალი უსიამოვნობა, ანუ იმის დამტკიცება რომ, რაც კი უბედურება გვგონია, შეიძლება ნამდვილ ბედნიერებად გადაიქცეს.

დავნიშნეთ დღე ჩემის ქალების ქალაქში წასვლისა. თითონ ტორნჰილი დაგვპირდა, მე ყურს ვუგდებ თქვენის ქალების ყოფა-ქცევას და ყოველისფერს წერილით შეგატყობინებთო. რადგან ჩემს ქალებს კაი ბედი მოელოდათ, აუცილებლად საჭირო იყო რომ, ამ ბედის მისაგებებლად ტანისამოსიც კარგი სცმოდათ, და ამის შოვნა უფულოდ შეუძლებელი იყო. მთელი ოჯახი შეიკრიბა იმის გადასაწყვეტად, რა ღონით უნდა მოგვეპოვა საჭირო ფული, ან ისა სჯობს ვსთქვათ, რა უფრო გამოგვემეტებოდა გასასყიდად. რჩევაში ეს დავაწყვეთ რომ, მეორე ცხენი გუთანში შესაბმელად აღარ ვარგო-

და, რადგან ტოლი აღარა ჰყავდა და აღარც ეკიპაჟში შესაბმელად გამოდგებოდა—ცალის თვალით ბრმა იყო. გადავწყვიტეთ იმისი გაყიდვა და თითონ მე უნდა წასულვიყავი ბაზარში, თორემ შეიძლებოდა კიდევ მოვეტყუებინეთ. თუმცა ჩემს დღეში ვაჭრობისა არა ვიცოდი-რა, მაგრამ იმედი მქონდა ამ საქმეს რიგიანად შევასრულებდი. კაცი ყოველთვის თავის-თავზედ იმ აზრისაა, რა აზრისაც სხვები არიან იმის შესახებ და რადგან მე გარშემო მხოლოდ ჩემი სახლობა მეხვია და აქებდა ყოველს ჩემს საქმეს, მეც წარმოვიდგინე რომ ყოველისფერი გამომივიდოდა ხელიდამ. მაინცა-და-მაინც მეორე დღეს წასვლა რომ დავაპირე და ორიოდ ნაბიჯი გადავდგი, ჩემმა ცოლმა უკან დამაბრუნა და წამაჩურჩულა, თვალი კარგად გეჭიროსო.

ბაზარში რომ მივედი, ჩვეულებისა-მებრ ჩემი ცხენი ავატარ-ჩამოვატარე, მაგრამ დიდ-ხანს მყიდველი არსადა სჩანდა. ბოლოს მოვიდა ერთი დალალი, კარგად დაათვალიერა ჩემი ცხენი და ცალის თვალით სიბრმავე რომ შენიშნა, აღარაფერი შემომაძლია; მეორემ მითხრა, მუხლი დაშავებული აქვს და მუქთადაც რომ მომცე, არ წავიყვანო; მესამემ ქუში დასწამა; მეოთხემ თვალებზედ შეატყო რომ ჭია უნდა ჰქონდესო; მეხუთემ მითხრა, რა ოხრად გინდა რომ ბაზარში ბრმა, ქუშიანი და მუხლ-დაშავებული ცხენი მოგყავსო, წადი დაჰკალი და ხორცი ძაღლებს გადუყარეო. ამდენმა მაგებამ ჩემი საწყალი ცხენი მე თითონვე შემაზიზღა და როცა მყიდველი მიახლოვდებოდა, თითქო მრცხვენოდა. თუმცა ყველაფერი კი არა მჯეროდა, რასაც ამბობდა ეს ხალხი, მაგრამ ყველანი ისე ერთ-ხმად ამაგებდენ რომ, მე თითონ ეჭვი შემივიდა, ალბად მართალი არის მეთქი. წმიდა გრიგოლიც ამას ამბობს თავის თხზულებაში კე-

თილ-საქმეთათვის, რომ მრავალთა მოწმობა სიმართლის ნი-შანიაო.

ამ ძნელს ყოფაში რომ ვიყავ, მოვიდა ერთი ჩემი ძველი ნაცნობი მღვდელი, რომელსაც ჩემსავით რაღაც საქმე ჰქონო-და ბაზარში, ხელი ჩამომართვა და ტრაქტირში მიმიპატიჟა, წავიდეთ, თითო სტაქანი დავლიოთ რამეო. მე დავთანხმდი, შევედით ტრაქტირში და იქ ერთს პატარა ოთახში დაგვსხეს. იმავე ოთახში იჯდა ერთი დარბაისელი მოხუცებული, რომელ-საც ერთი დიდი წიგნი დაედო წინ და გულის-ყურით კით-ხულობდა. მე იმისთანა მიმზიდავი სახე ჩემს სიცოცხლეში არ მენახა. ჭაღარა თმა ლოყებამდე გარდმოჰფენოდა და სახეზედ ეტყობოდა, ჯანის სიმრთელითა და გულ-აუშფოთებლად გაე-ტარებინა თავის ცხოვრება.

ამ ბერი-კაცის იქ ყოფნამ ლაპარაკი არ შეგვაწყვეტინა: მე და ჩემმა მეგობარმა ვუამბეთ ერთმანეთს ჩვენი თავ-გარდასა-ვალი; ვილაპარაკეთ ვისტონის სჯაზედ, ჩემს უკანასკნელს წიგ-ნზედ, არხიდიაკონის წინააღმდეგობასა და ჩემის აზრების ავად მოპყრობაზედ.

მალე ჩვენი ყურადღება მიიქცია ერთმა ყმაწვილმა კაცმა, რომელიც შემოვიდა ოთახში და მოწიწებით რაღაც უჩურჩუ-ლა უცხო ბერი-კაცს.

— ნუ მაქებ ტყუილად, შვილო ჩემო, უთხრა ბერი-კაცმა. ჩვენი ვალი არის, ყველას შემწეობა გავუწიოთ; აჰა, წაიღე ქისა და ბოდიშს ვითხოვ სიცოტავისთვის, მაგრამ, მგონია ხუთი გირვანქა სტერლინგი საკმარისი იყოს, მაგ ცუდს ყო-ფიდამ დაგიხსნას.

ყმაწვილს-კაცს თვალს ცრემლი მოერია და ისე განუცხა-და მადლობა ბერი-კაცს, მაგრამ მე იმ ყმაწვილ-კაცზედ ნაკ-

ლებ არ ვუმადლიდი მას. ამ კეთილმა საქმემ ისე აღმიტაცა რომ, კინაღამ მივარდი და შემოვეხვიე იმის მომქმედს.

ზერი-კაცმა კიდევ კითხვა დაიწყო და ჩვენც ჩვენს ლაპარაკს დავუბრუნდით, მაგრამ უეცრად ჩემს ნაცნობს მოაგონდა რომ, რაღაც საქმე ჰქონდა ბაზარში და მთხოვა აქ მამიცადე, ეხლავ დავბრუნდებიო.

— ჩემთვის დიდად სასიამოვნო იქნება რომ, დიდ-ხანს შემძლოს ყოფნა დოქტორ პრიმროზთანაო, დაუმატა იმან.

ჩემი გვარი რომ გაიგონა, ზერი-კაცმა მაღლა აიხედა, დამიწყო ყურება და როცა ჩემი ნაცნობი გავიდა, ზდილობიანად მკითხა:

— თქვენ რა ხართ იმ დიდის პრიმროზისა, რომელიც გამოჩენილი მონოგამისტი და ჩვენის სარწმუნოების ზღუდეა?

ჩემს დღეში ისე არა მსიამოვნებია-რა, როგორც ამ სიტყვებმა მასიამოვნეს.

— ბატონო ჩემო, მივუგე მე, თქვენმა კეთილ-მოქმედებამ ჩემს გულში დაამყარა ბედნიერება და ეხლა თქვენისთანა კეთილის კაცისაგან ქებამ ეს ბედნიერება ერთი-ორად აქცია. თქვენ ხედავთ თქვენს წინ იმ დოქტორს პრიმროზს, მონოგამისტს, რომელსაც თქვენ «დიდი» უწოდეთ. თქვენ ხედავთ თქვენს წინ იმ უბედურს მოძღვარს, რომელიც დიდ-ხანს, და არ შემფერის ვსთქვა, გამარჯვებული ებრძოდა ორ-ცოლობის მომხრეთ.

— უკაცრავად, წამოიძახა ზერი-კაცმა განცვიფრებით, უკაცრავად რომ გაწყენინეთ და ასე კადნიერად მოგექეცით, მაგრამ იმედი მაქვს, მომიტევებთ ჩემს ცნობის-მოყვარეობას.

— თქვენის ქცევით კი არ მაწყენინეთ, ისე რიგად მასიამოვნეთ რომ, გთხოვთ მიგულოთ თქვენს მეგობრად და ღრმად პატივის-ცემლად, მივუგე მე საჩქაროდ და ჩამოვართვი ხელი.

— გმადლობ, გმადლობ, მეგობრობისათვის შენ მკვიდრო დედა-ბოძო ჩვენის სარწმუნოებისაო. მართლა თვალები არ მატყუებენ....

აქ მე სიტყვა გავაწყვეტინე; თუმცა როგორც ავტორს შემეძლო ბევრი ქება ამეტანა, მაგრამ ეს მეტის-მეტი იყო.

არა რომანში ასე უცებ ორს არსებას არ შეჰყვარებიათ ერთმანერთი, როგორც მე და იმას შეგვიყვარდა. ჩვენ დავიწყეთ ლაპარაკი სხვა-და-სხვა საგნებზედ; ჯერ მეგონა რომ ის უფრო ღვთის მოსავი იყო, ვიდრე სწავლული და სძაგდა ყოველივე მეცნიერება. ამ აზრს სრულებითაც არ დაუმცირებია მისი ღირსება, რადგან ერთს დროს მეც თვითონ მაგ აზრისა ვიყავ და ამიტომ წარმოვსთქვი:

— ქვეყანა ძალიან გულ-ცივად ეკიდება სარწმუნოების დოგმატებს და უფრო კაცის გონების გავითარებას მისდევს.

— დიაღ, ბატონო, მომიგო იმან და ესლა გამოიჩინა მთელი თავისი სწავლა; დიაღ, ქვეყანა გაუგუნურდა, მაგრამ კოსმოგონია, ანუ შექმნა ქვეყნისა აბრკოლებდა მრავალთა საუკუნეთა ფილოსოფოსებს. რა აზრი არ წარმოსთქვეს იმათ ქვეყნის შექმნაზედ? ტყუილად იშრომეს სანხონიათონმაც, მანეთომაც, ბეროზუსმაც, ოცელუს ლუკანუსმაც. უკანასკნელმა აი რა სიტყვები წარმოსთქვა: ანარხონ არა კაი ატელუტაიონ ტო პან, რაიცა ნიშნავს: არც ერთს საგანს არა აქვს არცა დასაწყისი, არცა დასასრული. მანეთომ, რომელიც ნაბუქოდონოსორის დროს იყო,—ოსორი არის სირიული სიტყვა და მიემატება იმ ქვეყნის მეფეთა სახელს, მაგალითად ტეგლატფალელ-ოსორ, ნაბონ-ოსორ,—ჰო მანეთომაც ერთი უცნაური აზრი შეადგინა: ეკ ტო ბიბლიონ კუბერნატეს; ეს ნიშნავს, წიგნნი ვერ ასწავლიან ხალხსა. ის სცდილობდა გამოეკვლია....

მაგრამ უკაცრავად ბატონო, მე ცოტა სხვა საგანზედ გადავედი.

მართალია რომ სხვა საგანზედ გადავიდა და არ მესმოდა, რა კავშირი უნდა ჰქონოდა ქვეყნის შექმნას ჩვენს უწინდელს ლაპარაკთან; მაგრამ ამ საუბრით დამიმტკიცა რომ ნასწავლი კაციც იყო და უფრო მეტის პატივის-ცემით დავუწყე ცქერა. მე მოვიწადინე, გამემართა მასთან ბაასი, მაგრამ ის ისეთი მშვიდი და ტკბილი კაცი იყო რომ არაფრად მიაჩნდა გამარჯვება. როდესაც კი ყურადღების ღირსს ვიტყოდი რასმეს, ის გაიღიმებდა, თავს გაიქნ-გამოიქნევდა და სხვას კი არ ილებდა; თითქო უნდოდა ეთქვა, ბევრს ვიტყოდი, რომ ლაპარაკის დრო იყოსო.

უეცრად შევცვალეთ ლაპარაკის კილო, ძველს ამბებს თავი დავანებეთ და ვუამბეთ ერთმანერთს რა საქმისთვის მოსულვიყავით ბაზარში. მე ვუთხარი, ცხენი მყავს გასასყიდი მეთქი და ჩემდა სასიხარულოდ, იმას ცხენის ყიდვა ნდომებოდა თავის იჯარადრებისთვის. ჩემი ცხენი მოვაყვანინე და მაშინვე მოვრიგდით. ჯიბიდამ ამოიღო ოც-და-ათი გირვანქა სტერლინგის ბილეთი და მთხოვა, დამიხურდავეო. მე ხურდა არა მქონდა და ამიტომ თავის ლაქიას დაამახსენებინა, რომელიც ჩინებულად იყო ჩაცმული.

— აჰა, აბრამ, წადი და ეს ოქროზედ დაახურდავე; ჩვენს მეზობელს ჯაკსონს ექნება, ან სხვა ვისმეს.

ვიდრე ბიჭი დაბრუნდებოდა, იმან დამიწყო ლაპარაკი, ვერცხლი ძლიერ გაძვირდაო; მეც დავუმატე რომ, ოქროც ძალიან გაძვირდა მეთქი, ასე რომ ვიდრე აბრამ მოვიდოდა ორივენი დავთანხმდით, ესლანდელს დროში რომ ფულის სიძვირეა, არას დროს არა ყოფილაო.

აბრამი დაბრუნდა და შემოგვჩივლა, მთელი ბაზარი შემოვიარე და ვერ დავახურდავე, თუმცა დასახურდავებლად ნახევარ კროუნი (კროუნი—მანათ-ნახევარია) ვაძლიეო. ეს ყველას გვეწყინა; ბერი-კაცი ცოტა ჩაფიქრდა და შემდეგ მკითხა, ხომ არ იცნობ სოლომონ ფლამბოროს, იქ თქვენს მხარეზედა სდგასო. მე ვუპასუხე რომ ჩემი ახლო მეზობელია მეთქი.

— მაშ თუ აგრეა, მომიგო იმან, მგონია ვაჭრობა არ მოგვიცდეს. მე იმასთან ბარათს მოგცემთ, ჩემი ფული მართებს და იმ წამსვე ჩაგაბარებთ. მე თქვენ დაგარწმუნებთ რომ, იმისთანა შეძლებული კაცი თქვენს მხარეზედ არავინ მეგულება. სოლომონი და მე ბავშობიდამვე ვიცნობთ ერთმანერთს; რამდენჯერ გვისტუმნია ერთად.

მე ვიცოდი რომ ჩემი მეზობელი ფულს დაუყოვნებლივ მომცემდა; ამიტომ ხელი მოვაწერინე და ჩავიდე ბარათი ჯიბეში. ბერი-კაცი—ჯენკინსონი, იმის მსახური აბრამი და ჩემი ცხენი-ბლაგბერი სხვა მხრისკენ გაეშურნენ დიდად კმაყოფილნი ერთმანერთისა.

ცოტა ხნის უკან ჩავფიქრდი და შევინანე რომ უცნობის კაცის ბარათს ვენდე; განვიძრახე გამოდგომა და ცხენის უკანვე გამორთმევა, მაგრამ გვიანღა იყო. ამის გამო დავაშურე შინ წასვლა; მინდოდა, რაც შეიძლებოდა მალე ბარათის მაგიერად ჯიბეში ფული ჩამედო. ჩემი მეზობელი თავის კარებთან იდგა და ჩიბუხსა სწევდა. მე ბარათი მივეცი ხელში და ვუთხარ, ფული უნდა მომცე მეთქი. იმან ორჯერ გადიკითხა ის ბარათი.

— სახელი არ წაიკითხე? ვუთხარი მე. ეფრაიმ ჯენკინსონ.

— სახელიც წავიკითხე, კარგა გარკვევით არის დაწერილი, და იმ ვაჟ-ბატონსაც კარგად ვიცნობ. იმისთანა არამზადა ჯერ

ცის ქვეშედ არ დაბადებულა. ეგ არ იყო რომ სათვალეები მოგვყიდა! დარბაისელი შეხედულობა ჰქონდა განა, ჭაღარა თმა, ჯიბეებიც უყოშებოთ? არ გიამბო სხვა-და-სხვა სისულელე ბერძნულს ენაზედ, კოსმოგონიაზედ, ქვეყნიერებაზედ?

პასუხის მაგივრად ერთი საშინლად ამოვიოხრე.

— დიაღ, მაგის მეტი არა იცის-რა და ყოველთვის მაგას ლაპარაკობს, როცა წიგნის მცოდნესა ნახავს ვისმე. მე კარგად ვიცნობ იმ ძაღლსა და ვეცდები ხელიდამ არ გავუშვა, დაუმატა ფლამბორომ.

თუმცა ძალიან შემაწუხა ამ ამბავმა, მაგრამ ჯერ კიდევ უარესი მომელოდა; რა პირით უნდა მისულვიყავი ჩემს ცოლ-შვილში. არც ერთს ზარმაცს მოწაფეს ისე არ ეზარება სკოლაში მისვლა და მასწავლებლის სახის დანახვა, როგორც მაშინ მე შინ მისვლა მეზარებოდა. მე განვიზრახე მათის გაცხარებულის გულის დასამშვიდებლად მე თითონ გაცხარებულვიყავი.

მაგრამ, სამწუხაროდ, ჩემს სახლში რომ შეველ, არავინ არ დამხვდა ბრძოლის ქეიფზედ: ჩემი ცოლი და ქალები თვალცრემლიანები ისხდენ; იმ დღეს ტორნჰილი შესულიყო და ეთქვა მათთვის რომ, ქალაქში წასვლა ვეღარ მოგიხდებათო. ლონდონელმა ქალებმა თქვენზედ რაღაც ცუდი შეიტყეს ვიღაც უსინიდისოების პირით, და იმ დღესვე ლონდონში გაემგზავრენო. ტორნჰილს ვერ შეეტყო ვერც ცილის-მწამებლის სახელი, ვერც ისა, რა ცილსა გვწამებდენ. მხოლოდ ეს კი ეთქვა, ვინც უნდა იყოს და რა ცილიც უნდა დაგვწამონ, მაინც ჩემს მეგობრობასა და მფარველობაში ეჭვს ნუ შემოიტანთო.

ჩემი მოტყუება ჩემმა ცოლ-შვილმა მორჩილებით აიტანა; მათს უბედურებასთან ჩემი ამბავი აღარაფრად გამოჩნდა.

ჩვენ მხოლოდ ის გვინდოდა შეგვეტყო, ვინ უნდა ყოფილიყო ისეთი უსინიდისო, რომელმაც ჩვენისთანა უმანკო ოჯახს ჩირქი წასცხო. ჩვენი ოჯახი ისეთი ღარიბი იყო რომ, ვერავის შურს ვერ აღუძრავდა და არც არავისთვის რა დაუშავებია რომ მტრობით დავებეზღებინეთ.

## თავი XV

ბორჩელის უსინიდისობა ერთბაშად ცხადდება. სიგიჟეა, თუ ვინმე ჭკუას მეტის-მეტად ძალას აცანს.

მთელი ის საღამო და მთელი მეორე დღე იმაზედ ვლაპარაკობდით, ვინ უნდა ყოფილიყო ეს ჩვენი მტერი, მაგრამ კი ვერა გავიგეთ-რა. სულ სათითაოდ ჩამოვთვალეთ ჩვენი მეზობლები და ყველა თავისას ამბობდა, ამტკიცებდა, უეჭველად ეს უნდა იყოსო.

ამ წვალებაში რომ ვიყავით, ერთი ჩემი პატარა ბავშვი შინ შემოიჭრა და შენიშვნების წიგნი შემოიტანა, მწვანეზედ ვთამაშობდი და იქ ვიპოვნეო. ეს წიგნი ბორჩელისა გამოდგა და შიგ სხვა-და-სხვა შენიშვნები იყო, მაგრამ ერთმა დაბეჭდილმა წერილმა მიიზიდა ჩვენი ყურადღება. ამ წერილზედ ეწერა: «შავი იმ წერილისა, რომელიც უნდა გაეგზავნოთ ქალებს ტორნჰილის სასახლეში.» ჩვენ მაშინვე ეჭვი შეგვეიდა, ალბად ეს არის ის უსინიდისო დამბეზღებელიო და დავაპირეთ ამ წერილის გახსნა. მე ამის წინააღმდეგი ვიყავ, მაგრამ სოფიომ ძალა დაგვატანა, გახსენითო; ყველასაგან დავიჯერებ მაგ ავკაცობას, მაგრამ ბორჩელისაგან კი არაო. სხვებიც სოფიოს

მიემხრნენ და მეტი გზა არ იყო, უნდა გაგვეხსნა. გავხსენ და აი რა წავიკითხე:

«ბატონებო.

«ამ წერილის მომტანი შეგატყობინებთ ჩემს სახელსა და გვარსა. მე გახლავართ უმანკოების დამთვარველი და არ მოვითმენ მის შეგინებას. მე შევიტყე რომ თქვენ გსურთ ამხანაგებად წაიყვანოთ ლონდონში ორი ყმაწვილი ქალი, რომელთაც მე ცოტათი ვიცნობ. მე არ მინდა რომ უცოდინარი შეაცდინოს ვინმე, ან კეთილი გული შეურაცხ-ჰყონ და ამისთვის აქვე გაცხადებ, მაგისთანა უწესო საქმეს შეიძლება საშიში ბოლო მოჰყვეს. მე ჩვეულებად არა მაქვს გარყვნილის ხალხის გაკიცხვა და არც ესლა ამოვიღებდი ხმას ამ გარყვნილებას ბოროტი განზრახვა რომ არა ჰქონოდა. გთხოვთ მიიღოთ მეგობრული რჩევა და დააფიქრდეთ თქვენს მოქმედებას, ვიდრე ბიწიერებას დანერგავდეთ იმ ალაგს, სადაც დღემდე სუფევდა მშვიდობიანობა და უმანკოება.»

ეჭვის შემოტანა აღარ შეიძლებოდა. თუმცა ეს წერილი შეეხებოდა ორივე მხარეს და მისი გაკიცხვა შეიძლებოდა ჩვენზედაც ყოფილიყო და იმათზედაც, ვისთვისაც მიეწერათ, მაგრამ ეს ხომ ცხადი იყო, რომ ბოროტის განზრახვით იყო დაწერილი და ჩვენთვის ესეცა კმაროდა. ჩემმა ცოლმა წერილი ბოლომდის არც კი გამათავებინა, მოჰყვა საშინელს ლანძღვასა და გინებას იმის დამწერისას. ოლივიაც ძალიანა ჯავრობდა, სოფიოს კი საშინლად უკვირდა ბორჩელის ესეთი ყოფა-ქცევა. მეც ჩემს გულში ვფიქრობდი, ამისთანა უსაბაბო უმადურების მნახველი არა ვარ მეთქი და ვერც მომეფიქრებინა, რა უნდა ყოფილიყო მიზეზი ამ გვარის ქცევისა, თუ არ ისა რომ

ბორჩელს უნდოდა ჩემი უმცროსი ქალი შინ დარჩენილიყო და ხშირად შესძლებოდა იმისი ნახვა.

დავსხედით და დავიწყეთ იმაზედ ლაპარაკი, როგორ უნდა გადაგვეხადა ბორჩელისთვის ეს ამბავი; ამ დროს შემოიჭრა ჩემი პატარა ვაჟი და გვითხრა, აგერ ბორჩელი მინდვრის ბოლოში მოდისო. უფრო ძნელი წარმოსადგენია, ვიდრე აღსაწერი, რასა გრძნობს კაცი, როდესაც ის ახლად გულ-დამწვარია ბოროტის ენისაგან და სამაგიეროს გადახდა იმის ხელშია.

ჩვენ გვინდოდა ჯერ მხოლოდ საყვედური გვეთქვა ამ უმადურებისათვის, მაგრამ ისეთი საყვედური კი, რომელიც დაღსავით დასტყობოდა. ამისთვის დავაწყეთ პირველში ჩვეულებრივის ღიმილით მიგვეღო, ტკბილად გველაპარაკნა, სხვადა-სხვა ამბებით გაგვერთო და უცებ, ამ მშვიდობიანის ლაპარაკის დროს, თავზედ მეხსავით დავცემოდით და მისი უსინიდისობა პირში ბურთად ჩაგვეჩარა. ეს რომ დავაწყეთ, ჩემმა ცოლმა იკისრა შესრულება, რადგან ამ გვარ საქმეში მას კვლავაც ნიჭი გამოუჩენია.

ბორჩელი ოთახში შემოვიდა, სკამი დაიდგა და დაჯდა.

— დღეს მშვენიერი დღეა, ვუთხარი მე.

— კაი დღეა, მიპასუხა იმან, მაგრამ მგონია, წვიმა უნდა მოვიდეს, ფეხის თითები ამტკივდა.

— რის თითები აგტკივდა? სთქვა და გადიხარხარა ჩემმა ცოლმა; შემდეგ კი ბოდიში მოსთხოვა ოხუნჯობის ქეიფზედა ვართო.

— კარგია მითხარით რომ ეგ ოხუნჯობა იყო, თორემ საიდამ გავიგებდი?

— იქნება ეგ მართალი იყოს, მაგრამ მგონია ეს კი გაგე-

ბული უნდა გქონდეთ, ერთი მისხალი ჭკუა რამდენს აიწონს? ჰკითხა ჩემმა ცოლმა და ჩვენ გადმოგვხედა.

— გეტყობათ ბატონო, დღეს სამასხარო წიგნი წაგიკითხავთ რამე, თორემ ერთი მისხალი ჭკუა საიდამ მოგაგონდებოდათ. მე კი უნდა მოგახსენოთ ნახევარ მისხალი გონება რომ დამენახა, ისიც კარგი იყო.

— ეგ ძნელი არ უნდა იყოს, უთხრა ჩემმა ცოლმა, და კიდევ გადმოგვხედა ღიმილით, მაგრამ ეს ღიმილი საქმეს ჩემს ცოლსავე უფუჭებდა; ეგ ძნელი არ უნდა იყოს; მე კი ბევრი იმისთანა კაცი მინახავს, რომელსაც თავი ჭკვიანი ჰგონია, მაგრამ ჭკუაზედ კი უკაცრავად ბძანდება.

— თქვენ მე მგონი იმისთანა ქალებიც უნდა გენახოთ, რომელნიც ოხუნჯობენ, მაგრამ ღმერთის კი ოხუნჯობის ნიჭი არ მიუცია.

მე მალე შევამჩნიე რომ ჩემი ცოლი იმისაგან ვერაფერს გამოიტანდა, თითონ ჩავერიე ბაასში და მკვახედ წარმოვსთქვი:

— ჭკუა და გონება არაფერია, თუ კაცს პატიოსნება აკლია. უმეცარი, მაგრამ პატიოსნებით სავსე გლეხ-კაცი უფრო მაღლა სდგას, ვიდრე ცოდვილი ფილოსოფოსი. რა არის გონიერება და ვაჟ-კაცობა, თუ კაცს გულიც მართალი არა აქვს? პატიოსანის კაცისთანა სრული ღმერთს არა გაუჩენია-რა.

— ეგ აზრი ხშირად გამიგონია და ეკუთვნის გამოჩენილს მწერალს პოპს, თუმცა იმის ნიჭის ღირსი არ არის. როგორც წიგნის ღირსება მისის შინაარსის მშვენიერებაზედ არის დამოკიდებული, და არა იმაზედ რომ ნაკლულევანება არა იყოს-რა, ეგრეთვე კაციც უნდა გაშინჯოთ: მარტო ის კი არა კმარა რომ ცუდი კაცი არ იყოს, საჭიროა ღირსება ჰქონდეს რა-

მე და კაი კაცობის გამოჩენა შეეძლოს. სწავლული შეიძლება წინ-დაუხედავი იყოს, სახელმწიფო კაცი—ამპარტავანი, მხე-დარი—სასტიკი, მაგრამ, განა ამ ნაკლულევანების გამო მათ უნდა ვამჯობინოთ უბრალო ხელოსანი, რომელიც მთელს თა-ვის სიცოცხლეს ერთ-გვარს მუშაობაში ატარებს და არცა-რა ვისგან ქება ესმის, არც არავისგან ძაგება? მაშ თანაბარი, მაგ-რამ უფსო მხატვრობა ფლამანდთა უნდა სჯობდეს რომაულს უსწორ-მასწოროს, მაგრამ მაღალ, სულ-ჩადგმულ მხატვრობას.

— თქვენ მართალი ხართ, მივუგე მე, როცა კი თვალ-სა-ჩინო სიკეთეს მოსდევს მცირე ნაკლულევანება, მაგრამ იმის-თანა ხასიათის ხალხი კი, რომელსაც შეუერთებია მაღალი ღირსება და მდაბალი ბუნება, მხოლოდ ზიზღის ღირსია.

— იქნება თქვენ კი გენახოთ სადმე მაგისთანა მაღალის ღირსებისა და მდაბალის ბუნების მქონე ხალხი, მაგრამ მე კი, ბევრი მივლია და მაგისთანა ერთიც არავინ მინახავს. მე უფ-რო ის შემიმჩნევია რომ ჭკუა-გონების პატრონთ გულიც კარგი ჰქონიათ. ამ საქმეში სჩანს განგების ზრუნვა ჩვენზედ: ის უსუსტებს გონებას იმას, ვისაც გულში ავის საქმის ჩადე-ნა უდევს და ბოროტის მომქმედს ხელს უშლის. პირუტ-ყვებშიაც ესეა: წვრილი პირუტყვი მუხთალი, ავი და ლაჩარია; ღონიერნი და ძლიერნი კი არიან სულ-დიდნი, გამბედავნი და გულ-ჩვილნი.

— ეგ ჩინებულად ილაპარაკეთ, მაგრამ მე ესლა არ გამი-ჭირდება მივუთითო იმისთანა კაცზედ, ამ სიტყვებზედ მე ბოროჩელს დავუწყე ყურება, რომლის პირი სხვას ამბობს და გული სხვასა. დიაღ, ბატონო, დავუმატე მე უფრო ხმა-მაღ-ლა, მე მოხარული ვარ რომ ჩამოვხსადე იმ კაცს პირ-ბადე და

დავურღვიე მშვიდობიანობა. ხომ იცით, ვისია ეს ნიშნების წიგნი?

— ეგ წიგნი ჩემი გახლავთ, მომიგო იმან, სრულებით აუშფოთებლად; მადლობა ღმერთს რომ გიპოვნიათ.

— მაშ ამ წერილსაც იცნობთ? ნუ შეკრთებით, ნუ; პირდა-პირ შემომხედეთ! მე გკითხავთ, იცნობთ თუ არა ამ წერილსა?

— როგორ არ ვიცნობ?! ეგ თვითონ ჩემი დაწერილია.

— მერე რა სინიდისმა დაგაწერინა ეს წერილი, შენ უმადურებით სავსე?

— თქვენ რაღა სინიდისმა გაგახსნევინათ ჩემი წერილი, მომიგო იმან ისე კადნიერად, რომ იმ გვარის ურცხვობის მნახავი არა ვარ. არ იცით რომ ამ საქმისათვის მე თქვენი ჩამოხრჩობა არ გამიჭირდება. ერთის სიტყვის მეტი კი არ მინდა; აქვე სასამართლოში შევატყობინებ რომ თქვენ გახსენით ჩემი ნიშნების წიგნი, ჩემი წერილი და ამ კარებზედვე ჩამოგახრჩობინებთ.

ამ უსინიდისობამ და ურცხვობამ ისე ამაღელვა რომ ძლივსღა ვიმაგრებდი თავსა.

— უმადურო, ბოროტო სულო, დავუყვირე მე, განვედი ჩემგან და ნურღარა რყვნი, ნურღარა ჰქელავ ჩემს სადგურს. წადი და ნურღარ დამენახვები. მომშორდი! ღმერთსა ვსთხოვ რომ სასჯელად გაგიჩინოს შენის სინიდისის ტანჯვა; ეგეც იკმარებს შენთვის.

ესა ვსთქვი და გადავუგდე ნიშნების წიგნი; იმან ღიმილით აიღო ეს წიგნი, დაკეცა, ჩაიდო ჯიბეში და სრულიად აუშფოთებლად გავიდა ოთახიდამ. ჩვენ გაგვაცვიფრა მისმა დამშვიდებულმა სახემ. ჩემი ცოლი მეტადა ჯავრობდა, რომ ვე-

რას გზით ვერ ავაღელვეთ და ვერ შევარცხვინეთ იგი, და ჩემის სახლობის აღელვების დასაშოშმინებლად ვუთხარი მას:

— იცი, ჩემო საყვარელო, ნუ გაგვიკვირდება რომ ვერ შევძელით ბოროტის კაცის შერცხვენა; ეგენი მხოლოდ მაშინ წითლდებიან, როცა კეთილს საქმესა სჩადიან, თორემ ბოროტი ხომ მაგათთვის სასახელოც არის.

ერთი არაკი ამბობს რომ ერთხელ ბოროტება და სირცხვილი ერთად მოგზაურობდენ და ერთმანერთს არა შორდებოდენო. მაგრამ ჩქარა დაატყეს რომ ეს ერთობა ორივესთვის მეტად ძნელი და სამძიმო იყო. ბოროტება აწვალებდა სირცხვილს და სირცხვილი ხშირად ამხელდა ბოროტების განზრახულებას. ბევრის უსიამოვნობის შემდეგ გაეყარნენ ერთმანერთს. ბოროტება წავიდა წინ და უნდოდა მისწევოდა ბედ-იღბალს, რომელიც წინ ჯალათსავით მიდიოდა; მაგრამ სირცხვილი, როგორც მის სახელს შეჰფეროდა, უკან ჩამორჩა და მიემხრო კეთილ საქმეს, რომელიც პირველში იმან და ბოროტებამ უკან დააგდეს.

— აი, შვილნო ჩემნო, როდესაც კი კაცი ბიწიერებაში ჩაითვლობა, სირცხვილი სტოვებს და მიემხრობა სიკეთეს, თუ ეს სიკეთე ამ კაცს კიდევ დარჩენია სადმე.

## თავი XVI

ჩემი ცოლ-შვილი ეშმაკობასა სჩადის, მაგრამ სხვები სჯობნიან ეშმაკობაში.

სოფიოსი კი არ ვიცი, მაგრამ სხვები კი ბორჩელის მოშორებამ სრულებითაც არ შეაწუხა; მის მაგივრად ქალა

უწინდელზედ ხშირად დადიოდა ტორნჭილი და უფრო დიდ-ხანსაცა რჩებოდა ჩვენთან. თუმცა ქალაქის სიამოვნება კი ვერ უჩვენა ჩვენს ქალებს, მაგრამ იმას მაინცა სცდილობდა რომ მიყრუებულ სოფლის კვალობაზედ სიამოვნება არ მოეკლო. ის მოდიოდა დილ-დილით და ვიდრე მე და ჩემი შვილი მოსე გარედა ვმუშაობდით, შეაქცევდა ჩემს სახლობას, უამბობდა ქალაქის ამბებს, რომლისაც ყოველივე კუნჭული კარგად იცოდა. ის იმეორებდა თეატრში ნათქვამს ლამაზს აზრებს და ყოველივე მოსწრებული სიტყვა ზეპირად იცოდა, ვიდრე ეს სიტყვა ოსუნჯობის წიგნში მოხვდებოდა.

სალაპარაკო რომ გამოელევოდათ, ასწავლიდა ჩემს ქალებს ქაღალდის თამაშობას, ან ჩემს ორს პატარას აკრივებდა ხოლმე, უფრო ყოჩაღები გამოვლენო; მაგრამ ჩვენ იმედი გვქონდა სიმედ გავისდიდით და ყოველს ნაკლულევანებას ვუთმენდით.

ჩემი ცოლი სხვა-და-სხვა ხერხსა ხმარობდა, ტორნჭილი მასეში მოეგდო, ან, უქედ ვიტყვი, ცდილობდა თავის ქალის ღირსება გაეზვიადებინა. თუ ჩაიზედ შაქრის-პური პირში იფეხვნებოდა—ოლივიას გაკეთებული იყო; თუ კინკრიყოს წვენი გემრიელი იყო, კინკრიყო ოლივიას მოკრეფილი გამოდგებოდა; ჩინებულის ფერის წნილიც ოლივიას თითებმა გააკეთა; პუდინგიც იმისაგან იყო შეგემებული. ხანდისხან ჩემი ცოლი ეტყოდა ხოლმე ტორნჭილს, თქვენა და ჩემი ოლივია ერთის ტანისა ხართ, აბა ადექით, დაეტოლეთო.

ამ გვარი ეშმაკობა ჩემს ცოლს ძალიან თვალთმაქცური ეგონა, მაგრამ უველასთვის კი ცხადი იყო და თითონ ჩვენს კეთილის-მყოფელსაც ძალიან მოსწონდა; დღე-და-დღე უფრო ეტყობოდა რომ სიყვარული უცხოველდებოდა და თუმცა ჯერ

კი არა თხოულობდა ჩემს ქალსა, მაგრამ, ჩვენის აზრით, ესეც მალე მოხდებოდა. ამ დაგვიანებას ხან თითონ იმის მოკრძალებას ვაბრალებდით, ხან მორიდებას, რომ იმის ბიძას არა სწყენოდა.

მალე ერთი შემთსვევა მოხდა და ამ შემთხვევამ დაგვარწმუნა რომ ტორნჰილს სწორედ უნდოდა ჩვენს ოჯახს დამოყვრებოდა. ჩემი ცოლი მაინც სრულებით ამ აზრისა იყო.

ერთხელ ჩემი ცოლ-შვილი ფლამბოროსას წავიდა და იქ შეეტყოთ რომ ერთს აქა-იქა მოსიარულე მხატვარს გადეღო ფლამბოროს ცოლ-შვილის პორტრეტები დ̃ თითო პორტრეტში აეღო თხუთმეტი შილინგი. ჩვენი და ფლამბოროს ოჯახი დიდი ხანია, რაც ერთმანერთს მორთვა-მოკმაზვაში ეცილებოდა და ეს ძალიან გვეწყინა რომ ამ საქმეში იმათ დაგვასწრეს. მაინც ჩვენც გადავწყვიტეთ ჩვენი პორტრეტები დაგვეხატვინებინა, თუმცა ამის წინააღმდეგ მე ბევრი ვილაპარაკე. მეტი გზა არ იყო, ბოლოს მეც დავთანხმდი და მხატვარი მოვიწვიეთ, მაგრამ ახლა იმაზედ დავიწყეთ ლაპარაკი, როგორ უნდა დამდგარვიყავით რომ უკეთესად გამოგვეჩინა თავი. ფლამბოროს ოჯახში შვიდნი იყვნენ და შვიდივეს პორტრეტებზედ თითო ფორთოსალი ეჭირა. წარმოიდგინეთ ფორთოხალი რა ხილია, რა გემო აქვს, ან რა ეგრე ძნელი საშოვნელია.

ჩვენ, რასაკვირველია, გვინდოდა, უფრო რიგიანად გამოჩენილვიყავით და ბევრის სჯის შემდეგ დავაწყეთ რომ ყველანი ერთს ისტორიულს სურათში მოვექციეთ მხატვარს. ეს იაფადაც დაგვიჯდებოდა, რადგან ყველანი ერთს სურათში გამოვიდოდით და უფრო ლამაზადაც გამოჩნდებოდა; ეხლა ყველა ოჯახები საოჯახო სურათს ასე ახატვინებენ. უცბად ვერა

მოვიგონეთ-რა იმისთანა ისტორიული ამბავი, რომელიც ჩემს ოჯახს შეჰფერებოდა და ამიტომ ყოველი ჩვენგანი ცალკე ის-ტორიულ პირად უნდა გამოსულიყო.

ჩემმა ცოლმა მოინდომა, ვენერად დაეხატნათ და მხატ-ვარსაც ვუბძანეთ, არ დაეზოგნა ბრილიანტები, თმაში და კორ-სეტში ჩასართავად. პატარაები ჩემის ცოლის გვერდით კუპი-დონებსავით უნდა დახატულიყვნენ, მე კი სამღვდელო შესა-მოსელში უნდა წამდგარვიყავი ჩემის ცოლის წინ ჩემის თხზუ-ლებით ხელში შესახებ ვისტონის სწავლისა. ოლივიას უნდა ჩაეცვა მწვანე ამაზონკას ტანისამოსი, ოქრომკედით მორთუ-ლი, ხელში მათრახი დაეჭირა და ყვავილებით მოფენილს სერზედ მჯდარიყო. სოფიო უნდა მწყემს-ქალად ყოფილიყო ბატკნებს შუა და მხატვარს ვუთხარით, რამდენიც გამოემეტებოდა იმ-დენი ბატკანი დაეხატნა. მოსეს ქუდში უნდა თეთრი ფრთა ჰქონოდა ჩარჭობილი.

ჩვენი დაწყობილება ისე მოეწონა ტორნჰილს რომ გვთხოვა, მეც ვითომ თქვენის ოჯახისია ვარ, მეც თქვენთან ერ-თად ოლივიას ფეხთით დავეხატები ალექსანდრე დიდის ტანი-სამოსშიო. ცხადი იყო ყველასთვის რომ ამით ის აცხადებდა სურვილს ჩვენის დამოყვრებისას და უარს როგორ ვეტყო-დით.

მხატვარმა მიჰყო ხელი ხატვას და ისე მარჯვედა და საჩ-ქაროდ მუშაობდა რომ ოთხი დღე არც კი მონდომნია. სუ-რათი კარგა მოზრდილი გამოვიდა და ფერადებითაც ძალზედ იყო შესამებული; ამისთვის ჩემმა ცოლმა დიდი მადლობა გა-დაუხადა მხატვარს. ყველას მოგვწონდა ეს სურათი, მაგრამ ერთმა უსიამოვნო გარემოებამ ძალიან შეგვაწუხა. ეს სურათი ისეთი დიდი იყო რომ არც-ერთს ოთახში არ დაეტევოდა და

გასაოცარია, როგორ არ მოგვივიდა თავში ეს აზრი ვიდრე სურათი გათავდებოდა და ან ასე როგორ გამოვშტერდით. ამ სურათმა სიამოვნების მაგივრად უფრო შეგვაწუხა და დარჩა მიუღებელი ჩვენის მეზობლების სამასხარაოდ სამზარეულოს კედელზედ, სადაც პირველად დაიხატა; ვერარას გზით ვერ შევძელით იქიდამ გამოტანა. ზოგი რობინზონ კრუზოს ნავს ადარებდა, მეტად დიდია და არ იძვრისო. ზოგი ამბობდა, რა კარებში უნდა გამოვიდესო, ზოგი—რა კარებში შემოიტანესო, ზოგი რასა და ზოგი რასა.

ბევრს ეს ჩვენი შემთხვევა სასაცილოდ არ ეყო, მაგრამ ბევრს კი სიბოროტით გულში უხაროდა. ისე როგორ იქნებოდა რომ ზოგიერთში შური არ აღეძრა, ტორნჰილმა რომ თავისი პორტრეთი ჩვენთან ერთად აალებინა; მართლაც და ეს დიდი სახელი იყო ჩვენთვის. დაიწყეს ჩურჩურ-კურკური და მითქმა-მოთქმა ჩვენს თავობაზედ; ტყუილი მეგობრები მოდიოდენ, გვიამბობდენ ჩვენის მტრების ნალაპარაკევს და გვიშფოთებდენ მშვიდობიანს ცხოვრებას. ამისთანა ამბები, რასაკვირველია ძალიანა გვწყინდა, მაგრამ რაც უფრო მეტადა გვწყინდა, ცუდი ხმებიც უფრო ძლიერ გადიოდა ხალხში.

ბოლოს გადავწყვიტეთ ამ ცუდის ხმების მოსასპობელად მტრებისთვის პირში ბურთი ჩაგვეჩარა და ეს გადაწყვეტილება ისეთი ეშმაკური რამ იყო რომ არაფრად მომეწონა. აი რა დავაწყეთ: რადგან ჩვენი უმთავრესი სურვილი იყო, შეგვეტყო რა ჰქონდა გულში ტორნჰილს, ჩემმა ცოლმა იკისრა ამ საქმის გამოძიება; იმას უნდა რჩევა ეკითხნა ტორნჰილისთვის ოლივიას გათხოვებისა. თუ ეს ვერ გასჭრიდა და ჩემის ქალის თხოვნას არ გააბედვინებდა, მაშინ გამოსაცდელად საქმრო უნდა დაგვესახელებინა.

ამ უკანასკნელს ეშმაკობაზედ კი არას გზით არ დავეთანხმე, ვიდრე ოლივიამ ფიცით არ დამარწმუნა, რომ ის შეირთავდა დასახელებულს საქმროს, თუ ტორნჰილი ამ ამბის შემდეგ არ გამოაცხადებდა სურვილს იმის ცოლად შერთვისას. ეს დაწყობილება თუმცა არ მომწონდა, მაგრამ დიდი წინააღმდეგიც არ ვიყავი.

ამ ამბის შემდეგ ტორნჰილი რომ მოვიდა ჩვენთან, ქალები სხვა ოთახში გავიდნენ და დედას შემთხვევა მისცეს თავის განზრახვა აესრულებინა. შორს კი არსად წასულან, იქვე მეორე ოთახში გავიდნენ, საიდამაც შეეძლოთ ჩემის ცოლისა და ტორნჰილის ლაპარაკისათვის ყური ეგდოთ.

ჩემმა ცოლმა ძალიან მარჯვედ დაიწყო: იმან შენიშნა რომ ფლამბოროს ერთი ქალი ძალიან კარგს საქმროსა შოულობს, სპანკერს ირთავსო. ტორნჰილი დაეთანხმა.

— მაინც აგრეა, განაგრძო ჩემმა ცოლმა, ვისაც კაი შეძლება აქვს, საქმროსაც კარგსა შოულობს. ვაი იმათი ბრალი, ვინც ღარიბია. რა არის, ბატონო ტორნჰილო, ან სილამაზე, ან კაი ყოფა-ქცევა, ან სხვა რამ ღირსება ამ ფულის-მოყვარულს საუკუნეში? იმას ხომ აღარა კითხულობენ: „ქალი როგორია?“ იმას კითხულობენ: „მზითვად რა აქვსო.“

— სწორედ ნამდვილსა ბძანებთ, მიუგო ტორნჰილმა. ეგ აზრები სამართლიანიც არის და ახალიც. მე რომ ხელმწიფე ვყოფილიყავი, მაშინ სულ სხვა ნაირად იქნებოდა საქმე; უმზითვოებს ბედნიერი დრო დაუდგებოდათ; მაშინ პირველად მე თქვენს ქალებზედ ვიზრუნავდი.

— თქვენ ხუმრობთ, უპასუხა ჩემმა ცოლმა, მაგრამ მე რომ დედოფალი ვყოფილიყავი, მაშინ მე ვიცოდი სადაც მოვუნახავდი საქმროს ჩემს უფროსს ქალს. ხუმრობას თავი დავანე-

ბოთ და არ შეიძლება მიბძანოთ, ხომ არსად იცით იმისთვის რიგიანი საქმრო; თქვენ მომაგონეთ ჩემის ქალის გათხოვება და თქვენვე მომეცით რჩევა. ჩემი ქალი ეხლა ცხრამეტის წლისაა, კარგი თვალ-ტანადი და კარგად გაზდილი; მე მგონი ნიჭიც საკმაო აქვს.

— იცით რა მოგახსენოთ, მიუგო ტორნჰილმა, მე რომ მეკითხებოდეს რამე, იმისთანა კაცს ავარჩევდი, რომელიც ყოველივე სიკეთით სავსე იყოს ჲ შეეძლოს მაგ ანგელოზის გაბედნიერება; ავარჩევდი კაცს ჭკვიანს, გონიერს, მდიდარს და გულ-მართალს; აი თქვენს ქალს, ჩემის აზრით, ამისთანა საქმრო ეკადრება.

— მერე მაგისთანას იცნობთ ვისმე?

— არა, მე იმისთანას არავის ვიცნობ, რომელიც მაგის ღირსი იყოს; ეგ ისეთი ძვირ-ფასი საუნჯეა რომ ცოდოა კაცი დაეპატრონოს; ეგ სწორედ ღმერთაა. გევეიცებით და პირმოთნეობათ ნუ ჩამომართმევთ, რომ ანგელოზის მზგავსია ეგა.

— თქვენ ძალიან აზვიადებთ ჩემის საწყალის ქალის ღირსებას, უთხრა ჩემმა ცოლმა. ჩვენ კი ვფიქრობდით, ეგ იმ იჯარადრისათვის მიგვეთხოვა, თქვენ მამულზედ რომ დგას და ეხლა-ხანს რომ დედა მოუკვდა. მაინც იმის სახლში ქალი აღარავინ არის; მე ყილიამსზედ მოგახსენებთ. ის შეძლებული კაცია და კარგად შეინახავს ჩემს ქალს; ვინ იცის რამდენჯერა მთხოვა მაგისი თავი; (ამას კი არა სტყუოდა ჩემი ცოლი.) მაგრამ საქმის გადაწყვეტამდის, მინდა თქვენგანაც კარგი გავიგონო საქმროზედ.

— როგორ თუ კარგი გაიგონოთ! მე უნდა ვაქო ისა?! თავის-დღეშიაც არა. რას ჩადიხართ? გინდათ შესწიროთ ეგეთი მშვენიერება, გონიერება და კეთილი გული იმისთანა ქმნილე-

ზას, რომელსაც არ ესმის რა არის კარგი და ავი! უკაცრავად, მაგისთანა უსამართლობას მე თავის-დღეში არ მოვიწონებ და ამის მიზეზებიცა მაქვს.

— თუ მართლა მიზეზები გაქვთ, მიუგო დებორამ, ეგ სხვაა; მაგრამ კარგი იქნებოდა ეგ მიზეზები ჩვენთვისაც შეგეტყობინებინათ.

— ბოდიშს ვიხდი, ბატონო, რომ ვერ გატყობინებთ; ეს მიზეზები ღრმად არიან აქ დამარხულნი.

ამ სიტყვებზედ იმან გულზედ ხელი დაიდო.

ტორნჰილი რომ წავიდა, საოჯახო რჩევა შევკრიბეთ, მაგრამ მაინც ვერ გავიგეთ, რას ნიშნავდა ეს მშვენიერი სიტყვები. ოლივია ამტკიცებდა რომ ეგ აღტაცებულის სიყვარულის ნიშანიაო, მაგრამ ეს არა მჯეროდა. მე ვატყობდი რომ იმას გულში უფრო სიყვარული ედო, ვიდრე დაქორწილებას. მაგრამ რა მნიშვნელობისაც უნდა ყოფილიყო ტორნჰილის სიტყვები, ჩვენ გადაწყვეტილი გვქონდა, იჯარადარ უილიამსთან საქმე გაგვეთავებინა. ეს იჯარადარი მას აქედ ადევნებდა ჩემს ქალს თვალსა, რაც ჩვენ ამ მხარეში გადმოვსახლდით.

## თავი XVII

როგორიც უნდა იყოს სათნოება, ძვირად თუ გადურჩება ხანგრძლივს და მომხიბლველს განსაცდელს.

ჩემი სურვილი მხოლოდ ეს იყო რომ ჩემი ქალი ბედნიერი ყოფილიყო დ̃ უილიამსისაგან მისი ცოლად თხოვნა არა მწყინდა. უილიამსი შეძლებული კაცი იყო, ჭკვიანი და კეთი-

ლის გულისა. მხოლოდ ცოტა წაქეზება იყო საჭირო და ამ კაცს უწინდელებურად გაუცხოველდებოდა სიყვარული. ერთს საღამოს, თუ ორსა ისა და ტორნჰილი ერთად შეიყარნენ ჩვენს სახლში და ერთმანერთს გვერდზედ დაუწყეს ყურება. უილიამსს იჯარისა არა ქმართა-რა და რის ფიქრი უნდა ჰქონოდა. ოლივიაც მარჯვედ კეკლუცობდა, და ან რა გასაკვირველია, კი კეკლუცობა ხასიათად ჰქონდა დაჩემებული. ეხლა ის მხოლოდ თავის ასალს საყვარელზედ ზრუნავდა. ტორნჰილს ძალიან ეწყინა რომ სხვა დაამჯობინეს და შეწუხებულის სახით გამოგვეთხოვა. მე კი მაკვირვებდა, რად იყო ტორნჰილი ასე შეწუხებული? იმის ხელთ არ იყო ამ მწუხარების მიზეზის მოსპობა; გამოეცხადა სიყვარული და ცოლად ეთხოვნა ჩემი ქალი.

რაც უნდა ტანჯვა გამოეარა ტორნჰილს, მაინც კი ტანჯვა არად გამოსჩნდებოდა ჩემის ქალის სევდასა და დარდთან. რამდენჯერმე ორივე საყვარელი ოლივიასი ერთმანერთს შეხვდენ და ყოველს ამ შეხვედრის შემდეგ ოლივია კუთხეში სადმე იმალებოდა და იქ იკლავდა გულის-დარდსა. ერთს საღამოს მე ის ამ ყოფაში ვნახე, თუმცა რამდენსამე წუთის წინად სრულებით მხიარული სახე ჰქონდა.

— ეხლა ხომ ხედავ, შვილო ჩემო, ვუთხარი მე, რომ ტყუილად ენდობოდი ტორნჰილის სიყვარულს. ის არას ამბობს და გულ-ცივად უყურებს თავის მოცილეს, რომელიც ყოველის მხრივ უფრო დაბლა სდგას მასზედ; თუ მართალს წმიდა გულით გიცქერის, ეთქვა თავისი გულის-პასუხი და ვიღა წაართმევდა შენს თავსა?

— არა, მამა, ალბად მიზეზი აქვს რამე, რომ ჯერ არას ამბობს; სწორედ უნდა მიზეზი ჰქონდეს. ის ისე წრფელად მი-

ყურებს და წრფელადა ლაპარაკობს რომ გულში ხინჯი არა უნდა ჰქონდეს-რა. პატარა-ხანს კიდევ დავაცადოთ და იმედი მაქვს, დარწმუნდებით, რომ ის მაღალის გრძნობის კაცია და ჩემგან შედგენილი აზრი მასზედ უფრო სწორეა, ვიდრე თქვენი.

— საყვარელო ოლივია, რაც აქამდის მოვიქმედეთ იმის გულის-პასუხის შესატყობლად, სულ შენი დაწყობილება იყო და ვერც იტყვი რომ რაშიმე სიტყვა არ დაგიჯერეთ. მაგრამ ნუ გგონია, მე კიდევ დიდ-ხანს მოვითმინო და მისი პატიოსანი მოცილე შენის ცუდის-კაცისადმი მიმართულის სიყვარულის სათამაშოდ გავხადო. თუ გსურს, მოითხოვე კიდევ რამდენიც გინდოდეს ვადა შენის სატრფოს გამოსაცდელად და მოგეცემა; მაგრამ, თუ იმ ვადის გასვლის შემდეგაც ყურს არ გიგდებს, მე სასტიკად მოვითხოვ რომ დააჯილდოვო ერთგულებისათვის პატიოსანი უილიამსი და შეირთო იგი. მე ყოველთვის ცხოვრებაში პატიოსნურად მოქცეულვარ და ეხლაც ასე უნდა მოვიქცე; მამობრივი სიყვარული უნდა პატიოსნებას დავუმორჩილო. მაშ დანიშნე დღე, თუნდა დიდი-ხანიც გამოვიდეს, არა უჭირს-რა, და ტორნჰილსაც შეატყობინე რომ ამა და ამ დღეს მე უილიამსი უნდა შევირთო-თქო. თუ მართლა უყვარხარ, მალე მიხვდება რომ მხოლოდ ერთის გზით შეუძლიან მიგიღოს შენ და არ დაგკარგოს საუკუნოდ.

ჩემმა ქალმა იგრძნო რომ ეს განზრახვა რიგიანი განზრახვა იყო და დასთანხმდა. იმან გაიმეორა თავისი ფიცი, უილიამსს შევირთავო, თუ ტორნჰილმა არ მითხოვაო. ერთხელ კიდევ დავასახელეთ ტორნჰილთან ჩემის ქალისა და უილიამსის ქორწილის დღე.

ამ გვარმა აჩქარებამ თითქო უფრო დარდები მოჰგვარა

ტორნჰილს, მაგრამ ოლივიაც ისეთი შეწუხებული იყო რომ მე გულში შიში შემეპარა, არა დაემართოს-რა მეთქი. ამ გონიერებასა და ვნებათ ღელვათა შორის ბრძოლამ სრულებით გაანელა მისი ცოცხალი ბუნება; ის მხოლოდ ცდილობდა მარტო დარჩენილიყო და ცრემლი ეფრქვია.

გავიდა ერთი კვირა, მაგრამ ტორნჰილს არ ეტყობოდა ქორწილის მოშლის სურვილი. მეორე კვირას უფრო მოუხშირა სიარულს და მაინც კიდევ არა სთქვა-რა. მესამე კვირას სრულებით აღარ უნახვივართ და მე ასე მეგონა ჩემი ქალი სულ-მოკლეობას გამოიჩენს მეთქი, მაგრამ შევცდი: ოლივიას მშვიდობიანი სახე დაედო და მხოლოდ ხანდისხან ჩაფიქრდებოდა ხოლმე. ეტყობოდა, დაემორჩილა თავის სვესა. მე კი ჩემის მხრით მიხაროდა და ვაქებდი რომ ჩემი ქალი სჯერდებოდა მშვიდობიანს ცხოვრებას და პატივის-მოყვარეობას ბედნიერება არჩია.

ოთხი დღე-ღა დარჩა ქორწილამდის. ჩემმა სახლობამ თავი მოიყარა მშვენიერის ცეცხლის ახლო; ჩვენ ვიგონებდით წარსულს და ვაწყობდით მომავლისათვის პლანს. ვხუმრობდით და ვიცინოდით ყოველს უბრალო საგანზედ.

— აბა მოსე, რომ იცი მალე ქორწილი გვექნება; რა არის შენი აზრი საზოგადოდ ამ საგანზედ?

— ჩემი აზრი ეს არის, მამა, რომ ყოველივე საქმე კარგად მიდის და ეხლაც იმასა ვფიქრობდი, ოლივიას რომ უილიამსი შეირთავს, თავის ვაშლების საჭყლეტს და ლუდის გასაკეთებელს ავეჯს გვათხოვებს ხოლმე უფასოდ.

— მაგას მართალს ამბობ, მოსე, მიუგე მე. რატომ ის კი აღარა სთქვი რომ ჩვენს შესაქცევად «სიკვდილისა და ქალის ამბავს» გვიმღერის.

— იმან ეგ ლექსი ჩვენს პატარა რიჩარდს ასწავლა და მგონი, კარგადაცა მღერის.

— მართლა? მაშ დაუძახეთ რიჩარდს: ჩქარა, ჩქარა მოვიდეს აქა.

— რიჩარდი ეს არის ეხლა ჩემს დას ოლივიასთან ერთად გავიდა კარში, მომიგო პატარა უილიამმა; მაგრამ უილიამსმა მეც მასწავლა ორი სიმღერა: თუ გინდა გიმღერებთ. რომელი გირჩევნიათ: «მომაკვდავი ყარყატი», თუ «ელეგია ცოფიანის ძაღლის სიკვდილის გამო»?

— ელეგია სჯობია, რასაკვირველია, ვუთხარი მე; ეგ ელეგია ჯერ არსად გამიგონია. დებორა, ხომ იცი მწუხარეს რასმეს ყოველთვის სასმელი ეჭირვება; წადი და ერთი საუკეთესო ბოთლი კინკრიყოს წვენი მოგვიტანე გულის გასამაგრებლად. მე ჩემს სიცოცხლეში იმდენი მიტირნია ელეგიებზედ, რომ თუ ერთმა სტაქანმა მაინც არ შემახურა, ეგ სიმღერა ტირილით მომკლავს. აბა სოფიო, შენც გიტარა აიღე, დაუკარი და მაგან დამღეროს.

ელეგია ცოფიანის ძაღლის სიკვდილის გამო.

კაცნო და ქალნო, მოდით, მოგროვდით,
დაუგდეთ ჩემსა სიმღერას ყური,
და ეს სიმღერა თუ მოკლე იყოს,
მომიცია მე წასვლის დასტური.

ისლინგტონშია სცხოვრებდა კაცი,
რომელზედაცა ყველა ამბობდა:

«ეკლესიისა კვალს მისდევს იგი»,
როცა საყდარში ის მიდიოდა.

იყო გულ-კეთილ; მტერს და მოყვარეს
არ დასტოვებდა უნუგეშოსა;
ყოველ-დღე შიშველს ჰფარავდა იგი,
როცა იცვავდა ტანისამოსსა.

ერთი ძაღლიცა იყო იმ ალაგს.
თქვენც იცით ძაღლი ყოველგან არი:
ფინია, ლეკვი, ხვადი თუ ძუკნა,
ქოფაკი, მწევარ-და-მეძებარი.

ძაღლი და კაცი ჯერ დამეგობრდენ;
ძმურად და ტკბილად სცხოვრობდენ ერთად,
მაგრამ უეცრად შფოთი მოუხდათ
და ძაღლი კანჭში კაცს მისწვდა მედგრად.

ყოველის მხრიდამ მოიჭრა ხალხი.
«გაცოფდა ძაღლი» მან დაიჟინა;
თორემ თუ თავის ჭკუაზედ არის,
ამ კეთილს კაცსა როგორ უკბინა!

ყველა თვალებზედ ხელს იფარებდა,
როს უყურებდა ძაღლისა ნაკბენს;
ყველა ჰფიცავდა: «ძაღლი გაცოფდა!»
ყველა ამბობდა: «კაცს რა მოარჩენს!»

მაგრამ ეს არის საკვირველება,
ხალხს გამოაჩნდა მალე ტყუილი;
კაცს ძაღლის კბენამ არა უყო-რა,
მაგრამ ძაღლს კია წილ-ხვდა-სიკვდილი.

— აი ბარაქალა, უილიამ; სწორედ მწუხარების ელეგია იყო. მოდით. მეილებო, ამ ბავშვის სადღეგრძელო დავლიოთ. ღმერთმა ჰქნას რომ მაგის ეპისკოპოსობა გვენახოს.

— დიდის სიამოვნებით დავლევ მაგ სადღეგრძელოს, სთქვა ჩემმა ცოლმა; და თუ ისე კარგად იქადაგებს როგორც მღერის, ეჭვი არა მაქვს რომ ნატვრა აგვისრულდება. მაინც მაგის ნათესავებს დედის მხრივ ყველას კარგი ხმა ჰქონდათ. ჩვენს მხარეში ანდაზად იყო ნათქვამი რომ ესა და ეს გვარი წინ ვერ იყურებაო; ამას და ამას სანთლის გაქრობა არ ესერხე-ბაო; ამ გვარმა მხოლოდ ზღაპრების თქმა იცისო და ჩვენს გვარზედ კი ამბობდენ, მარტო ხმა აქვთ კარგიო.

— სწორე გითხრათ, მე ერთი უწინდელებური ბალადა სულ მირჩევნიან ესლანდელს დაპრანჭულს ლექსებს; ამათი ერთი ხანა გვიცივებს გულსა და თუმცა გვმულს, მაგრამ მაინც უნდა ვაქებდეთ, მეტი გზა არ არის. მოსე, დაუსხი ერთი სტაქანი შენს ძმას. ჰო, უმთავრესი ნაკლულევანება ესლანდელის ელეგიების მწერალთა ის არის რომ იმისთანა საგნები აწუხებთ, რომელნიც გულ-ჩვილს კაცსაც კი ვერ აღუძვრენ სიბრალულსა. ქალმა რომ მუფთა დაჰკარგოს, ან მარაო, ან ფინია, საბრალო პოეტი მირბის შინა და სწერს ამ შემთხვევის შესაფერს ლექსებს.

— იქნება ეგ მართალი იყოს შესახებ დიდთა თხზულებათა, მაგრამ მცირე თხზულებანი კი ლამაზად, ცოცხლად

არიან დაწერილნი, მიუგო მოსემ. მწყემსი შეხვდება მწყემსის ქალს და დაუწყებს ლაპარაკს. მწყემსი აძლევს საჩუქარს თმაში ჩასართავად, და ქალი აჩუქებს თაიგულს; მასუკან ესენი ერთად მიდიან საყდარში, და ყველა ახალ-გაზრდა ქალ-ყრმას ურჩევენ საჩქაროდ ქორწინებას.

— აი კაი რჩევა სწორედ ეგ არის და არსად ისე არ გამოდგება, როგორც ინგლისში. გვირჩევენ ცოლები შეირთეთო და აქვე გვიმართავენ ქალების გამოფენას. მართლა რომ კარგი გამოფენაა, სადაც გვეუბნებიან, რა გვაკლია და დანაკლისსაც იქვე გვისრულებენ.

— მართლაც, მამა, მე მხოლოდ ორგან ვიცი ქალების გამოფენა: ინგლისში და ესპანიაში. ესპანიაში მხოლოდ ერთხელ არის წელიწადში ეს გამოფენა და ინგლისში კი ყოველ-ღამე.

— მართალს ამბობ, შვილო, წამოიძახა ჩემმა ცოლმა; კაცი ცოლს ინგლისისთანა ადვილად ვერსად იშოვის.

— მეოჯახე ქალებზედ კი აი რა უნდა ვსთქვა, წარმოვსთქვი მე. ანდაზად არის ნათქვამი, ზღვაზედ რომ ხიდი გაკეთდებოდეს, მთელის ხმელეთის ქალები აქ მოვიდოდენ და მაგალითს აიღებდენ ინგლისელ ქალებისაგან. რადგან ამათთანა კაი მეოჯახენი არსად მოინახვებიანო. აბა, დებორა, ერთი ბოთლი კიდევ მოგვიტანე, და შენ კი მოსე გვიმღერე. მადლობა ღმერთისა, რომ ასე მშვიდობიანად, ჯანის სიმრთელითა და შეძლების კვალობაზედა ვცხოვრობთ. მე ეხლა ჩემი თავი უძლიერესს ხელმწიფეზედაც დიდი მგონია. იმას ასეთი ცეცხლი არ ენთება, არც ასეთი მხიარული ხალხი ეყოლება გარშემო. თუმცა დავბერდით, დებორა, მაგრამ იმედი მაქვს ჩვენს უკანასკნელს ჟამს სიამოვნებით გავატარებთ. ჩვენ იმისთანა წინაპართ ჩამომავალნი ვართ, რომელთაც თავის დღეში უწესოება

არა მოუხდენიათ-რა და ჩვენს შემდეგაც ვტოვებთ კარგად და პატიოსნურად აღზრდილს შვილებს. ვიდრე ცოცხალი ვიქნებით! ეგენი იქნებიან ჩვენი მაცხოვრებელნი და ჩვენი მასიამოვნებელნი და როცა მოვკვდებით, გადასცემენ ჩირქ-წაუცხობელს სახელს შთამომავლობას. აბა, შვილო, იმღერე; ან თუნდა ერთად ვიმღეროთ. რა ქნა, ოლივია რა იქნა, ნეტა ვიცოდე, იმისთანა სასიამოვნო ხმა არავისა აქვს. სწორედ ანგელოზის ხმაა.

ამას რომ ვლაპარაკობდი, შემოიჭრა პატარა რიჩარდი და შემოგვყვირა:

— მამა, მამა, ოლივია წაგვართვეს, ოლივია! სულ წაგვართვეს!

— როგორ თუ წაგვართვეს!

— ორი კაცი მოვიდა ფოშტის ეკიპაჟით და წაიყვანეს. ერთი კიდეც ჰკოცნიდა და ეუბნებოდა, მეო შენის გულისთვის მოვკვდებიო. ოლივიამ დაიწყო ყვირილი, უნდოდა უკან დაბრუნებულიყო, მაგრამ რაღაცა უთხრეს და ჩასვეს ეკიპაჟში. ოლივია ამბობდა: ახლა საწყალი მამა-ჩემი რას იზამს, ამ ჩემს უბედურებას რომ გაიგებსო.

— ვაიმე უბედურს! შევყვირე მე, ვაიმე შვილებო შერცხვენილნო და გაუბედურებულნო! სიხარულის დღენი მოგვესპო ჩვენ. დქე, რისხვა ცისა იყოს მის თავზედ და მის ოჯახზედ საუკუნოდ და იქმნება კიდეც; იმან მომტაცა მე შვილი, რომელსაც კეთილს გზაზედ ვაყენებდი, მომტაცა ის უმანკო სული! რაღა დამრჩა ქალა, რიღასთვის უნდა ვიცხოვრო! ვაიმე შვილებო შერცხვენილნო და გაუბედურებულნო! რაღად მიცემ შე ოხერო გულო!

— მამა, ეგ არის შენი გულ-მაგრობა? მითხრა მოსემ.

— გულ-მაგრობა! მაშ გულ-მაგრობა ვაჩვენო იმას? მომიტანეთ ჩემი დამბაჩები; წავალ, გამოვუდგები იმ წყეულს, იმ შეჩვენებულს და მთელის დედა-მიწის ზურგზედ მოვნახავ. თუმცა მოხუცებული ვარ, მაგრამ კიდევ შევიძლებ გულში ტყვია დავასხალო. აი ის საზიზღარი, ის მოღალატე!

მე დავავლე ხელი დამბაჩებს, მაგრამ ცოლმა ხელი მტაცა და შემაჩერა; ის ჩემსავით არ იყო აღელვებული.

— რას ჩადიხარ, მითხრა იმან, შენ ბებერს ხელებს ეხლა მხოლოდ დაბადების ჭერა შეჰფერით. გადაშალე იგი და წაგვიკითხე რამე გულის დასამშვიდებელი; ჩვენ მოთმინებას გვეჭირვება, რადგან ასე რიგად შეგვარცხვინა ჩვენმა შვილმა.

— მართლა, მამა, მითხრა აგრეთვე მოსემ პატარა-ხანს უკან, ეგ გაცხარება თქვენი საკადრისი არ არის. თქვენ დედი-ჩემის ნუგეში უნდა იყოთ და მაგ ქცევით კი უფრო უხეთქავთ გულსა. თქვენს სიდარბაისლეს არ შეჰფეროდა ეგეთი წყევლა თვით თქვენის მოსისხლე მტრისაც; არ უნდა დაგეწყევლათ, რაც უნდა ცუდი საქმე მოეხდინა.

— მე არ დამიწყევლია.... განა დავწყევლე?

— როგორ არა, ორჯერაც დასწყევლეთ.

— მაშ მომიტევოს ზეცამ მეცა და იმასაც, თუ დავწყევლე. ეხლა ვგრძნობ, შვილო ჩემო, რომ იმას ადამიანის გული არ უნდა ჰქონოდა, რომელმაც პირველად გვითხრა, აკურთხევდით მტერთა თქვენთაო. იყოს კურთხეულ იმისი სახელი; უნდოდა ყოველთათვის კეთილი და ყოველთათვისვე ტანჯვა მიიღო. მაგრამ ეს უბედურება დიდი უბედურებაა რომ მოხუცებულს თვალთაგან ცრემლი გარდმომადინა, დ̃ დიდი-ხანია ჩემს თვალს ცრემლი არ მოსვლია. ოჰ, შვილო ჩემო! ჩემო საუნჯე! ოჰ, ღმერთმა ქნას რომ.... ღმერთო მომიტევე ჩემი გან-

ზრასულებას! ხომ გახსოვთ, რა კეთილი იყო ჩემი ქალი, რა გულ-შემატკივარი! ამ წყეულს საათამდე სულ იმაზედ ფიქრობდა, როგორ ესიამოვნებინა ჩვენთვის. ნეტავი მომკვდარიყო! არა, გაგვექცა და გააუპატიურა ჩვენი ოჯახი: ამ წუთის სოფელში მოისპო ყოველივე ჩემი ბედნიერება! შვილო, შენ დაინახე რომ წავიდნენ? იქნება ძალით წაიყვანეს; თუ ესეა, მაშინ ჩემი ქალი უბრალოა.

— არა, მამა, ისა ჰკოცნიდა, ეუბნებოდა ჩემი ანგელოზი ხარო და ოლივია კი მკლავზედ დაეყუდა და სტიროდა. მერე ჩქარა წავიდნენ.

— ულმობელი ქმნილება ყოფილა იგი, რომ ასე მოგვექცა ჩვენ! ამბობდა ჩემი ცოლი და ცრემლები სიტყვას აწყვეტინებდა როდის სადმე შევაწუხეთ ან ძალა დავატანეთ? იმ უნამუსომ უმიზეზოდ დაგვანება თავი დ თითქმის ცოცხლები სამარეში ჩაგვდო; შენს ჭაღარა თმასაც კი პატივი არა სცა. რაღა გვაცოცხლებს დღეის იქით!

ამისთანა უბედურება ჯერ ჩვენ არ დაგვდგომოდა; მთელი ღამე მწუხარებით და მწარეს ჩივილით გავატარეთ. მე გადავწყვიტე, მეპოვნა იმისი გამგიჟებელი, სადაც უნდა ყოფილიყო და ცხარე საყვედური მიმეცა. მეორე დილას საუზმეზედ ჩვენი საწყალი ქალი თვალში გვაკლდა; კვლავ ის იყო ჩვენი დროს გამტარებელი. ჩემმა ცოლმა კიდევ მოიოხა გული საყვედურით.

— ვეღარას დროს ვეღარ შეარცხვენს ის ჩვენს უმანკო სახლსა, ამბობდა იგი. მე იმას შვილსა აღარ ვუწოდებ. დეე იცხოვროს თავის საყვარელთან იმ უნამუსომ! თუმცა შეგვარცხვინა, მაგრამ მოტყუებით კი ვეღარ მოგვატყუებს.

— ნუ ცხარობ ეგრე, მივუგე მე, მეც შენსავით შემზარა

იმისმა დანაშაულმა, მაგრამ ეს გულიცა და ეს სახლიც ყოველთვის ღია იქნება მისთვის, თუ ის თავის შეცოდებას მოინანიებს. რაც უფრო ჩქარა დაგვიბრუნდება და შეინანებს, მით უფრო მხიარულად მივიღებ მას. თვით უგონიერესი ქმნილებაც შეიძლება ერთხელ შესცდეს, თუ ცბიერობა მახეს დაუგებს და ახალი ცხოვრება მომხიბლველად ეჩვენება. პირველი ცოდვა არის ნაყოფი უბრალოებისა; მეორე კი დაღია გარყვნილობისა. არა, ათი-ათასი ცოდვაც რომ ჩაედინოს მას, მაინც ამ სახლში და ამ გულში ადგილი ექნება. ოღონდ კი შეინანოს და მე კიდევ გავიგონებ იმის ტკბილს ხმასა, კიდევ მივიკრავ იმის გულს ამ გულთან. მომეცი შვილო დაბადება და ჩემი ჯოხი. წავალ, მოვნახავ და თუმცა შერცხვენიდამ ვერ დავიფარე, იმას მაინც ვეცდები რომ ვიპოვნო და მალე მოვსპო ეს უსამართლობა.

(შემდეგი მესამე ნომერში.)

* * *

ქალო ერთი ეს მითხარი,
რად დავეძებ მუდამ შენს კვალს?
შენს სახელს რომ ასხენებენ,
რად ვაშტერებ ერთს მხარეს თვალს?
დღისით რისთვის გეძახები,
ღამე თვალ-წინ რად მიდგეხარ?
იმიტომა, ჩემო კარგო,
იმიტომა რომ მიყვარხარ!

—

მინდვრისაკენ რომ მივდივარ,
გზა და კვალი რად მეშლება?
შენის კარებისკენ გავლით
გძელი გზა რად მიმოკლდება?
რატომ შენსკენ შემოხედვას
ვერა ვბედავ, შინ როცა ხარ?
იმიტომა, ჩემო სულო,
იმიტომა რომ მიყვარხარ!

—

როცა გხედავ ხან რად ვმუნჯობ,
ენა სასას რად მეკვრება?
ხან მტრედსავით რად ვღუღუნებ?
სისხლი რისთვის მიდუღდება?

შენს დობილებს რომ შევხვდები,
კარგს ქეიფზედ რატომა ვარ?
იმიტომა, ჩემო გვრიტო,
იმიტომ რომ შენ მიყვარხარ.

---

## ჩემს ლექსს.

გამშორდი? რადა ჩემო ლექსო, რად გამიწყერი?
თუ არ ამაყად, მდაბლად მაინც რად არ იმღერი?

ხომ გმადლობდი შენ, პირველად რომ გამეხმაურე,
სასტიკად პყრობილს სიჩუმეში გამეცნაურე?

ეგება მაშინ შეგებრალე მე წამებული,
ქვეყნიერ ყოველ ალერსისგან დავიწყებული....

შენგნით მე მარტო ცეცხლ-ტანჯვაში ვსიამოვნებდი,
სულსა დათუთქვილს სიამეს რომ უნიავებდი.

გახსოვს მე და შენ ბოროტებას შევაგინებდით
და გულს ალერსით ბუნებასა მივუბრუნებდით:

რამდენჯერ თვალით ცისის ზღუდე გადაგვივლია,
დ ფიქრითა ჩვენ მშობელს მთებში, შორს, შორს გვივლია...

ამწვანებულს მთებს პატივ-ცემით ვუკრავდით თავსა,
ველს აყვავებულს აშიკულად ვუცემდით თვალსა.

მაშინ გმადლობდი პირველად რომ გამეხმაურე,
სასტიკად პყრობილს სიჩუმეში გამეცნაურე.

ახლა რას ჯავრობ, ჩემო ლექსო, რად გამიწყერი;
თუ არ ამაყად, მდაბლად მაინც რად არ იმღერი?

ნუ თუ მიზეზი შენის წყრომის სატრფოა ჩემი,
ვინცაა ჩემი ერთად-ერთი ბედის მომცემი;

ვინც სულთა-ბრძოლა გადმიქცია მე იმედადა
და ყორანთა ჩხავილს არ მოვეკალ—მყავდა ბედადა;

კერპითა მაღალითა ვინც დაუდნო ჩემთვის ქვა-გული,
ვის სიყვარულმაც სამარეს მდებს ჩამბერა სული?!

ოჰ, თუ ასე, არ მინდიხარ და ნურც იმღერი;
უშენოდაცა ვეღარ დამძლევს ვერა-რა მტერი!

იორდანე.

# მარილი.

მარილი მიწაში, მარილი წყალში, მარილი ჰაერში.—დარბაზები ქვესკნელში.—სხვა-და-სხვა ღონე მარილის მოპოვებისა.—მნიშვნელობა მარილისა ქარხნებში და ოჯახობაში.—კაცის სიცოცხლე უმარილოდ შეუძლებელია.—მარილის ბაჟის მოსპობა.

---

ერთი ფრანცუზი ამბობს: მარილს დიდი მნიშვნელობა აქვს ცხოვრებაში, მაგრამ ძალიან მცირად ლაპარაკობენ მასზედ და მხოლოდ მაშინ იტყვიან რასმეს, თუ მზარეულს საჭმელში ან ნაკლებ მოუყვიდა, ან დაამლაშაო. თუმცა ესა სცოდნია იმ ფრანცუზს, მაგრამ ამ გვარის წინა-სიტყვაობით შეჭურვილს კარგა მოზრდილი წიგნი დაუწერია მხოლოდ მარილზედ და იმის მნიშვნელობაზედ.

მეც იმ ფრანცუზს წავბაძავ და ამ წინა-სიტყვაობით პატარა მარილს წავაყრი ჩემს წერილს, თორემ მკითხველს ეგონება, რომ რა კი ამისთანა, ლაპარაკში მცირად მოსატანს საგანზედ დავიწყე წერა, უეჭველად იმისთანა ამბავი უნდა ვუამბო რომ თავი ატკინოს, მოაბეზროს.

მობეზრებისა კი რა მოგახსენოთ და მართლაც ამ წერილში ზოგიერთი იმისთანა ამბავი უნდა გიამბოთ, რომ თუ გულ-მაგრად არა ხართ, შეიძლება თავ-ბრუ დაგესხვათ და გადამეჩეხოთ სადმე.

რადგან მარილზედა გვაქვს ლაპარაკი, პირველად იმისთა-

ნა ადგილს უნდა მივიდეთ, სადაც ეს საგანი უფრო ბლომად არის და სადაც მისი შემუშავება უფრო რიგიანს გზაზედ არის დაყენებული.

ჩვენში სად მოვნახავთ ამისთანა ადგილს; ისევ უცხო ქვეყნებს უნდა მივმართოთ.

ავსტრიის ერთს მხარეს, გალიციაში არის ერთი ქალაქი— ველიჩკა. სამი-ოთხის საუკუნის წინ ეს ქალაქი სულ უბრალო სოფელი იყო და მდებიარება ისეთი არა აქვს რომ მისის წყალობით ქალაქად გადაქცეულიყო; მხოლოდ ქვა-მარილის მადლიერი უნდა იყოს, რომ ეს პატარა სოფელი ეხლა ერთი საუკეთესო ქალაქთაგანია გალიციაში. მთელს დედა-მიწის ზურგზედ არ არის ისეთი ქვა-მარილით მდიდარი ალაგი, როგორც ველიჩკა, მაგრამ ეს ქალაქი მარტო ამითი არ არის განსხვავებული: როგორც ჩვენში ქვეშ-ქვეშა კაცზედ იტყვიან, რაც ზემოდ არის, ორი იმდენი მიწაში დადისო, ისე ველიჩკაზედ ითქმის, რაც ზემოდ არის, ორი იმდენი ქვესკნელშია აშენებულიო.

თვითონ ქალაქი ბევრით არაფრით არის შესანიშნავი, მაგრამ თუ შესანიშნავის რისამე ნახვა გსურთ, ქვესკნელში უნდა ჩაბძანდეთ. აი ის ალაგი, საიდამაც იწყობა ქვესკნელის გზა. ტანზედ უნდა თეთრი ხალათი ჩაიცვათ, თორემ თქვენი ტანისამოსი მარილის მღვიმეებში ისე გაივსება მარილით რომ აღარაფრის გამოსადეგი აღარ იქნება. აი დაიწყო დაკლაკნილი კიბე; უხვევთ გარშემო და თან ჩადიხართ ძირს, მაგრამ ძირი არ მოჩანს. ოთხას სამოც-და-ექვსს საფეხურს უნდა ჩასკვიდეთ და მხოლოდ მაშინ დაადგამთ სწორე ალაგზედ ფეხსა. გგონიათ საბნელეთში ჩასჭედით? სრულებითაც არა. ქვესკნელში მრავალი ფარნებია; მთელი ის არე-მარე სხვა-და-სხვა ფე-

რად არის განათებული; პირველში თვალები აგიჭრელდებათ: ვეღარაფერს დაინახავთ, მაგრამ პატარა ხანს უკან თვალი ეჩვევა: ხედავთ ურიცხვს კორიდორებს, მეიდნებს, სახლებს, საყდრებს; სახლებს მარილის ბოძები უდგიათ; საყდრებში მარილის ხატები და ანგელოზები არიან გამოქანდაკებულნი; სანთლების შუქი ერთი-ათად უფრო გაძლიერებულია მარილის თვლებსა და სხვა ქვებში ბრჭყვიალით; სხვა-და-სხვა საგნები თითქო-ათას-ფრად არიან შეღებილნი. ამ ქვესკნელში ხალხი დადის, სცხოვრობს, შრომობს, ატარებს მთელს თავის სიცოცხლეს; არიან ბავშვები, რომელნიც აქ დაბადებულან, აქ უნდა გაატარონ თავიანთი ცხოვრება და აქ უნდა დაიხოცონ.

განცვიფრებულს ვერ გაგიგიათ, რას უნდა აკეთებდეს ეს ამოდენა ხალხი ამ ქვესკნელის ქალაქში. გინდათ გაიგოთ და ყველგან ათვალიერებთ, ხომ არავინ ამიხსნის ამ გამოცანასაო.

პატარა კიდევ მოთმინება იქონიეთ და ახსნა ადვილია.

აი დაიწყო გრძელი, ცოტა ბნელი კორიდორი და მის ბოლოში მოსჩანს სინათლე. რადაც გამოუთქმელის გრძნობით გატაცებული მიდიხართ იმ სინათლისაკენ და რაც უახლოვდებით, იმდენი უფრო და უფრო დიდდება ის სინათლე. ეს არის შესავალი ერთს დიდს უშველებელს დარბაზში, რომლის უზარ-მაზარი მარილის კედლები ცისარტყელასავით ფერად-ფერადათ არის შეხამებული. შუაში ჰკიდია დიდი ხვამლი და მზის მსგავსად ნათელსა ჰფენს იქაურობას. კედლებზედ ზემოდან აქა-იქა ჩამოკამკამებენ წყალის ნაკადულები; ამათ გამოუვლიათ სქელი კეცები დედა-მიწისა და მოუგნიათ ამ ქვესკნელისათვის. ძირიდამ ჭერამდე გარეშემო კიბეებია გაკეთებული; მათზედ უშიშრად დადიან მუშები, წერაქვით ხელში და ამტვრევენ მარილს. ეს სამუშაო დარბაზი გახლავთ, მაგრამ

მას გვერდით ერთი სხვა დარბაზი კიდევ აკრავს, ბალის დარბაზი, რომელშიაც მრავალი ჩინებული ბალი გამართულა და მრავალს ხელმწიფესა და დიდ-კაცობას უქეიფნია.

ამ დარბაზებს რომ განშორდებით და პატარას გაივლით ვიწრო კორიდორში, წაადგებით ერთს გამოქვაბულს, რომელიც ოდნავ არის განათებული და კედლები არ უჩანს. ხედავთ თქვენს წინ მხოლოდ შავს ტბას და ეს ტბა დედა-მიწის ზურგიდამ ჩამოწვეთილის წყლით არის შემდგარი; თავის დღეში იმას ხელი ნიავიც კი არ მიჰკარებია და მის სარკესავით უძრავს ზედა-პირში ხედავთ თქვენს სახეს მაშხალის სინათლეზედ თეთრს სალათში, თითქო თეთრს სუდარაში გახვეულს. ტბის ნაპირზედ ნავია მიბმული და მენავეები თეთრსავე ტანისამოსში მიგიწვევენ ნავში ჩასასჯდომად, თუ გნებავთ ტბაზედ გაისეირნოთ. რაც უნდა გულ-მაგარი კაცი იყოს არ შეიძლება ამ მიწვევამ ტანში არ შეაჟრჟოლოს და არ აფიქრებინოს, რომ საიქიოს სამზღვარზეა მისული, ტბა—ჯოჯოხეთის ტბაა, ჯოჯოხეთის მაშხალებით განათებული და იქნება მენავეები სულის ამომხდელ მიქელ-გაბრიელადაც ეჩვენოს.

ამ ქვესკნელს კიდევ თავისი ქვესკნელი აქვს, ამ ტბის ქვეშ კიდევ სხვა ტბაა, ამ მუშების ქვემოდ კიდევ სხვა მუშები მუშაობენ, მაგრამ რაც გიამბეთ ესეც კმარა ველიჩკის გამოქვაბულების გასაცნობად. ორი თვე მეტი უნდა იაროთ, თუ გსურთ დაწვრილებით გაიგოთ, როგორა სცხოვრობენ, როგორა მუშაობენ ამ ქვესკნელში; ყოველგან ხალხი ირევა, ყოველგან მუშაობა დუღს, ყოველგან წმინდა მარილის ქვებს აცლიან კედლებს და მხოლოდ შიგა და შიგ სტოვებენ მარილის ბოძებს, რომ ზემო მიწა გაამაგროს და უეცრად ქვეშ

არ მოჰყვეს მიწის ზვავებს ადამიანის ამოდენა ნაშრომი და თვითონ ადამიანებიც.

ამ უკანასკნელს ასის წლის განმავლობაში ველიჩკის მა-რილის მღვიმეებში ამოიღეს ათას-ხუთასი მილიონი ფუთი მარილი!

სხვაგანაც ბევრგან არის ამ გვარი მარილის მღვიმე და სადაც კია, დიდი სარგებლობა მოაქვს ახლო-მახლო მცხოვ-რებლებისათვის.

ერთი ამ გვარი მღვიმე ჩვენს კავკასიაშიაც არის:

ყველამ კარგად იცის რომ ჩვენმა გლეხ-კაცებმა ქარავნით წასვლა იცოდენ ერევნისაკენ მარილზედ. შეიყრებოდენ ერთად, შეაბამდენ ასს, ორასს ურემს და სიმღერით გაუდგებოდენ გზასა. უწინდელს დროში, ვინ იცის რამდენი შიში უნდა გა-მოეარათ გზაზედ, რამდენი ხარჯი უნდა გაეწიათ! უნდა გა-დაევლოთ სპარსეთის საზღვარი და იქ საზღვრის ზედამხედ-ველისათვის მიეცათ ხარჯი; მერე მიეცათ იესის ქირა ქარავან-ბაშის, ანუ წინამძღვრისათვის, რომელიც იფარავდა ავაზაკების დაცემისაგან; კარგია კიდევ თუ თავის დროზედ მიაღწევდენ დანიშნულს ალაგამდე. გაზაფხულზედ და ზაფხულობით არაქ-სმა მოდიდება იცის და ურემი ვერ გავა; ხიდი და პარომი კი არსად მოინახვება; აქლემებით უნდა გამოეტანათ აქეთ ნაპი-რამდე და მერე ურემზედ დაედოთ.

ეს მარილის მღვიმე არის ყულფითას, ერევნის გუბერნიაში. კარგა სქელი ფენა მარილისა დედა-მიწაში ამ ალაგას და ზო-გან ზემოდაც არის გამოჩენილი. ამ ადგილებიდამ მარილი გაუტანიათ იმ დროსაც კი, როდესაც ჯერ რკინა არ იყო შე-მოღებული და მხოლოდ ქვის ნაჭუჭებსა ხმარობდენ. ბევრგან

იმოვეს იმისთანა მარილის ქვები, რომელთაც რკინის იარაღი არ მიჰკარებიათ და ქვის ჩაქუჩით არიან ნაცოდვილები.

ეხლანდელ დროშიაც მუშაობა ყულიფში, რასაკვირველია, ჯეროვანის წესზედ არ იქნება. ყულიფებსაც პატარა დარბაზები გაუკეთებიათ, ისე რომ საქონლის შეყვანაც შეიძლებოდეს მარილის სამტვრევ ალაგამდე და ამ საქონლით მარილის გამოზიდვაც; მაგრამ საფუძვლიანად საქმის გაკეთება კი ეზარებათ. გამოამტვრევენ კედელს, გააკეთებენ დარბაზებს, იმუშავებენ, ვიდრე დღის სინათლე შეუწევდეთ და შემდეგ მიანებებენ თავსა, ფარნებით განათება არ ეხერხებათ; შეუძლიანთ ახლა სხვაგან დაიწყონ მუშაობა, ახალი დარბაზები გააკეთონ და თავი რისთვის შეიწუხონ. ამას გარდა ყულიფში ზოგან მღვიმეები ორ ეტაჟად არის გაკეთებული, ზემო ბოძები ქვემო ბოძებზედ არ მოდის და სიმაგრისათვის ეს დიდად საფიქრებელია.

კელიჩკაშიაც და ბევრგან სხვაგანაც მარილი წმინდა იმტვრევა და პირ-და-პირ იხმარება, მაგრამ ბევრგან მარილს სხვა-და-სხვა მიწა ურევია, მაგალითად თიხა, ქვიშა, და ამ გვარის მიწა-ნარევის ხმარება შეუძლებელია. ამ შემთხვევაში საუკეთესო ღონე შემდეგია: ამ გვარ მარილ-ნარევ კლდეებში უნდა გაკეთდეს გამოქვაბულები, წყალით გაივსოს და ეს წყალი დარჩეს მათში, ვიდრე ბლომად მარილს არ შეიწოვს, არ გახსნის. რასაკვირველია, მარილთან ერთად წყალში სხვა ნივთიერებაც იქნება გახსნილი, მაგრამ მათი ერთმანერთისაგან გაშორება ადვილია; საჭიროა მხოლოდ, ამ წყალმა ნელ-ნელა დაიშროს და რაც მასში მაგარი ნივთიერებაა ნაწილ-ნაწილ დაილექება. პირველში დაილექება გოგირდ-მჟავა კირი და გოგირდ-მჟავა ნატრიუმი, რომელნიც გამოუსადეგარნი არიან და შემდეგ და-

ილექება თვითონ მარილიც. ამოიღებენ ამ მარილს და გააშრობენ ან ფეჩებში, ან მზეზედ. თუ მარილ-წყალს ცეცხლზედ დააშრობენ და აადუღებენ, მაშინ დალექილი მარილი წმინდა იქნება, და თუ ნელ-ნელა მზეზედ დააშრობენ, უფრო მომსხოს დაილექავს. ესეც კია რომ ეს წყალი ბოლომდის არ უნდა გაშრეს, თორემ ისე არ იქნება, მარილთან ერთად არ დაილექოს სხვა-და-სხვა მწარე ნივთიერება, რომელიც მარილის ღირსებას ამცირებს.

ავსტრიაშიაც აგრეთვე გამოჩენილი ჭალეინის მარილის გამოქვაბულები, რომლებშიაც მარილს წყალში გახსნით შოულობენ და არა პირ-და-პირ გამომტვრევით. ამ გამოქვაბულებში მარილი სხვა-და-სხვა მიწასთან ერთად არის არეული და პირ-და-პირ გამომტვრევა არ გამოდგება. ამ გამოქვაბულებში მოგზაურობა ნაკლებ შესანიშნავი არ არის, ვიდრე ველიჩკის გამოქვაბულებში. იქ კიბეზედ მაინც ჩახვედით ქვესკნელში; აქ კი თოკს ხელი უნდა მოსჭიდოთ და ჩაცურდეთ, ვინ იცის რამოდენა მანძილზედ; მიცურავთ და არ იცით კი თქვენს ცურვას ბოლო როდის მოეღება. აი დაადგით ფეხი დედა-მიწაზედ, გაიარეთ პატარა და ფარნის სინათლეზედ მიაგენით ქვესკნელის შავს ტბას; აქ კი უეჭველად უნდა ნავში ჩაბძანდეთ, თორემ ამოსვლა ამ ქვესკნელიდამ შეუძლებელია. მენავეები ნელ-ნელა უსმენ ნიჩბებს, დამღერიან მწუხარეს სიმღერას და მიგყავხართ მეორე ნაპირზედ. აი ჩამოხდით, გაიარეთ პატარა და კიდევ უნდა ჩაცურდეთ ქვესკნელის დაბლა ეტაჟში, მეტი გზა არ არის; უარის თქმა არას გარგებთ. კიდევ ჩასრიალდით, კიდევ დაადგით ფეხი დედა-მიწაზედ, კიდევ გაიარეთ პატარა და კიდევ დედა-მიწაში ჩასაძვრენი ჯურღმული დაგსვდათ. არ შეიძლება, არ იფიქროთ, როდემდის უნდა თხუ-

ნელასავით დავძვრებოდე დედა-მიწაშიო და არ იქნება ცოტა შიშიც არ შეგეპაროთ გულში.

შეოთხედ რომ ჩაცურდებით, ვაგონები დაგხვდებათ, დიაღ ვაგონები, რომელთაც ორთქლით მატარებელი სწრაფად გააქანებს რკინის გზაზედ. მიდიხართ და თან გეშინიანთ, ამ მწყვდიადის ბნელში ეს ვაგონები კლდეს არსად დაეჯახოს და ზედ არ მიგვასწყდიტოსო. გრძნობთ რომ მაშინა თითქო სადღაც ადის; აი გამოჩნდა ცოტაოდენი სინათლე, ბნელში კედლებს თითქო არჩევთ; გგონიათ, საცაა მივალთ იქ სადაც მუშაობა გაჩაღებულია და ყველაფერს დავათვალიერებთ; გა-ნათლდა მტრედის-ფრად; შორით რაღაც სინათლე მოსჩანს და ეს სინათლე თან-და-თან დიდდება; თითქო დედა-მიწის ნავ-მაც დაგბერათ, გულში რაღაც სიამოვნებას იგრძენით; მაშინამ გააჩქარა და მზის სხივები მოეფინა ორთქლით მატარებელს და ვაგონებს!....

დიაღ, რკინის გზით ამოხვედით იმ ჯურღმულიდამ, სა-დაც რამდენჯერმე ისრივით სწრაფად ჩაცურდით.

კარგი, მაგრამ მარილის მუშაობა სადღაა?

მარილის მუშები გვერდზედ დაგრჩენ და ვერც ნახავთ მათ; ისეთი მძიმე ტვირთი უკისრიათ, რომ უცხო კაცისათვის მათის მუშაობის დანახვა არაფრად სასიამოვნოა და წინამძღო-ლები მოგზაურებს გასართობად ატარებენ ამ ქვესკნელებში და არა იმიტომ რომ შესაზარი მუშაობის დანახვით უსია-მოვნობა მიაყენონ რამე.

* * *

დედა-მიწის სიღრმეში და ზოგან ზედა-პირზედაც ბევრ-გან არის მარილი, მაგრამ, რაც უნდა დიდ-ძალი იყოს მაინც არაფრად გამოჩნდება წყალში გახსნილ ულეველ მარილთან-

დედა-მიწის ზურგზედ ბევრგან გამოჩქრიალდებენ მლაშე წყაროები, მაგალითად კავკასიაშიც პიატიგორსკის ახლო; აგრეთვე ბევრგან არის მლაშე ტბები, რომელთ ფსკერს მარილის ქანი აქვს გადაკრული. რუსეთში, ასტრახანის გუბერნიაში არის ერთი ტბა ელტონისა და ეს ტბა იმდენს მარილს ილექავს ყოველ-წლივ, რომ ბევრს ეცადენ და მაინც ვერ გასწრიტეს ბურღით მის ქვეშ დალექილის მარილის სისქე.

მაგრამ წყაროები და ტბები რა ანგარიშში მოსატანნი არიან, როდესაც მთელს დედა-მიწას გარშემო მლაშე ოკეანე არტყია და მის წყალში ას წილზედ თითქმის სამი წილი მარილია.

ბევრ-რიგი ხერხია მოგონებული მლაშე წყალში გახსნილ მარილის გამოყენებისა, მაგრამ უმთავრესი აზრი ყოველის ამ გვარის ხერხისა ის არის, რომ წყალი დაშრეს და მარილმა ნელ-ნელა დაილექოს, მხოლოდ ყურის გდება კი უნდა რომ პირველად და უკანასკნელად დალექილი ნივთიერება წმინდა მარილს გაშორდეს.

წყალის დაშრობა თუმცა ადვილია, სადაც ტყე ბევრია, მაგრამ ზოგან შეშა ისე ძვირია რომ დალექილის მარილის ფასი ვერც კი აუვა შეშის ფასს. ამის გამო ზღვის პირად და ზოგან მლაშე ტბებთანაც სთხრიან მიწას დიდს მანძილზედ, თიხითა ჰფენენ ამონათხარს და აგუბებენ ზღვიდამ ან მლაშე ტბიდამ გადმოშვებულს წყალს. ქარი და მზე აშრობს წყალს, მასში გახსნილი ნივთიერება ძირს დადის და როდესაც მარილის ნიშანი გამოჩნდება ნალექში, წყალი სხვა ამონათხარებში უნდა გადაუშვან, რომ წმინდა მარილი დაილექოს.

ესეთი წესი მაგალითად ძალიან გავრცელებულია საფრანგეთში ზღვის ნაპირებზედ. იქ მზე ძალზედ მხურვალეა, მზეს

ქარიც ეწევა და ადვილად აშრობს წყალსა. აგრეთვე ასტრახა-ნის გუბერნიაში ამავე წესით ოც-და-ცამეტის ტბიდამ ყოველს წელს ამოაქვთ ოთხი ათას ოთხას ფუთამდე მარილი. მაგრამ რა უნდა ჰქნან ჩრდილოეთის ქვეყნებში: ჩრდილოეთ-რუსეთში, შვეციაში, ნორვეგიაში, სადაც მზე რიგიანად არც კი ათბობს დედა-მიწას?

ადამიანი ისეთი ქმნილებაა რომ სადაც გადაავდებ, ალ-ღოს დაჰყვება და ყველგან ბუნებას შეათანხმებს თავის მოქმე-დებას. ჩრდილოეთში მზე წყალს მალე ვერ აშრობს, მაგრამ იქ კაცი შემწედ სხვა მოვლენასა შოვობს—ყინვას.

მლაშე წყალი რომ გაჰყინოს, ყინული სრულებით უმა-რილო რჩება და რაც მასში მარილი იყო, დანარჩენს წყალში გადადის. ეს დანარჩენი წყალი ხელ-მეორედ რომ გაიყინოს, კიდევ ყინული მოშორდება და წყალში უფრო მომეტებული მარილი იქნება გახსნილი. თუ რამდენჯერმე ესე მოვიქცევით, ბოლოს დარჩენილს წყალს, ბევრი დაშრობა აღარ დასჭირდე-ბა და მალე, რაც მარილია, დაილექავს

* * *

მარილი მიწაშიაცა ყოფილა, წყალშიაც, მაგრამ არც ჰაე-რია იმას მოკლებული. როდესაც ქარიშხალი დაჰბერავს ზღვის ზვირთებს,—აზნევს მის წუნწკლებს ჰაერში და ეს მლაშე წყლის მტვერი, გატაცებული ჰაერის მოძრაობით, შემდეგ სცვივა დე-და-მიწაზედ წვიმის წყალთან ერთად. ეს არის მიზეზი რომ ზღვის ნაპირებზედ წვიმის წყალი ხშირად მლაშეა და ამ წყლით მორწყულს ბალახს საქონელი ძალიან ეტანება. ზღვაში მოგ-ზაურებს ხშირად შეუნიშნავთ აგრეთვე რომ ხომალდისა და მასზედ მყოფს საგნებს თეთრი მარილის მტვერი დასდებიათ.

და თვითონ ადამიანებსაც ხშირად სიმლაშე უგრძვნიათ ტუჩებზედ.

* * *

მარილი ბევრგან არის, მაგრამ სამწუხაროდ ზოგიერთს ადგილებში, ზოგი უგზო-უკვლობისა, ზოგი დიდის ბაჟის მიზეზით, ეს ძრიად საჭირო ნივთიერება დიდად გაძვირებულია და უბრალო ხალხს იმის ყიდვის შეძლება არა აქვს. ბევრი ლაპარაკი არ არის საჭირო ამის დასამტკიცებლად, რომ უმარილოდ არამც თუ ბევრი საქმე მოისპობოდა, თვით ადამიანსაც მოესპობოდა სიცოცხლე.

უწინდელს დროს ეგვიპტელები თავიანთ მკვდრებს ამარილებდენ, რომ კარგად შენახულიყვნენ.

ეხლა, ამარილებენ ხორცს, სხვა-და-სხვა თევზეულობას; უმარილოდ ძველის თევზის სახელიც კი არ იქნებოდა; მარილსა ხმარობენ ზოგიერთის ვერცხლის მადნების შესამუშავებლად. მარილსა ხმარობენ ქაშანურის ჭურჭლის გამოსაწვავად. მარილსა ხმარობენ თამბაქოს გაკეთების დროს; ხმარობენ წყლის გასაყინავად; სოდის გასაკეთებლად; ხმარობენ მრავალის სხვა-და-სხვა წამლის მოსამზადებლად. ამას გარდა, რომელი ქალიც კი უმარილს ეწყობა, ბოლოს ისე უშავდება სახე, რომ ვერას გზით ვეღარ მოსპობს სიშავეს; მხოლოდ თუ პირი მარილით დაიბანა, შეიძლება ცოტაოდნად გაუსუფთავდეს პირის კანი.

უმთავრესი მნიშვნელობა მარილს ადამიანისა და პირუტყვების ცხოვრებისათვისა აქვს. ვერც პირუტყვი, ვერც ადამიანი უმარილოდ ვერ გასძლებს და თუ მარილი საკმაოდ არა აქვთ საჭმელში, ფერი ეკარგებათ, ხდებიან, სუსტდებიან და ადვილად შეიძლება, ბოლოც მოკვდეთ.

უწინდელს დროში ჰოლანდიაში სახელმწიფოს მოღალა-ტეებს მხოლოდ უმარილო საჭმელს აჭმევდენ და ეს უბედუ-რები რამდენისამე თვის შემდეგ იხოცებოდენ; მათი სხეუ-ლი ისე მალე იხრწნებოდა სიკვდილის შემდეგ რომ მიკარება არავის შეეძლო.

ამერიკაში მცხოვრებს ზანგებს ძალიანა ჰხოცავს წყლებში ჭიის გაჩენა და შენიშნულია რომ, სადაც კი მარილსა ხმა-რობენ, ეს ავად-მყოფობა ნაკლებ არის გავრცელებული. აგ-რეთვე საქონლის ჭირი უფრო იმ საქონელს უღებს ბოლოს, რომლის საჭმელიც მარილს მოკლებულია.

გასაკვირველიც არ არის რომ კაცსა და პირუტყვს უმა-რილოდ ცხოვრება არ შეეძლოს. ყოველის ცხოველის ტანში მარილი ერთი უმთავრესი ნივთიერებათაგანია; კაცის სისხლი რომ დააშროთ, ნაშთში ნახევარზედ მეტი მარილია. მარილს პირში ნერწყვი მოჰყავს და საჭმელს ადვილად ანელებინებს კაცსა. ადამიანის სხეულში სხვა-და-სხვა თხელეული ნივთიე-რება უფრო ადვილად მოძრაობს მარილის შემწეობით, უფ-რო ადვილად აწარმოვებს სიცოცხლეს. ერთის სიტყვით მა-რილი ისეთივე აუცილებელი საჭიროებაა, როგორც პური და ტყუილად არ შეუერთებია ჩვენს სალხს ეს სიტყვა ერთად და ტყუილად არ უძახის გულ-უხვს, სტუმრის მოყვარულს კაცს —პურ-მარილიანს.

* *
*

ესეთი ძვირ-ფასი რამ არის მარილი ადამიანისათვის, პირუტყვისათვის, მთელის კაცობრიობის კეთილ-დღეობისა-თვის და რასაკვირველია ყოველივე ღონე, რომელიც კი მის გავრცელებას დაუშლის, დიდად მავნებელია: ეს არის მიზეზი რომ ბევრგან მარილზედ ბაჟის დადებას არეულობა და ამბო-

ხება გამოუწვევია ხალხში; ეს არის მიზეზი რომ შარშან, როდესაც რუსეთში ფინანსის ახალმა მინისტრმა აბაზამ მარილზედ ბაჟი მოსპო, მთელმა რუსეთმა აღტაცებით მიიღო ეს განკარგულება.

მართლაც-და რა შემოსდიოდა რუსეთს მარილის ბაჟიდამ? შემოსდიოდა მხოლოდ თორმეტ მილიონ მანეთამდე და ამ ფულიდამ ოთხს მილიონამდის ხარჯი თვითონ სახელმწიფოსა ჰქონდა. რვა მილიონის გულისთვის რამდენიმე მილიონი კომლი რუსის გლეხ-კაცი უმარილო პურსა სჭამდა და მის საქონელს სშირად უწყალო ჭირი ჟლეტავდა!

რუსეთში აურიცხველი მარილი წევს, მაგალითად ორენბურგის გუბერნიაში ილეცკაია ზაშჩიტასთან იმოდენა მარილია რომ რამდენსამე ათასს წელიწადს ეყოფა მთელს რუსეთს, წელიწადში ორმოც-და-ათი მილიონი ფუთი რომ ვიანგარიშოთ; მაგრამ ბაჟისა და უგზოობის წყალობით ეს მარილი თუმცა ადგილობრივ თორმეტი, თოთხმეტი კაპეიკი ღირდა ფუთი, პატარა მოშორებით იყიდებოდა ათი შაურიდამ ოთხს აბაზამდე. ბაჟი თითო ფუთზედ იყო ექვსი შაური და ერთი კაპეიკი, მაგრამ ძნელი ეს არის რომ ფასი მარილს უფრო მეტი ჰქონდა, ვიდრე გზის ხარჯისა და ბაჟის კვალობაზედ უნდა ჰქონოდა. მიზეზი ამისი ის იყო, რომ მარილის შემუშავებას მხოლოდ დიდის ფულის პატრონები ჰკიდებდენ ხელსა და ამ ფასს უნიშნავდენ, რა ფასსაც მოიწადინებდენ; შემცილებელი არავინა ჰყავდათ.

როგორც ბაჟი უზომოდ სწევდა მაღლა მარილის ფასს, ისე შესაძლებელია რომ ბაჟის მოსპობამ, ფასის დაკლების კვალობაზედ კი არა, უფრო მომეტებული მარილი აყიდვინოს ხალხსა. უწინ რუსის გლეხი ჰყიდულობდა მხო-

ლოდ ნახევარ ფუთს მარილს სულზედ წელიწადში და ექვსს შაურსა ხარჯავდა, ეხლა კი, რაც ბაჟი მოისპო, შეიძლება, ექვსი შაურისა კი არა, მანათისაც იყიდოს; შეიძლება ნახევარ ფუთის მაგივრად იყიდოს სამი-ოთხი ფუთიც, რა კი ცხადად დაინახავს, რა სარგებლობაც მოაქვს მარილს ოჯახობაში.

ინგლისში, სადაც დიდი-ხანია მარილის ბაჟი მოსპობილია, თითო ცხენს აჭმევენ ორს ფუთსა და ნახევარს მარილს, ძროხას ორს ფუთს და რუსეთში შარშანდლამდე თითო სულს ადამიანზედ მხოლოდ ნახევარ ფუთი მოდიოდა. შინაურს პირუტყვს კი ძვირად აღირსებდენ მარილით შეზავებულს საკვებს.

აი რა სარგებლობა მოაქვს სხვათა შორის მარილის უხვად ძლევას საკვებავში: რუსული ძროხა წელიწადში მხოლოდ ოც-და-ათს გირვანქა ერბოს იძლევა; ინგლისური კი ოთხიდამ ხუთს ფუთამდე; რუსულს საკლავს შვიდიდამ ათს ფუთამდე ხორცი გამოდის, ინგლისურს კი ოც-და-ათიდამ ორმოცამდე.

როგორ იქნება რომ ამ გვარმა განსხვავებამ ხალხს თვალები არ აუხილოს და არ აჩვენოს, რა დიდი შემატება შეუძლიან ოჯახისათვის მარილის ბლომად ხმარებას. პირველ წელიწადებში შეიძლება ბაჟის მოსპობამ ბევრი არა გაარიგოს-რა, მაგრამ თან-და-თან შეეჩვევა ხალხი იმ ჭეშმარიტებას, რომ რაც უფრო მეტს ფულს დახარჯავს მარილზედ, ორი და სამი იმდენი შემატება ექნება, ორი და სამი იმდენად იმატებს საქონელიც, ადამიანიც და მისი ოჯახობაც.

## გამოსალმება

დავაგდე მხარე ფარისევლების,
ის მ'ხაკვარების უნივერსიტეტი,
სადაც სატანა წვრილ-წვრილ ეშმაკებს
ჰგზავნის, რომ ხერხი ისწავლონ მეტი;

მხარე შემკული ბუნებისაგან;
ხალხი ავსილი ნიჭიერებით; —
იქ სადაც ერთი უბედურია
მხოლოდ მეორის ბედნიერებით.

იქ ყველა შრომობს მოუსვენრად!
განა მიტომ რომ თვით შეიძინოს?
არა! მისთვის რომ სხვას რამ დააკლოს,
ის ატიროს და თვით იცინოს!

იქ სისხლ-ხორცობა, ძმობა, მოყვრობა,
სიყვარული და ამხანაგობა
იციან მხოლოდ სხვის საჩვენებლად, —
ნამდვილ კი მხოლოდ არს ვერაგობა!

ვინც იმ ცუდებში უფრო ცუდია,
ის არის უფრო ძლიერ-ხმიანი

და ხუთს ვერ ნახავ ასს კაცში რომ სთქვა:
«აქაც ყოფილა ადამიანი!»

—

დავაგდე, დავჰგმე მისი მყობადი,
მაგრამ ცრემლით კი ამევსო თვალი,
რადგანაც მე იმ დროს მაგონდებოდა
მისი წარსული და მომავალი.

აკაკი.

---

## სასოწარკვეთილება.

ჰეი სამშობლოვ სხვებისთვის დედავ,
ჩემთვის კი ავო დედი-ნაცვალო!
ვიცი, დაიბან პილატებრ ხელსა
და იტყვი რომ ხარ შენ დღეს უბრალო

—

ჩემს ტანჯვაში და ჩემს განსაცდელში.—
მაგრამ მსურს გითხრა მე საყვედური
მხოლოდ მისთვის, რომ უნდა გათავდეს
ჩემი შენდამო აწ სამსახური.

—

დღეს პირველად და უკანასკნელად
დაუფარავად ვიტკენ შენზედ გულს
და აღარ ვმალავ იმ მძიმე ტვირთსა
დღემდის კი მხოლოდ ჩემთან დამარხულს!

სული და გული, ბუნების ნიჭი,
სიჭაბუკე და წამი ყოველი
შენ შემოგწირე, და რა მივიღე
სამაგიერო მე სასყიდელი?

—

უსამართლობა! მტრობა და დევნა!
ცილის-წამება გულის საკლავი!
და საუკუნოდ განსასვენებლად
მოსწრაფებული შავი-საფლავი!

—

შავი-საფლავი, სადამდის მტრობა
ვეღარ ჩაჰყვება მალ-მიხდილს მკვდარსა
და მცილებელთა შავნი საქმენი
ფერს ვერ უცვლიან თეთრსა სუდარსა.

—

უკანასკნელ ჟამს მე ეს მამხნევებს,
ეს მრწამს და სიკვდილს მიტომ არ ვნაღვლობ
და სინდისის სიწმინდისათვის
მტერ-მოყვარესა ჩემს ბედსა ვმადლობ!

—

დეე, მან დაჰგმოს ჩემი საფლავი
და მან დამქოლოს წყევისა ხმითა!
ვისაც ეშრომოს აქ ჩემზედ მეტად,
სიტყვით, ან საქმით, ან გულის ოქმითა.

—

და მან გამკიცხოს და შემარცხვინოს
უსამართლოდ და უდროვოდ მკვდარი,

ვისაც ჩემსავით აქვს სიყვარულით
სული წმინდა და გული მდიდარი!

---

მშვიდობით ჩემო დედი-ნაცვალო,
ჩემთან პირ-შავო ჩემო სამშობლო!
შენდობილ იყო ჩემგან ამიერ,
და ღმერთმა მოგცეს კეთილი ბოლო.

აკაკი.

---

## გამოფხიზლება.

გავკაჟებივარ შავ-ბედსა,
დავდივარ შეუპოვარი!
ვერ შემაშინებს რისხვით ცა,
ჭირზედა ჭირის მთოვარი!

---

არ ვუღალატებ სინიდისს;
თავს შევინახავ წმინდადა
და ჩემს სიცოცხლეს ვიგულებ
ჩემის სამშობლოს წინდადა!

---

ოფლით მოვრეცხავ სამშობლოს,
იმ წმინდა სისხლით ღებულსა,
რომ შევეყარო პირ-ნათლად,
იქ ჩვენ წინაპრებს ქებულსა!

---

და აქ კი შესაწდობარსა
ჩავარაკრაკებ კულითა
და შემოვსძახებ თამამად
გრძნობით ალვსილის გულითა:

—

„ჩონგურო, ჩემო დიდებავ,
და ძლიერებავ კალამო,
ზოგჯერ ცეინთისო გულისა,
ზოგჯერ წყლულისა მალამო!

—

ნუ გამომილევთ ძალ-ღონეს
საბრალო მუშას—მთესველსა,
მებრძოლსა გულ-გატეხელს,
ბნელში იმედით მსვლელსა!

აკაკი.

# დედა მაია.

(მოთხრობა).

## I

სოფელი მარმარა-ღელე თვითონ, მოგეცათ სიცოცხლე, კარგ, მოსაწონ ადგილის არის გაშენებული: მაღლა გორაზე გა-ჭიმულა, ძირს გადასცქერის ვენახებს და ჭალებს, რომელთ შუაც მიიკლაკნება პატარა მდინარე; მაგრამ სახნავ-სათესი ამ სოფელს ძალიან შორს უძევს და ისეთ ადგილებში, სადაც არც წყალი, არც თავის შესაფარებელი ჩრდილი იპოვება. წარ-მოიდგინეთ: დილიდამ საღამომდის მარმარა-ღელელი მუშა ადუ-ღებულს წყალსა სვამს; გუთნის მეხრეებს მწვავე სხივები მხურ-ვალე მზისა სითუთქავენ და საქონელი, შაშვივით პირ-დაღებუ-ლი, ჩარმაცად მიაფრატუნებს ფეხებს.

მარმარა-ღელეს სერზე, აღმოსავლეთის მხარეს, გზის პი-რას, იდგა ტყუპი ოდე, ისე ერთმანერთზე გადახლართულები, ჩაწმახვნილები, თითქოს დიდის ხნის მოშორებული მიჯნურე-ბი ერთმანერთის შესვედრიან და ჩაჰკონებიანო. ეს ოდე ობ-ლად იდგა სერზე, ტიალ მინდორზე; გარშემო ესვია ნახნავ-ნათესი და გამხმარი ნარის—ეკალა. მოქანცულ მგზავრისთვის სწორედ სამოთხე იყო ამ ოდეს ქვეშ გაოფლიანებულ შუბ-ლის გაგრილება. გუთნის მეხრეები აქ სადილ-სამხრობდნენ და

ხანდისხან თვალსაც წაატყუებდეს. ბევრის მწუხარების, ვაების მოწამე იყო ის ტყუპი ოდე; იმის ქვეშ გამტვრიანებულ გუთნის-დედას არა ერთხელ ამოუხვნეშია; მომკალს თავისი ნამგალი გაულესია და სევდიანად „ნამგალო“ დაუღიღინია; გაცივებულს ღამის მეხრეს ბევრი უკვნესია და ოსრობა შეუთვლია დაუნდობელის ბედისთვის.

დიაღ, ბევრის ვაების მოწამე იყო და არის ეს ტყუპი ოდე!

გათენდა. სერზე ხალხი, საქონელი, გაიშალა; გახურდა მუშაობა; ტყუპ ოდეს ქვეშ წევს ერთი ახალ-გაზდა ბიჭი, ესე ჩვიდმეტ-თვრამეტის წლისა, ულვაშები ახლად შეკოკრებული აქვს, სახე სიცხისაგან შელახმული: წევს და საშინლად ჰკმინავს. აქედ-იქიდგან ისმის ჟღავი-ჟღუვი, „ჭოპუნას“ ხმა, „ჭორულა.“ ამ ბიჭს გული უკვდება, გული უჭდება თითქმის სატირლად, რომ ის აქ წევს უსაქმოდ და სხვები კი გახურებულნი შესდგომიან საქმეს. წამოიწევს, დაეყრდობა ხელებზე და ისევ წაწვება; გულიან ბრძოლას უწყალო სენმა სძლია.

ეს საბრალო ბიჭი იყო სანდალა ღარიბაშვილი, გუთნის მეხრე. ამ საცოდავმა სხვებსავით დილა-ადრიან მირეკა გუთნის-დედისაგან დანიშნულს ალაგას გუთნეული, მაგრამ ვაი იმ გარეკვას! დილით რომ ადგა, განა არა რომ, საბრალო სანდალამ, წელი ველარ აიტანა; ტანში საშინლად შეაზზმორა, ცხვირში წაუჭირა და ხელ-ფეხი შეუმცივნა. დილითვე მისვდა რომ რაღაც უბედურობაა იმის თავს. ერთით უნდოდა გათენებისასვე შინ წამოსულიყო, მაგრამ ვერ უღალატა გუთანს; დაემალა თავს; შეიკრიბა ძალა და ღონე, გადიგდო გულიდგან დარდები; სულ სხვა ფიქრებმა მოიცვა ახალ-გაზდა, შეღერებული ბიჭის თავი; გამოუშურა ისევ გუთნისაკენ, მაგრამ სია-

რულში აღარ ეტყობოდა ჩვეულებრივი სიმარდე: ჭაბუკური, მხნე ნაბიჯი, მიხვრა-მოხვრა, სახის მოქნევა, ხარ-კამბეჩის წარბენა სულ დაეკარგა; ფეხებს მოკრძალე კაცივით მიაფრატუ-ნებდა. ერთის შეხედვით შეეტყობოდა მეხრეობის გამომცდელი კაცი რომ ის თავის ქეიფზედ ვერ იყო.

შეაბეს გუთანი. გაიმართა თუ არა მზე საშუადღისზე, უმატა და უმატა ამ ნაქებს ლამი-მეხრეს სიცხე და დასცა პირ-ქვე. ჰე, აქ ყოფნა იმას არას არგებდა. მეტი ჩარა აღარ იყო, უნდა შინ წამოსულიყო. ადგა, წამოიკიდა რუსული გახეხილი ყარაჯა, ეს ღამის ხანგრძლივი მეხრეებისა,— ამოიჩარა თავის ერთი-გული, განუშორებელი მეგობარი, იფნის სახრე იღლიაში და ტორტმანით, განკალით გამოუშურა. ჩვენ ნაცნობს ოლეს ქვეშ პატარა-ხანს იწვნეს, ივიშ-ვიშა, მაგრამ ოლეს ნუგეშის ნიშნად ფოთოლიც არ შეირხა; ადამიანივით იმანაც გულ-ცივად შეჰხედა საწყალ მუშაკის ტანჯვას!! როგორც იყო წამოდგა, დასვენების შემდეგ და წამოვიდა.

აი მოდის სახლადა და უღელავს თავში ფიქრები: სწუხს, გული უდუღს, თავში ჟრუანტელი უვლის და შუბლზე სიმწა-რით ცივი ოფლს ასხამს, რომ ამ ავად-მყოფობით იმას ერ-თის დღის ალო დააკლდება, რადგან თავობის ამოყვანამდის გუთანზე ვერ დაჰყო — ეს უწუხებს გულს, ეს სტანჯავს საწ-ყალს. გაბრაზებული დაჰკრეჭს კბილებს და უნდა ისევ გუთ-ნისკენ გამობრუნდეს, მაგრამ ვერა, ვერ მოერია სატკივარს. წამოვა ბარბაცით, შედგება კიდევ თოფ-ნაკრავ ნადირივით. სენმა თავისი გაიტანა: აურია ტვინი: დაავიწყა დარდები. და ბოდვით წაიფრატუნდა შინ ბედისაგან დაჩაგრული ღამის მეხრე.

ძლივს! მოვიდა შინ. შინ სულიერი არსება არ მოიპო-ვება, რომ სანდალას მოუაროს. შავ სახლში, კვნესით უძახის

დედას: „დედა, დედა! უშველე!! ..სად ჯანაბაში დამიგდეს...“ იმედ-გადაწყვეტილი დერეფანში, მზის გულზე, რომელიც დე-რეფნის ბანში სვეტად ჩამომდგარა, წაქცეულა. გდია სახლდალა ცალიერ მიწაზე, უგრძნობელად, მაზარაში გახვეული; სახრე მაგ-რად დაბღუჯული და გულში მიხუტებული უჭირავს. ამ დერეფან-ში შინაურ პირუტყვის ბაგის კარია გამოღებული, საიდა-მაც გამოდის საშინელი, დამახრჩობელი სუნი. დერეფან-შივე აქა-იქ, თითქო განგებ ამოთხრილიათო, საქონლის ფე-ხისაგან ამოჩიჩქნილია ორმოები; შიგ ჩაგუბებულია საქონ-ლის შარდი და ქათმებისაგან ბუსუსია ჩაყრილი: ეს ორმოები ბაყაყის ბუდის ფერია. მთელს დერეფანში ქათმებისა და გო-ჭებისაგან გაქექილი და მოდავებულია ნეხვი და ამ ნეხვს ზედ ზაფხულის მწვავე მზის სხივები ადგია; ადუღებს გუბეებს, აყროლებს ნეხვს და ადენს შესაზარს სუნს. ამ სიმყრალეს სიხარულით ეხვევიან, დაფრინავენ ცელქი ბუზები; დაბუ-რილან წუმპის წრეზე და ფარფაშის ფერი დასხდებიანო, სწო-რედ ის ფერი, რა ფერისაც თითონ წუმპეა. ბუზის ჯარი მიაგ-ნა სახლდალას, დაუწყია იმას წოვნა, მწარე კბენა და თავი—ზედი აწყვეტინა.

აი ამისთანა ჭაობ-გაუკუღმებულ, სისველი, ციებ-ცხელების დამბადებელ ადგილას აგდია სახლდალა მთელი დღე მოუვლელად. საჭმელ-სასმელი, თბილად ჩაცმა და ალერსი მოდენა ამის-თვის აბა ვინ საჭიროა. საცოდავი სახლდალა, შეწუხებული, წუ-თი-სოფლისაგან ბოლო მოღებული წამოიძახებს ხამუშ-ხამუშ: „დედა, წყალი!“ მაგრამ წყლის მიმწოდებელიც არავინ ჰყავ-და; უნდა დამორჩილდეს თავის ხვედრს: უნდა ადგეს და თითონ იცეს თავში. წამოდგება, მოიკუნტავს მაზარას, ჩაძვრე-ბა დარბაზში და ერთი ღმერთიასად მოიწვალებს გულიანი წყალს.

ამოძვრება დარბაზიდამ და წამოეგდება ისევ ისე, გაიღებს გულს და მიუშვერს ქარსა; ელის დაღამებას რომ დედა გაჩნდეს საიდგანმე. დაღეზებულად გამოქანებულმა დერეფნისკენ დედა-ღრმა დინგის ამოკვრით შეატყობინა სანდალას დაღამება.

## II

— ჩემო სვინის ჯალაბო! ჩემო სვინის ჯალაბო! ქა, ელისაბედ, არ გესმის?!

— რა გინდა, ქა! მოისმა ხმა ელისაბედისა.

— აქეთ მოიარე ცოტა ხანს, საქმე მაქვს. ასე გასძახოდა ცივის და შეწუხებულის ხმით მოხუცებული დედა-კაცი, სახელად მაია, თავის მეზობელს სალამო ჟამზე. ეს იყო დედა სანდალა ღარიბაშვილისა: ის ქერის გლეჯიდამ მოვიდა, ნახა სალ-სალამათად დატოვებული შვილი შეღონებული და ელდა ეცა. ელისაბედმა გაიხედა კარში დაბრანძულის კაბით, ფეხშიშველამ; თავი და მაჯები შეკრული აქვს და ჩვეულებისამებრ მოიკითხავს თავის მეზობელ მაიას.

— ელისაბედ, ელისაბედ! მიატანა სიტყვა მაიამ. ერთი სათხოვნელი მაქვს შენთან: სანდალა არ გამხდომია, ი დედა-მკვდარო, ავადა. საწყლის შვილი გუთანზე უჯდა და ჩომ დამეც მისდევდა საქონელს ღამის მეხრედ. ოოიი! შავ და უკუღმა ის დღე და ის საათი, როცა ის იქ დაუჯდა... ასე უბედურობა მეწია, გენაცვალე, სალი-სალამათი შვილი... ნეტა რა დროს, კალოობა იწყობა, მკა კარზე მომდგარია... არ ვიცი, ამბობს წუხელ წყალში ჩავარდიო და იმაზე მომივიდაო. მაგრამ, ქა-

ლო, შენმა მზემ, დასიცხული კია, ვატყობ. წელან აი ასე გადასული ყოფილიყო მზე, ჭო, სწორეთ სამხრობისას, მოვარდა თურმე სახლში თათქანიით და ზაზანით.

— რას იტკივებს, ქალო? მჭვალი ხომ არ ადგია? უთხრა თანაგრძნობით ელისაბედმა.

— რა ბძანებაა. სიცხე აქვს, გატარახნებულია და თავს საშინლად იტკივებს. ახლა წამლად მასწავლეს შაბ-ტილო აფარე შუბლზედ. რა ვქნა, რა წყალს მივეცე მე გულ-მკვდრის შვილი. ის დასაქცევი მეწვრილმანე ურიებიც არ არიან, თორემ ერთი ჯამი ქერისას გამოვართმევდი ი შაბსა და იოლად წავიდოდი... თუ გეგულებოდეს სადმე, ნუ დამიჭერ აგრემც გაგიძლიერებს ღმერთი შვილებისა ჲ იმათ ბედნიერებას მოგასწრობს წმინდა გიორგი ზედა ჯვარისა.

— იქნება მეგდოს სადმე, მოვნახავ ყუთში. შენ მუმია არ დაგეჭირება და შაბი, აბა მითხარ, რა დასაჭერია; გამომართანე კი ვინმე, მე არ შემიძლიან, დაღალული ვარ. ჩემი შვილების დარჩენამ, ისეთი ვარ, რო სუ ძვალი და რბილი ძირ ჩამომდის. ი რაღაც საცოდავი ორი დღის ქერი გვებადა, ჩემო სიცოცხლე, სუ ერთიან ხელით მოვგლიჯეთ. თითის წვერზე ცეცხლი მეკიდება, სუ ნუნებში გამამტყეს.

— იჰ, რა დაგემართათ, ქა! ცელიანი ოსები ხო იშოვებიან, თუ თქვენ მუშა არ გეშოვებოდათ. გავაცელინებდით, ბეჩა, თავის მოკვლასა.

— იი, შენ კი გაიხარე იმ ორ ვაჟი-შვილზე, სად იყო, გენაცვა, გასაცელი? აქა-იქ ცოდვის დუღლივით კივკივებდა. ორი დღისაში არ მოგროვდა ხუთი პატარა ბულულა... ი დალოცვილმა ღმერთმა რაღა ჩვენზე მოიცალა: ეს ორი წელიწადია, მაღლა არ აგვიხედნია უსარჩოობის გადამკიდე.

— რაღა თქვენი და რაღა ჩვენი. ეგ კიდევ არაფერი, ჩემო სვანის ჯალაბო. მოუსვენლობას ჯანი გავარდეს. ამბობენ ბატონს უღმერთო ლაშქრები შეუყრიათ ნასხრავებზე. სადაც ერთი დღისასო თურმე ორი დღისათ წერამსო. აჰ! არ უღხინოს იმის სიყმეს ჩემმა წმინდა სალოცავებმა ჩვენის ცოდვით...

— ე რა მაგ სიტყვის პასუხია და წამოდი, შენ წამოიღე, რაღაც მაზი გინდა.

ორნივე ლაპარაკით წავიდნენ.

მაია გამოართმევს ელისაბედს მაზს და მოუყარავს ლამაზში მარ-ქვეშ მისდგომ ქალებისან გაბაბამს ბავშვს იმაზზე, თუ რა მოუსიდებს, რა არგებს იმის შვილს. ერთი ეუბნება:

— ქალო, თუ ცივებს დასჩემდეს, დოს პერანგში ჩააწვინე სოლომე. იმისთანა უებარი არა იქნება-რა. ჩემ ხაჩატოსაც იმან არგო...

— მე ვიცი რომ შენს სანდალს მწვალი დასჩემდება, წაართვა სიტყვა ერთმა ღრმად მოხუცებულმა ბებერმა და თავგამოდებით, დაბეჯითებით დაიწყო: ვინიცობაა კიდეც გამოაჩნდეს, აგურები იშოვე—აი ჩვენ პეტრე მღვდელსაცა აქვს—პატარ-პატარად დაამტვრიე: მერე, ქვაში, ცეცხლში ჩაყარე და გაახურე. აიღე ლეგინი, ჩაასხი დიდ წაღაში, ეს გახურებული აგურის ნამტვრევები შიგ ჩაყარე და ლოგინ ქვეშ ამოუდგი. ეს უებარის მწვლისთვის ი ჩემი ერთი შვილის ქმეუასანზე გამოცდილებაა. ერთი არ მომირჩენია და ორი. თუ არ არგოს, დედავ და იყავლო, ჩემი წყევლის მეტს ნურას გაავეთებ.

სხვებიც ვინც კი რა იცოდა და გაეგონა, გულ-მოდგინეულად ეუბნებოდნენ ავად-მყოფის პატრონს.

ამასობაში იმის შვილის სანდალს ჭირი ცივს მიწაზე უსასუროდ გდებით უფრო და უფრო უმძიმდებოდა, ტანში უჩნდე-

ბაჟ დედა მაია კი ქალებთან ბაასობს. მაგრამ რა ჰქნას? მამ არა ჰკითხოს მეზობლების რჩევა თავის შვილის მორჩენაზე? მერე რომ აუტყდეს რამე, რომ ქვეყანა ჩასჭორავს, რომ უდედო-სი შვილი უპატრონობით მოჰკლა. ამიტომ გულ-მხურვალედ ქმნის ყოველს ღონისძიებას, მაგრამ უდიერობისა და სულ-მოკლეობის გამო ვერასა შვრებს.

ბედ-კრული მაია ცოცხალ-მკვდარი სუგუმ-ცემული მოდის სახ-ლისაკენ და თან ევედრება წმინდა სალოცავებს, რომ შვილი მისი განსაცდელისაგან იხსნას.

— ადამიანო, ანა რად დაგიმძიმებია თავი ე ავადარი კაცისა-თვის, ჰა? უპატრონოა სხვა არ არი, — უხსნეს მაიას ახლად მო-სული სარწყავიდამ შვილი, სასწრაფოდ სოლომანს.

— ოჰ, შვილო, რა ვქნა, გენაცვალოს დედა, წამლისთვის ვიქნა, მე ბედ-შავი.

სარწყავიდამ მოსული უფროსი შვილი მაიასი მწარედ ამოიოხრებს; ჩამოჯდება კუნძზე და ჩაფიქრდება.

სოლომანს არის ოც-და-მეთილის წლისა, როგორც იმის დედა მაია იტყვის ხოლმე, მაგრამ შეხედვის უმალვე მიხვდე-ბა კაცი რომ დაუსრულებელ წვალება-ხრიალებს დიდი ხანია რაც თავისი ჩაქუჩი ჩაუქრია თავშიო. ტანთ აცვია დაგლეჯილი, უსუფთაო, ჭვარტლ-ნაცრევი მაუდის ჩოხა, რომელსაც წინ კალთე-ბი სულ ჯორიანად ჩამოცვეთილი აქვს, და ერთი შეხედვით კაცს ეგონება რომ არისტოკრატიული ფრაკი აცვიაო. მარტო-ლივ მაუდისა აცვია და ტოტები დაგლეჯილ პაიჭებში აქვს ჩა-ტანებული; მიმხედრი ფეხები ყაზახურთ აქვს შეხვეული და ზედ მიკრობილი; ხელ-პირი დაუმუშავები მისისაგან, იმას გა-ბუნძვრილი და ჩაწვეული ისეთ სახისა რომ გეგონებათ ამ სოფლის თავის თავის დღეში საყვარელი არ მიჰკარებიაო. პა-

ტარა ცხოველებს შიგ დაუბუდნიათ ამ თმაში, მაგრამ სოლომანა სხვა მსხვილი მგზნარების კბენას ვერა გრძნობს და კსენი რას დააკლებენ. სოლომანას ყურადღება სხვა რაზედმე მიქცეული. ის ფიქრობს, იქნება, ამაღამ როგორმე გაათავოს სარწყავი და მერე დაობლებულმა მიჰყოს მკას ხელი. სოლომანამ მოუმატა ოხვრას. ნეტა ამოსაოხრი რა აქვს? ისა რომ ერთის დღისას გუთნის-დედა აღარ უხნავს, რადგან იმისი ძმა მოსცდა. ერთის დღის ნახნავს იქნება ოცი თუ არა, თხუთმეტი კოდი მაინც გამოსვლოდა და იოლად წასულიყო. თუმცა მომეტებულს ამის ნაშრომს სხვა წაიღებდა, მაგრამ ცოტა ხომ იმასაც დარჩებოდა. აი ამას ოხრავს საწყალი სოლომანა დარიბაშვილი.

## III

დედა მაია მოამზადებს შაბას და კუბნებს შვილს ალერსით:

— ადე, გენაცვალოს დედა-შენი მაიას ორთავე-თვალები. შემოდი შინა და ე რაღაც შაბია შემოგადო შუბლზე, ეგების გიშელავათოს და პატარა ცივმა ოფლმა გადაგკრას. უიჰ! შენ დედასა და ვაგლახი, რა სიცხე აქვს ამ დედა-მკვდარსა! ააყენებს და კრუსუნით შეიყვანს. დარბაზში აგია ჭილოფის ნაგლეჯი, იმაზე გადაფენილია გაცვეთილი ფარდაგი, მაიას მზითევისა. სახურავად მოუტანია საბანი ისეთი ჭუჭყიანი და გაჭვარტლიანებული რომ კაცი ვერ მიხვდებოდა, პირველში რა ფერისა უნდა ყოფილიყო. საბანს ჭუჭყის გამო ჩინტლის სუნი ას-

დის. მაია თავით მოუდგამს მის მუთაქას — სართუმალს, ზედ ჩოხას გადააფარებს და ეტყვის:

— აი, შვილო, დაწექ! გენაცვალოს შენ დედის თვალები, ნუ იღელღელავებ.

— დედა არა არის-რა? მშიან; უნდა ჩქარა წავიდე, რო ი წყალი ბოლოში არ გამივიდეს, თორემ შეტბორავს და ი რაღაც საცოდავი სიმინდია, სულ ერთიანად გამიტიელებს, ეუბნება სოლომანა.

— რა ვქნა, აბა რა გიხაო... ამ უწისქვილობის გამო კი ვერა დავფქვით-რა და... ყველაფერში ხელი აილო ი კურთხეულმა ღმერთმა. მოიცა, შვილო, მგონი ჩვენებიანთ ნანომ მჭადი ამოჭყარა; წავალ, ვესესხები; ეგებ მასესხოს. თბილი კეცის მჭადი გიამება.

მაია წავა და მოუტანს. სოლომანა გამოისვევს მჭადს ყაბას ჩოხის კალთაში და წასასვლელად დაემზადება. ამ დროს გარედგან მოისმის მეზობლის ხმა.

— სოლო! სოლომანა!... ბიჭო, ლარიბაშვილო!...

— ვინ არის? გამოკა კარზე. ჰო, შენა, ლაზარე! რა გინდა?

— ერთი წალდი მათხოვე; ხვალ უნდა ტყეში წავიდე და იქნება პატარა ფიჩხი და შეშა-ფიჩხს ავაგროვო. დღესაც, კაცო, ვერაფერი გამოვაცხვეთ პური. წისქვილის შეყალამისას ზურგით მოვიტანე ლიახვიდგან საფქავი. აქ ხომ ღმერთს არ გაუჩენია წყალი... ბავშვები შიმშილით მეხოცებიან. ეს ორი დღეა თურმე ჩემი ცოლ-შვილი სულ მოხარშულ მხალზე გამოდის. ჩემ დედა-კაცს უშემობით ქეცებშიაც ვერ გამოეცხო ხმიადები.

— ხვალ, კაცო, რო კვირაა. როგორ წაისვლებს. მოხელეებმა რო გაიგონ, ხო დაგარბევენ.

— რა ვქნა, ძმაო. მიჭირს და არ წავიდე? გკითხამ შენა. აბა ერთი მითხარ, რა ვქნა? წყალი შევაგროვებ და ორშაბათს ადრე წავალ, რომ მზის ამოსვლამდინ მოვიარო. მერე ქერი მაქვს საგლეჯი და იქ უნდა წავიდე.

— რა გაეწყობა. წადი; გაუფრთხილდი კი ზეთაყვას: ერთ მარჯვენად მიდის.... დედა! გამოუტა ე წალდი, ე მა გარებს უკან აყუდია. მოიხედე, დაჩხარე, რა გითხრა: ასე გავიგონე რო ბატონის ყანები და ქერები გაუწერიათ; ისემიასით ზაქარამა, რა ჰქვიან?... ჰო. აი სოსოოს ბიჭმა თქვა, მეც თან დავდევდი: ბატონიც იყო, მოურავი და ერთი მოსელელი.

— ჰო, მეც გავიგონე: ვისი ფამლენ დღისით დაუწერიათ, ისიც კი გავიგე. სადღაა ღმერთი. სადღაა სატიკ ქვეყანა. მეიალოსანა, გაუყუღმართიდა. სატამალი სიბრალული არავისა აქვს ჩვენის კაცის. ეგ კი კაცაო, მამას არა ჰგავსო...

— აი, შვილო. წადი! უთხრა წუწუნით დაჩხარეს მამამ.

— იმას გამბობდი. ეგ მამას არა ჰგავსო... ეჰ! მაგრამ აგი გამბობ: აღარ არის სიბრალული. ძმაო, ჩვენის კაცის. აღარ და აღარ!!

— არა, ჩემო დაჩხარე; ეგ ახალ-გაზრდა ბატონი უფრო კაი კაცია უწინდელზედ. მარტო იმითია ცუდი რო სულ სხვის სიტყვას აძლევს. რასაც ი ამოსაწყვეტი შვილი, ი მოურავის თაყ-რაღაც უახაბა, ეუბნება, იმას სჩადის.

— ოჰ. კითხოს და გადაახდევინოს ჩვენ მაგიერ აი ჩემმა უდანაშაულოს კუბოსა ღვთის-მობეჯმა მაგ მოურავსა!... აბა, ერთი მითხარ, შვილო, ბატონს რად უნდა ამოდენი ბეგარი; ცოლი არ ალოსებს და შვილი; რაში აქნევს. ე მა ბერისკომლ ამოსაწყვეტის შვილს, ი მოურავს, მისქვს... კიდეც იმიტო

ჰყავს ი გუთისკულუბი; რატო აქამდინ არა ჰყამდა? სუ ჩვენი განაგლეჯებისაგანა აქვს ესერი შექნილი, აი! სთქვა მაიამ.

— ფიქრი არ არის! ვის გაკეთებული განაგლეჯი ფულე-ბით, რო მე გაკეთდეს. ბევრი გაკეთებულა, მაგრამ ბოლო არა ჰქონია. იმიტომა რომა ჩვენი განაგლეჯები შუაქამ? განა იმას. ჩემო ლაზარე, ღმერთი არა ხედავს? განა ის ამაგებს მოუწონებს?... ესლა ჩემი მიწები, აი გადაღმა რო მაქვს ორ-დღი-ნასყვრის არდიგარდმოთ, აი ის მიწები... რატომ არ დაბრმავდებით თვალებო... ოთხი დღისათ დაუწერიათ. აბა, ჩე-მო ლაზარე, ამას ღმერთი მოიწონებს?

ასე გააბეს გულ-დათუთქვილმა მეზობლებმა ბაასი; თუმ-ცა ყველას თავის საქმე ჰქონდა და ეჩქარებოდა, მაგრამ უსა-მართლოების მოგონებამ თავისი გაიტანა. ამ ამბების მომ-სმენმა დედა მაიამ ერთი კიდევ სამწარით შეჰყვირა:

— ოოი, ოოი! ვთხოვ ი ჩემ კუბოსა მღვთის-მობელსა და წმინდა ელია ღრუბელთა წინამძღვარსა, რო გასცეს ჩვენ მა-გიერი პასუხი ი ჩვენ შემწუხებლებსა! ჩვენი ცოდვით ნურც დაჰყრიათ მოურავის ცოლს და შვილს კარგი და კეთილი! ნურც მოუსვენიათ იმის მკვდრებს საფლავში, ჰე და არე, კაი კაცი ის არ არი! ასე დაიწყო წყევლა-კრულვა გულ-გა-სეთქილმა და გაბოროტებულმა მაიამ.

— რა გაჯავრებს, დედი, პირველი არ არის და მეორე ეს ამბავი, მაგრამ წყეულო, ხოლო, ახირებითა არი, რო ახლა შე-იძლება მომეტებით. ნეტა მოსულიყო რამე მაინცა.

— ეჰ, ძმაო, რას მოუმატებთ? აბა, მითხარ, რა უნდა უყოთ? ენაცა, ძმაო, მაგათ უჭრით და ხელიცა...

ასე დაბოლოვა ეს სამწუხარო ბაასი ჩვენმა სოლომანამ; უთხრა ჩვეულებრივი «ღამე-მშვიდობისა» ლაზარეს; შეიდო ბა-

რი მხარზე და გამომგზავრდა სიმინდისკენ. კმაყოფილებით, სულის სიმშვიდით წავიდა; ჰგონებდა, რომ ეს არის ცალიერის ლაპარაკით ვუშველეთ, გავარიგეთ რამე. მაგრამ ვაი შენს მტერს. რაც იმათ ტყუილის, ფუჭის ლაპარაკით ვერა გააწყონრა და ვერ მოირჩინონ ეს შემაწუხებელი მუწუკი....

## IV

დადგა კვირა დილა, მაგრამ იმისთანა დილა, რომელმაც მწუხარებისა და შეჭირვების მეტი მაიას არა მოუტანა-რა. წამოდგება დილა ადრიან და ფეხ-აკრებით, ფთხილად, გულის მგერით, დახედავს თავის საცოდავს შვილს. ელდა ეცა გულდამწვარ დედას; გულის ცემა თითქო გაუჩერდა; თმა ყალყს შეუდგა და ცივმა ყრუანტელმა გაუარა ტანში. სანდალა სრულიად გათანგულიყო. დედას ჰგონია, რომ იმისმა შვილმა სულთა-მხუთავს სული ჩააბარა და შეწუხებულის ხმით, კანკალით ჩაეხმაურა: „შვილო!“ შვილმა მლივსა სცა შეწუხებულ დედას ნუგეში, რომ ჯერ კიდევ ცოცხალია. წამოდგება მაია; ხან აქეთ მიაწყდება, ხან იქით; ვერა გაუგია-რა; ვერა მოუხერხებია-რა; ვერ უპოვნია მიზეზი, თუ რამ შეაწუხა, რამ მიაყენა

იმისი შვილი სიკვდილის პირზე. დაიწყებს თავისებურად ახსნას, ღონისძიების ძებნას. ივლის, ივლის, ეძებს მიზეზებს და მიადგება იმ აზრს, რომ უთუოდ და უთუოდ იმის შვილს მიზეზი აქვს რომელიმე ავის ხატისა, წმინდანისა. ახლა რა ჰქნას, როგორ გაიგოს, რომ იმის შვილს სწორედ მიზეზი აქვს. იფიქრა, იფიქრა და ორი რამ დააწყო: ფთილებს დაასხმევინებს და თუ ამითი ვერ გაიგებს, მაშინ მკითხავს მიმართავს ამ გამოცანის გამოსაცნობად. მკითხავი ამათთვის ექიმია, რომელიც რეცეპტს (ბარათს) მიუწერს ხოლმე ხატებთან. მაიას სახე გაუბრწყინდა, გაუმხიარულდა; გული გაემალა, რომ საშუალება იპოვა, და ესრედ ნუგეშ-ცემული მოჰყვა წუწუნს.

— რა ვქნა, რა ვაწყევინე ი დალოცვილებს, რო ასე მდებიარედ გამიხადეს ე უღირსი შვილი! რა ვქნა, რა წყალში ჩავარდე, რა ღვარს მივეცე! ერთი ფთილები თუ არ დავასხმევინე, არ იქნება. ვენაცვალე იმათ მადლს, ოღონდ უშველავთონ ჩემს საწყალს და ათ სოფელს ფეხ-შიშველა შემოვივლი დიდებაზე; ერთ წლამდინაც სულ ფეხ-შიშველა ვივლი წირვა-ლოცვაზე. აქ ადგება, ლაპარაკით გავა კარზე, რომ ფთილების ჩამომსხმელი იპოვოს ვინმე.

ფთილები და მკითხავი—აი პირველი და უკანასკნელი მისამართი ღონისძიება ჩვენის გლეხისა. იმათის ჭკუით, ამ ორის საშუალებით შეიძლება ავად-მყოფობის მიზეზის გაგება. მიზეზი რომელიმე ხატის ან მამის, ან დედის სალოცავებიდგან. ეკითხავს კაცი რად ასტყდომია ხატი ამისთანა დროს? რად მოუცარავს ხელი საწყალის მუშაკისათვის ამ სისხლის პურის ჭამის დროს იმ ხატს-წმინდანს? თავის სიცოცხლეში წმინდანები რომ არას სთხოვდენ ხალხსა, არ აწუხებდენ და პირ-იქით, რაც ებადათ ხალხს ახმარებდენ,—სიკვდილით, რა-

ლას მოსთხოვეს, ან რაში აქნევენ იმის შეწირულს. ამის მო-საზრება არა აქვს ჩვენ გლეხს და ამხსნელიც არავინა ჰყავს. მღვდელი!? მღვდელმა რომ აუხსნას, ხომ სარფა აღარ ექნება. ამ კითხვებზე ჩვენი გაუნათლებელი გლეხი მკვირცხლად მო-გიგებსთ: უთუოდ მძიმედ აწყევინა ი დალოცვილ ხატს, ან იმის ასული, მდგომარე ხის ტოტი აიღო და დასწვა, ან ცუ-დად მოიხსენია, ან დედ-მამის დანაშაული რამე.

მაია შემოიყვანს ბებრუხსასას; მოუტანს ბამბას და თი-თის-ტარს.

— აჰა, გენაცვა, ბებელა! სამი წმინდანის სახელობაზე ჩა-მოასხი.

— მაია, ჯამით წმინდა წყალი მამიტა. არა ერთის-ხა, ქა, ხატი იწყენს, სარკეც მომოვნე, რო ზედ გადავათვარო ფითი-ლებს... რომელი წმინდანის სახელობაზე ჩამოვასხა ფითილები, ქალო!

— ჩვენი კუმოსა მღვთის-მშობლისაზე, გენაცვა, წმინდა-გიორგი ზედა-ჯვრისაზე და ელიას ღრუბელთა-წინამძღვარზე... ოოჰი!! იქოს და იდიდოს იმათი სახელი!

ბებელა დაიდგამს წინ წყალით სავსე ჯამს; თითის ტარ-ზე დაასხვევს ფითილებს და იტყვის:

— აბა და ყოვლად წმინდაო კუმოსა მღვთის-მშობელო, წმინდაო გიორგი ზედა-ჯვრისავ და ელიავ ღრუბელთა-წინა-მძღვარო! იქვეთ, იდიდეთ და გამოიჩინეთ თქვენი სახელი. თუ თქვენ ემიზეზებ თ რასმეს მაიას სანდალას, ულხინეთ, მიუტე-ვეთ, და თქვენმა ძალამა და თქვენმა სახელმა, რომ თქვენს კარს მოვიდეს სამთელ-საწირავით, კურატით, ღამეც გითიოს და ზედაშეც ჩააყენოს.

ამ სიტყვას ხატებისადმი რო გაათავებს, თითის-ტარს

გაზდებს ჯამზე და სარკეს გადააფარებს. რასაკვირველია, ზამზა ისე არ მიჭკრობია ერთმანერთს, რომ არ გაისხნას: რომელსაც გაკეთების დროს უფრო დუნედ მისვლია თავი-თავზე, მალე გაიშლება, და რომელი წმინდანისაც გაიშლება, უთუოდ იმის მიზეზია. კეკელა ახდის სარკეს.

— ვენაცვალე მაგათ მადლსა და ძალსა! ელია ღრუბელთა-წინამძღვრისა დ ზედა-ჯვრისა გაიმალნენ, ქალო!... აბა, მოი-ტანე წმინდა სანთელი, ჩამოჰქენ და თავს შემოავლე. იქნება, ულხინონ და შეიბრალონ შენი სანდალა.

მაია მსწრაფად წამოვარდება; ეცემა ძველ, დაჭრელებულ ყუთს, ამოურევს ხელს, იპოვნის კოშტ სანთელს, ჩამოჰქნის ფაცა-ფუცით და თავს შემოავლებს.

## V

დადგა გული მაიასი გულის ალაგას; თავის ბუდეში მოასვენა იმ იმედით, რომ ეს არის რაღა უშველა ღმერთმა და იპოვა მიზეზი თავის შვილის ავად-მყოფობისა. ახლა ელის, თუ აი დღეს, აი ხვალ, წამოდგება იმისი შვილი ფეხზე დ თავის ძმას მუშაობაში მხარს მისცემს. მაგრამ, ვაი!—იმისი შვილი უკან დ უკან მიდის, ცოცხლებთან ცხოვრების კავშირსა სწყვეტს და მკვდრებს ამხანაგად უხდება. ათავებს წუთი-სოფლის ასპა-რეზზე თამაშობას. გავა ერთი დღე, გავა მეორე, მესამე... მაია უცქერის თავის შვილს და იმედი აქვს, რომ წმინდანები იმის ვედრებას შეისმენენ და სანდალას მიანიჭებენ ჯანის სიმრთე-ლეს. მაგრამ მწარედ სტყუვდება; იმისი შვილი სანთელივით დნება.

დედა მაია ეკითხება უფროსს შვილს, თუ რა ჰქნას იმისმა გაგლეჯილმა დედამ რომ სანდალას უკეთობა არ ეტყობა. დედა და შვილი გააკეთებენ თათბირს და გადასწყვეტენ რომ მკითხავს მიჰმართონ, თორემ საქმე წახდა. მაგრამ აბა როგორ მიჰმართონ? დედა მოხუცებულია, ვერ წავა; სოლომანას სამუშაო ბევრი აქვს. ისევ უნდა ურემი შეუბას. მაგრამ აქაც დაბრკოლებაა: წამყვანი არავინ არის და ხარებიც ჯერ გუთანში ებნენ; თურქულის გადამკიდე გამოუშვეს ერთი ხარი; ახლა კალოც მომდგარია.

— დედა! ეტყვის გულ-მტკივნეულად ხელ-მოცარული სოლომანა.

— რა გინდა, შვილო, გენაცვალოს დედაი?

— აბა ერთი მეზობლებში მიიარე, იქნება, წასვლა უნდოდეს ვისმე მკითხავთან; ცალი ხარი გადაუბათ და წავიდე... წადი დროზე.

— დაიცა, შვილო, პატარა მარილის კვნიტი ეგდო ე მათაროზე.

— რად გინდა, ადამიანო! მარილი-კვნიტი არ მოგინდება?

— არა, შვილო, სხვაფრივ მინდა: ლოჭაანთ ნენემ თურქულის შელოცვა იცის; შევალოცვინებ კვნიტზე, ეგებ ი ხარს ჩლიქებიდამ მატლი გასცვინდეს.

— ი ჭოტა ხარს ხო არა ტკივა, ის შეუბათ რა.

დედამ ეს ვერც კი გაიგონა, ისე იყო გამოშტერებული და გამშრალი დარდისაგან. აიღებს მარილის კვნიტს და ბუტბუტით გადის. მიმავალ მაიას დაინახამენ მეზობლის ქალები და დაუძახებენ.

— მაია, მაიავ!... საცოდავი! დარდისაგან აღარა ესმის-რა... ქა, მაიავ, დაყრუვდი! აქეთ მოიარე პატარა ხანს.

მაია კაბის კალთებს, სარტყელში რომ ჩაკარწახებული აქვს, ჩაიშლის, გულის-პირს მოიწევს, თავშალს გაისწორებს და მივა.

— საღამო-კარგა ყოფნისა, ქალებო! მწუხარის, ნაღვლიანის ხმით ეტყვის მაია.

— რასა იქს შენი ვაჟი? ახლა ხო უკედ არის? ყველა ერთხმივ დაუწყებს კითხვას.

— იჰი! ისე თქვენი ქმარ-შვილის დამაწყევარი შეწუხდეს, როგორც ჩემი სანდალა არი შეწუხებული და მწარედ სიკვდილის პირს მიმდგარი. ვაიმე და ვაიმე, შვილო!

— ისემიანთ ქექელა ამბობდა რო ფთილები ჩამოუსხი და ზედა-ჯვრის მიზეზები გამოუვიდაო. სანთელი შემოავლო თუ არა, მაშინათვე მოიხედაო, ეუბნება ერთი მეზობელთაგანი — მართა.

— ოჰი! ისემც ნუ მოუხედნია შენს მტერს და დუშმანს, როგორც ჩემმა შვილმა ვერ მოიხედა.

— ნუ გეშინიან, ქა!... უიმე, გენაცვალე, სადაურია ეგა! წინ-და-წინ გულის გასეთქა ვითამ რა არისო?!... მაგას ჯვარი ქწერის, ხორველიანები და ჭირიანები რჩებიან და ეგ ხო ცხელებით არი ავათა; მაგითი ნუ გეშინიან; აბა, რა პასუხია! ბადოს ბიჭიც სწორეთ ეგრე იყო გადადებული, მაგრამა წავიდნენ თუ არა და აკითხვინეს, მაშინათვე თურმე უთხრა რო, ვენაცვალე იმის სახელს, სარკის წმინდა გიორგის მიზეზი აქვსო. ალოცეს სარკისაში და იმ წუთასვე მორჩა, უთხრა ნუგეშინის-ცემით ფეფელამ.

— განა, ჩემო ფეფელა, არ მინდა წასვლა მკითხავთან? ბარემ წლები მეხლართება, რო ასე გადადებულ შვილს ვუცქერი ამ დასაბრმავებელი თვალებით, მაგრამ რა ვქნა; ხელ-მოკ-

ლე ოჯახის ამბავი ხო იცი... მერე ი დასაქცევი უღელი ხარი გვებადა და წუხელი გუთნიდამ მოგვირეკეს თურქულით და-კოჭლებულები; რითი წავშავდე და წავბნელდე?... ი ერთ ხარს კი არა აქვს მიელა... ფეხით სად შემიძლიან ამ დროულ დედა-კაცს ჩერჩეტი. მარილის-კვნიტი წამოვიღე; ნენემ იცის შე-ლოცვა. ეგებ მატლი დასცვინდეს და წავგლუხდე.

— არა უშავს-რა, ჩემი სინკუას გაზდამ! ეგრე მოარულები დადის, ეუბნება მესამე.

— ნეტამც აგრე იყოს, შენი შვილების ლხენითა.

— დაიცა ძ რომელ მკითხავთან უნდა წავიდე, ეტყვის მე-ოთხე.

— რა ვიცი, დიცში ამბობენ ერთი კაციაო; წმინდა სანთელზე მკითხაობსო.

— არა, ქა, უი დამიდგა თვალები! ის არ ვარგაო! ხელის ქანებით უთხრა ფეფელამ; ქალა, ქალო, ზერტში ამბობენ იმის-თანა მკითხავსა რო აღარავინ შეედრება ქვეყანაზეო. აი, გე-თაყვა, ქალაქში რო კოდელ-ნინოს მოგასხსენებდენ, ის ზერ-ტელ მკითხავთან ნარცხათაც არ გამოდგებაო. თურმე, ასე გა-შინჯე, ნიშანდობლივ ეტყვის ადამიანს, რამდენი კოვზი, ჯამი და სხვა რამეები აქვს სახლში.

— მგონი, დარეჯანა, შენ გინდოდა წასვლა; არა? ქა! რა-ტომ არას იტყვი? მიუბრუნდა მაია ერთს ხანში-შესულს დე-და-ბერს, რომელიც თავ-ჩაღუნული, მოკეცილი იჯდა და გაჩ-ქარებული შავი ღაზლის პაიჭსა ქსოვდა. დარეჯანას ამათი ლა-პარაკი თითქოს არ ესმოდა: ხამუშ-ხამუშ მოიხოცდა ცხვირს და მიწაზე ტულაშანს მოადენდა და ისევ შეაპროწიალებდა პაიჭს.

— ეჰ! ჩემ ავად-მყოფს მკითხავი რაღას უშველის, სთქვა ისევ თავ-ჩაღუნვით, იმედ-გადაწყვეტილმა დარეჯანმა.

— მართლა, ქა, რა ამბავი მოგივიდა შენი სიძისა? ისევ ისე მდებიარედ არისო? ჩაეკითხა თანაგრძნობით მაია და თვალებს მიაცეცებს, ეგებ თქვას რომ ისევ იმავე მდგომარეობაში და მკითხავთან წასასვლელად ამხანაგი იშოვოს.

— იშ! მარა უბედურებაა! წუხელ ჩემი პავლე მოვიდა იქიდგან და ტირილით შემამჩივლა: „ასეთია, დედა, ის იმითანა ვაჟი-კაცი რო, სუ სანთელივით დამდნარაო.“ თურმე ი საცოდავ ჩემ ქალს დედა-მთილი... აი ქოთაო შეხვდეს და თან გაიტანოს... სიცოცხლეს ამწარებს. შავ და უკუღმა ის დღე და საათი, როცა შენ ჩემ სახლში ფეხი შემოდგიო. რატო ი წმინდა გიორგიმ არ მოგტეხა ე სამიწე ფეხი, არ გაგაშეშა, რო მაგითანა ფინთი ფეხისა ყოფილხარო... უი, შენ დედასა, შვილო, და ვაგლახ-მე! ზის თურმე, დედა-მკვდარი, და აბნევს მდუღარებას ცრემლსა... ვაი და ვაი, რა უბედური შევიქენ!? ჩემი დღენი სუ წვასა და დაგვაში გავატარე: ერთი ქალი გავათხოვე, მამიკვდა და უბედურად გაიარა; მეორე გავათხოვე და აგერ იმასაც ქმარი უკვდება, ან დღეს ან ხვალაო... ოოი! შე დალოცვილო ღმერთო! იქოს და იდიდოს შენი სახელი! ზოგს, შე კურთხეულო, აალორძინებ, ყოვლის კეთილით გაავსებ, უბესა და კალთას ზედ დააბერტყ; ზოგზე კი სრულებით ხელს იღებ... ეჰ! ვინ წაუგა მაღალი ღმერთის განგებას. აქ დარეჯანას აუჩუყდება გული, ცხვირის ხოცვას უმატებს და კალთაში კუფხა-კუფხად ცრემლები ჩამოსცვივა.

— ნეტავი ერთი რა გაწიკვინებს? ახირებულია შენმა მზემა! რა უნდა მოუმატო ვითომ მაგითი!... არა უწამლეთ-რა?

— როგორ არა უწამლეთ-რა, ქა! მაგრამ წამალი არ მიუდგა. ქვეყანა მოვლალეთ და შევაჯერეთ იმის ექიმობაში.

— იშ, შვილები არ დამეხოცოს, დარეჯანა, რომ ეგ მიზეზია. ე წამლები რო არ მისდგომია, არ ეტყობა! მიზეზმა იცის, ქა, აგრე გასდომაი. რამდენი წამალიც უნდა დაალევინო, მთელი დუნია რო შესძრა, არა ეშველება-რა, არა და არა, მინამ თითონ, ვენაცვალე იმის მადლს, ხატი არ ულხენს, უთხრა ფეფელამ.

— არა, მკითხავთან წასვლა სჯობიან წამლობას. წელან შენ არა სთქვი ბადოს ბიჭისა, რომაო დგვრისელ, თუ ზერტელ—დიაღ, დიაღ, ზერტელ-მკითხავს აკითხვინეს თუ არა, მაშინვე ფეხზე წამოდგაო... ის მკითხავი თურმე ქალია და მღვთის-მშობლის ქადაგიაო. თუ დიდი ცოდიანი შეხვდა ვინმე,—ვსთქვათ ხატი ძიელ გაუჯავრებია და გადაჰკიდებია,—თურმე გულს შემოიყრის; ჩამოთვლის წმინდა გიორგის სახელებს, რაც კი ქვეყანაზეა, და მღვთის-შობლისაც და ამათი სახელებით შესტუქსავს ადამიანს. მერე თურმე ხან დაუთათრულებს, ხან დაულეკურებს, ვინ იცის რა ენაზე არ ილაპარაკებს! ბოლოს და ბოლოს დაუშოშმინდება გული და იკითხავს. ბადოს თურმე მოკიდებული მუგუზალი დაარტყა თავში, ი გაგლეჯილმა... გერისთობას თურმე რად მივა იმდენი ერი, რაც იმის სახლში მიდის.

— მაშ, დარეჯანავ, ხვალ დილით ადრე წავიდეთ... ორშაბათი დილა კი იქნება, მაგრამ რა გაეწყობა... ერთი ხარი ჩემი, ერთი შენი და საქმე გავიჩარხოთ. ეგებ ღმერთმა ბრძანოს და ჩვენი ავად-მყოფებისა გავიგოთ რამე, ეტყვის მაია.

— თუ კი იქ წასვლით ეშველება რამე ჩემ უბედურ სიძეს, როგორ არ წავალ. წავიდეთ გენაცვალე, წავიდეთ! ჩემ პატარა პავლეს წამოვიყოლებ მეურმედ, იტყვის დარეჯანა ტირო-

ლით, მოთქმის კილოზე და თვალებიდგან გადმოსცვივა ცხა-რი ცრემლები; ჩაქინდრავს თავს და ამოუშვებს ქვითინს.

— გაია, ქა! არ გამიგონია ცოცხლის გამოტირება; ე მაიას მაინც შეხედე, ეტყვის ფეფელა.

— აბა, ჩემო დარეჯანა, მე რაღა ბნელი ქვა უნდა ვქნა, წა-მოიწიკვინებს ნუგეშ-ცემული მაია, ვაჟ-კაცი შვილი სიკვდილის პირზე განწირული მიდევს. ჭირში, ჩემო დარეჯანა, მოთმენა უნდა.

— ოჰ, ჩემო მაია, არ გამოგიცდია მწუხარება და ღმერ-თმაც აგაშოროს ამისი გამოცდა. გაჩუმდება, შეიმაგრებს თავს და ამოიოხრებს გულის კანკალით.

— მაშ მოემზადე, დარეჯანავ, და ხვალ ადრიან წავიდეთ, ეგებ ისევ გადმოვიდეთ.

— წავიდეთ, წავიდეთ! ეგებ წმინდა ელიამ ღრუბელთა-წი-ნამძღვარმა მიხსნას მეორე გაჭირვების ხილვისაგან. მაგრამ რო წავიდეთ, რაზე უნდა ვკითხვინოთ, ფულიც არა მაქვს.

— რა ვქნათ, უნდა როგორმე ვიშოვნოთ. ამითი გაათავებს მაია ბაასსა, ადგება მეზობელ ნენესთან მივლის და მარილის კვნიტზე შეალოცვინებს, რომ ეგებ ხარებს ჩლიქიდგან მატლი დასცვინდეთ, თურქულმა რომ გაუჩინა.

## VI

წამოვა მაია შინ ერთით გახარებული, რომ ამხანაგი იშოვნა და წავა მკითხავთან, რომელიც ფთილების ჩამოსხმაზე უფრო ნაღდია, უფრო კარგად გაიგებს, რომელი ხატი ემი-ზეზება იმის შვილს; მეორეს მხრივ, მწარედ შეწუხებული და

გონება მისდილი იმითი რომ მისი უღირსი შვილი შეწუხებული წევს; ვინ იცის, გავარდება დაუნდობელ სიკვდილს პირიდგან, თუ არა და ვაი თუ მკითხავთან წასვლამაც ფუჭად ჩაუაროს. ეს აზრი სტანჯავს, უწყლავს და უშმაგავს გულგვამს საწყალს ბებერს. მოვა სახლში, ნახავს თავის შვილს, მიუალერსებს, ნუგეშს მისცემს; შემდეგ გამოვა მეზობლებში, კაბას ითხოვს, ისესხებს ერთ-ორ აბაზ ფულსა. გაიჩალხა მაიამ საქმე. აი ის უზის თავით თავის შვილს; იხდის კაბას და წამოხურამს შვილს თავზე, რომ ეგებ ცივმა ოფლმა გადასჭრას; ზის უკუნა ბნელაში, დათვის სოროსავით ჩაღრუტნულ სახლში, ჭყარაულობს ავად-მყოფს. საწყალი დაღალულ-დაქანცულია; ახლა დილით კიდევ სატების მოურავთან წავიდეს; გულით და სულით უნდა ძილი; მაგრამ არ ეძინება. გაუტყდა ღამე და იყო ერთ საშინელ სულის აღელვებაში.

მაიას ღამე არსად გასტყდომია არც შიმშილის, არც სიხარულისაგან. ისე დაეძინება რომ თუნდა ზარბაზანიც გასცალოთ მის ყურის ძირში, ფეხს არ გაიქნევს, მაგრამ ესლა კი მწუხარებით მოთუთქულია—მარჩენელი შვილი უკვდება. მკითხავმაც ვერ გაუქარვა დარდები, ვერ დასძლია დედობრივ სიყვარულს; ამ შვილზე ფიქრმა ათასი სხვა ფიქრი გამოიწვია. გამოეკიდა ამათ საცოდავი დედა მაია და ღამე გაეფთხო. ის ფიქრობდა, რომ წრევანდელს წელიწადს მოსავალი არ მოვიდა, ასე რომ სათესლეც არ მოსდისთ, მაგრამ იმისი შვილები ბელი — ფესში გამოძვრებოდენ, სადაც იქნებოდა იშოვნიდენ თესლს და დასთესდენ წრევანდელ ანიულებს; იქნება, შემდეგმა წელმა მაინც მოგვიტანოს მოსავალიო; თავად წრეულ მამიცდა — ფიქრობდა ის — ჩემი სოლომანას დაქორწილება ამ მოუსავლობის გამო; ან იქნება, კიდეც დაექორწილებინა, რომ

ეს ბიჭი ასე არ გასდომიყო. როდის იქნება ერთი დედა-მთილი გასდეს, ფიქრობდა მაია; თავის სოლომანასთან მუდამ ამისი ლაპარაკი ის იყო რომ იმას ცოლი შეერთო.

— ოღონდაც, შეირთე, შვილო, ცოლი და თუნდ კლდის ჯოჯო იყოს, შენი ცოლი ხომ იქნება; ჯანი გავარდეს, მხარში ხომ ამომიდგება ღონე მიხწნეულ დედა-კაცს, ეტყოდა ხოლმე შვილს. მაგრამ ეხლა რას ხედავს? ხვნა-თესვის მომდევარი შვილი ხელიდამ ეცლება; ამის დამარხვაზე ვალი დაედება; ვალს ვალი მიემატება და იმის ერთს შვილის კუდამდის ტყავი გასძვრება. წარმოუდგება თვალ-წინ, ვითომ შვილი მოუკვდა, ვითომ კიდეც მარხავს; მაიას სიმწარით ტანში აჟრჟოლებს და ამ ფიქრებში უცბად წამოიწუწუნებს: ვაი ჩემი ბრალი! სიყრმით, დაბადებიდგანვე, კი ვერა გავიხარე-რა და; ჩემი დღენი, მე უბედური დღისამა, წვა დ დაგვაში გავატარე. რა ვარსკვლავზე ვარ დაბადებული?!“ ამ წამოთქმამ თითქოს გული მოჰფხანა, მოეშვა დარდები; მოიცემს მკითხავთან წასვლის მოგონებით ნუგეშს და თავს გაიმხნევებს.

გათენებას მაია ისე მოელის, როგორც მტაცებელი ნადირი დაღამებას.

## VII

გათენდა. მზემ თვისი ვერცხლებრივი ბრწყინვალე შუქები მოჰფინა მთა-ღრეებს; მინდვრებში ისმის ყრიამული, ფრინველთ ყღივილი. აქ ქოჩორა ტორია ამოფრინდება თავის ბუდიდამ და შვილდ-ისარივით გასწევს მაღლა; უხარიან მალხაზ ტორიას, დაჰფრინავს და ჭაერში ჭიკჭიკით ალხენს საწყალ მუ-

შავის გულს. იქ მწყერი, ეს «პურის მტერი», მიგოგამს ჭყუ-ჭყუკით, უძახის, იგრეფავს ახლო თავის გადასხლეტილ ჩოჩ-რებს. იმის შიშინი ქვე-მძრომთა, მწერთა. ყველას უხარიან; ყველა სიხარულით ეგებება დღის მობრუნებას, სიხარულით ეგებება ჩვენი ბედ-კრული მუშაც. საღამოთი რომ შინ მოვა სამუშაოდგან, ჰფიქრობს: „ერთი ჩქარა გათენდეს, რო ბოლო მოუღოს რაღაც ცოდვის ლუღი სამუშაო დარჩა.“ ბევრი არც კი იცდის გათენებას, რიყრაყზე ადგება, ახსენებს თავის გამ-ჩენელს და შეუდგება გულის წადილით თავის საქმეს.

აგერ, გაურჩევია წელში ნამგალი და ჩქარის ნაბიჯით მო-ემურება თავთავ-ავსებულ პურისკენ; აქ სხვა მიდის, იქ სხვა. ახსენებს ღმერთს, დაუწყებს მკას; წამკის პატარას და შედგე-ბა, გასედ-გამოხედავს მობიბინე ყანას, გადაზომავს თვალით. ეტყობა მძიმე პურია და მალე უღასხავს ისეც ბევრი შრომი-საგან დადუნებულს მაჯას. სულით და გულით ხარობს რომ იმის ნათესს, თუმცა გვალვისაგან ვერ არის რიგიანად აღმო-ცენებული, სრული მარცვალი მაინც გამოუტანია.

„ღმერთმანი, ფიქრობს ისა, რად არის ეს ასე, რომ ყვე-ლას მე ვაძლევ და მე კი არავინ რას მაძლევსო.“ ეს ფიქრი უშხამავს გულ-მუცელს, წელსა სწყვეტს, მაგრამ მაინც კიდევ ვერ ართმევს მუშაობის ხალისს.

აიმართა მზე და მისი შუქი გაცხარდა, გამწვავდა. ფრინ-ველთ შესწყვიტეს ხმა, მაგრამ მუშას კი ვერ აშინებს. ის არ უტყდება მზის მწვავ შუქებს; ან რას დააკლებენ? მისი კი-სერი, მთელი პირის-სახე, ხელ-ფეხი იმ სისქედ არიან მზის-გან დამწვარნი, რომ სიცხე ვეღარ ატანს; ის უფრო-და-უფ-რო უმატებს ჭოპუნას. მოჩანს აქა-იქ მგზავრი და სტკბება ამ მუშურის სმენით. მოისმის სხვა-და-სხვა ნაირ ხმაზე ჭრიჭი-

ნი ურმებისა. აგერ გამოჩნდა ერეკლეს კარეტა. ეს არის მაიას და დარეჯანას ურემი. წინა კოფოზე ზის პატარა ბიჭი ჩოხით, გულზე ჭრელი ხელ-სახოცი აფარია პერანგის მაგივრად, და მიელალება ხარებს. მაიას ნათხოვარი კაბა პატიოსნურად ჩაუცვამს; ჭირისუფალსავით გულ-ხელი დაუკრებნია და ჩაუქინდრია თავი. ხან დაიღვრიმება: «ვაი თუ რომ დავბრუნდე ჩემი შვილი გადაცვლილი დამხვდეს; ე მარცხენა თვალის თამაშობა ხეირს არას მიქადის.» ხან მხიარულს სახეს მიიღებს: იქნება, ღმერთმა ბძანოს და მკითხავმა გაიგოს მიზეზი იმის შვილის ავად-მყოფობისა. წარმოიდგენს, რომ მკითხავმა უთხრა: შენი შვილი მორჩება, ნუ გეშინიან, აქა და აქ ალოცე, სატის ნაბანი დაალევინე და გასაღდება. გაერთობა ამისთანა ფიქრებში; უცბად ამ ფიქრებისგან ნუგეშ-ცემული თვალებს გააჭყეტს; ჰგონია ჩემი შვილი განიკურნა და წინ მიდგაო, დარეჯანაც არ ჩამოურჩება უკან თავის თანა-მომგზავრეს მწუხარებაში. ესეც იმასავით მწუხარების შვილია; ესეც წუთის სოფლისაგან მიწასთან გასწორებულია.

ერეკება დარეჯანას პაწია პავლე რაც შეუძლიან ხარებს, მაგრამ ისინი თავის ჩვეულებრივ დინჯ ნაბიჯს არ უმატებენ; დაიბრიყვეს პაწია პავლე! უღონდებათ გული, ასხამთ ჭირის ოფლს მგზავრებს, რომ მალე მივიდნენ იმ გაგლეჯილ მკითხავთან. პავლე გადააგდებს, თავის უხერხულობით, ურემს გაუვალს ლაფში. გაწყრა ღმერთი, ურემი შიგ ჩარჩა. უჯაჯგურებს პავლე ხარებს სახრეს, მაგრამ ბაიბური არა აქვთ, ყურებსაც არ ინძრევენ. გააჩენენ ბებრები ღვთის ვედრებას, ტირილს და ერთი ვაი უშველებელს.

— ოოი, შე კურთხეულო ღმერთო! თუ დანაშაული გვაქვს

რამე, იჩინე შენი სახელი, გამოგვიცხადე, გულ გამწარებული ამბობს მაია.

— რა ვიცი, რა ვქნა? ცუდი აზრი გულში არ გამივლია და რა წყალსა და ღვარს მივეცე.

— არც მე, ხო იცის ი გულთა-მხილავმა ღმერთმა. ნეტა ან მგზავრი სჩანდეს სადმე; ე რაღა ჩვენი უბედურებაა... ქა, აიმ სიმინდში ვიღაც მოჩანს, მგონი. თვალიც აღარ მიჭრის. ბიჭო, პავლე, აბა შესედე!

პავლე ადგება კოფოზე, და გაარჩევს, რომ სიმინდში კაცია და რწყავს. დაუძახებენ, მოეშველება; ამოათრევენ ლაფში ჩაფლულ ურემს. ამას დაეკითხებიან, თუ საით წავა გზა მკითხავის სოფლისა.

— აი, დედი, ეგრე პირ-და-პირ გაიარეთ, ე სოფელი რო მოჩანს, ეგ არი.

— ოოი, შე მოგცეს ზეციერმა მამამ კარგი და კეთილი, შვილო, ამ პატივის-ცემისათვის. პავლე გააჭრიალებს ურემს; ბებრები პირ-ჯვრის წერით გასწევენ.

## VIII

რამდენიც უახლოვდებოდენ ჩვენი ბებრები მკითხავის სოფელს, იმდენი მთქნარებას, ზმორებას მოუმატეს; გაუძნელდათ სულის მობრუნება, სუნთქვა; ეკალი აასხდათ ტანზე მოუთმენლობის გამო.

დადგა ურემი. მკითხავმა გაიგო; წამოწვება მუთაქაზე, კითომ სძინავს და საშინელ ხილვებშია. მკითხავის სახლიდგან გამოვა ვიღაც და ეტყვის:

— დედი, ვინ გინდათ?

— ჩვენა, შვილო, მკითხავი გვინდა; მოგვასწავლეს აქა დგასო.

— ჰო, აქა სდგას. შევალ, მგონი ეხლა წასთვლიმა, გავაღვიძებ. შევა, შეატყობინებს. მკითხავი მრისხანე, ბრძანების სახეს მიიღებს. შემოიწვევენ ბებრებს, რომელნიც მოკრძალებით ექცევიან მკითხავს.

— რად გასჯილხართ? ეტყვის ეშმაკი მკითხავი.

— ჩვენმა გაჭირვებამ გაგვაბედვინა წამოსვლა.

— საიდგანა ხართ? რა დაგმართვიათ რო ავად გაგხდომიათ ისა... გაუფთხილდებოდით, თქვენ ხატებს ნუ აწყენინებდით...

— იშ, შენ კი მოგეცა დღე-გრძელობა! როგორ გავფთხილდით, ან საიდგან ვაწყენინებდით. ელიის ხატი კი ახლოა. თუ იმას ვაწყენინეთ, იმისი არ ვიცი. სხვები კი—წმინდა გიორგი ზედა-ჯვრისა და ყუბოსა ღვთის-შობლისა—მოშორებით არიან; წამოროტა საბრალო მაიამ. მკითხავმა თავის ქნევა დაიწყო, ჩაიღიმა; კმაყოფილების ნიშნად თვალები აახამხამა და ტუჩები შეკუმშა; გამოჰკითხა მაცდურმა მკითხავმა დაწვრილებით უბედურ ბებრებს ყოველისფერი, რაც კი საჭირო იყო იმისთვის.

— მაშ გიკითხოთ რაღა; იმისთვის მოსულხართ?

— დიაღ!... გენაცვალე, ყველა კარგა გვიკითხე.

— წმინდა სანთელი მამეცით; თქვენ ჩაასახელეთ. მაია და დარეჯანა ტუჩებთან მიიტანენ სანთელს; მოჰყვებიან ტუტუნს, ტუჩების ცმაცუნს. მკითხავი აანთებს მუგუზალზე სანთელს; დაიჭერს ხელში და ჩააკვირდება; კუდიანურად, თხასავით აც-

მაცურებს ტუჩებს; მოჰყვება თავის ქნევას. ბოლოს გარის-ხდება.

— ოოო! და-და-დაა! რა ცოდვილები ყოფილხართ?... ჩემი ბატონი, მღვთის დედა, მიჯავრდება, რად მოუშვი ცოდვილებიო?

აქ მკითხავი დაეცემა, შემოიყრის გულს; ხელებს და ფეხებს ახეთქებს დედა-მიწაზე, განკალებს, ოხრავს. შემდეგ წამოჯდება, დაიწყობს ბუტბუტს ჩქარა, ჩქარა; პირის-სახეს იპოტნის. ბოლოს დაშოშმინდება; მოჰყვება ლაპარაკს ნელ-ნელა, გულ-დახმობით, მოფიქრებით; თან ბებრებს ადევნებს თვალსა, პირის-სახეზე კითხულობს იმათ სულის მდგომა-რეობას. ალბად იცის იმანაც რომ პირის-სახე არის სარკე სუ-ლისა და სულის სხვა-და-სხვა ცვლილებანი პირის-სახეზედ აღიბეჭდებიან. ჩვენმა ბებრებმა დაალეს პირები, მომაკვდავები-ვით დაიკრიფეს გულ-ხელი; მწუხარე და თან განცვიფრების სახე მიიღეს: მაიამ თავი გვერდზე მოიქცია და ისრე გულ-მოდგინედ მიაჩერდა, თითქო დამატკბობელ საუბარს უგდებს ყურსაო. დარეჯანა ზეზე დარჩა, მიებჯინა დედა-ბოძს; თვა-ლები დააჭყიტა, თითქო ყელში თოკი წაუჭერიათო. სულის განწირვით ელოდენ: აი ეხლა და აი ეხლა წამოსთქვამს მკით-ხავი ჩვენს სასჯელსაო.

სადაც კი მღვთის-მშობლის ხატები იყო, მკითხავმა ახსე-ნა იმათი სახელები, ზედ დააყოლა წმინდა გიორგები; მიუბ-რუნდა მაიას, შეხედა და შეაჩერდა.

— ოჰოი! შენ შვილს ზედა-ჯვრის წმინდა გიორგისთვის რაღაც უწყენინებია... ღამე ყოფილა...

მაია წაჰკრავს დარეჯანას ხელს, კითომ საიდგან შეიტ-ყოვო.

— კაი თუ ღამის ხარში რო იყო ან გვერდზე გაუარა და

პირ-ჯვარი არ დაიწერა, ან ცუდი გაივლო რამე გულში... სა-სელიც რო სთქვა, ქალო?!

— ნუ ტუტუნებთ?..... ძიელ გარისხებულია. ზედაშესა გთხოვს; სანთელში გორვით ქვევრი ამოდის. თქვენ საზედა-შე გქონიათ; მართალია, თუ არა? შეუტევს მაიას.

— ჰო, საწყალი ჩემი უბედური ქმრისაგან ბევრჯელ გამი-გონია რო ზედა-ჯვრის ზედაშე გვაქვსო და შიგ კი არა გვყენებია-რა.

— აბა იმას უქნია კიდეცა. გერისთვის ხატი გეხმარებათ; იმის გამოისობით ზედა-ჯვარი აქნამდის არას გიშვრებოდათ და აი ეხლა ერთად გიკრიფავთ მიზეზები. ელიაც ცხვარსა გთხოვს... ღამე არ გთევნიათ... მისვალ თუ არა ფეხზე დაგ-ხვდება.

— ოღონდ კი მაგითი ელხინოს რამე, თორემ ზედაშესაც ჩავაყენებ და ცხვარსაც ვიყიდი.

— ულუმბის მღვთის-მშობელი, მოუბრუნდება დარეჯანას, თეთრებსა გთხოვს. გერისთვის წმინდა გიორგიც გარისხებუ-ლა. ზერად შეაყენე შენი სიძე, ხატს იამება—ეს არის მორ-ჩილების ნიშანი. დღეობას იმის კარს-წინ გადირთვას თმა, სხვა არა უშავს-რა. მისვალ თუ არა კაცი შინ დაგხვდება, რომ მორჩაო. აი გზა ამოდის და სახრიანი კაცი მოდის.

მკითხავები საწყალ გლეხის ავად-მყოფობას უფრო იმის-თანა ხატებს აბრალებენ, რომლებთანაც ბევრი ხალხი დაიარე-ბა. ეს ხატები ხალხს ძლიერ მიაჩნია; ასე ჰგონიათ, დავიღუ-პებით, თუ დღეობას არ წავედითო. ამითი მკითხავები სარ-გებლობენ და საწყალ გლეხს ორ-ნაირადა სძვრება ტყავი.

მისცეს ხატების მოურავს სამკითხავო ფული და ჩვენი

ორივ ბებერი სიხარულით წამოვიდნენ: ეს არის ვიპოვეთ უებარი წამალი, რომელიც განკურნავს ჩვენ ავად-მყოფებსაო.

## IX

სანდალა დარჩა მარტოდ-მარტო გამომწყვდეული ოთხკედელ-შუა. ამის ძმამ დილა ადრიან, გაისტუმრა თუ არა დედა, ადგა, გამოისხვია ორი პური კალთაში, გაირჭო წელში ნამგალი და გასწია ყანის სამკალად. სანდალას ნუგეშის-მცემელი და ყურის მგდებელი ღვთისგან განაჩენი არავინ იყო. უკანასკნელი ღონით ებრძვის სიკვდილს, რომელიც თანდათან უახლოვდება. გარეტებულია სიცხისაგან, თავს ველარ იმაგრებს, მიდის ბურანში და აი უკანასკნელად ხედავს გუთნის ამბებს; ღამის მეხრეობის ცხოვრებას ერთი კიდევ ავლებს თვალსა, ჰხტის, წუწკუნებს, ბოდავს.

— ეი, ეი! ხოსიავ, ხოსიავ! მოუარე, ე ოხერი ხარი სიმინდში არ შევიდეს. უჰ, რამოდენა ტარო მოგლიჯა მა ძაღლმა... ჰე, შე მასაზ ძაღლო, შენა! მოგხვდა!?

ჩაჩუმდება პატარა ხანს, ხრიალებს. ბოლოს წამოიწევს, ამოიყრის მკლავებს; ფათურობს.

— ხოსია, ხოსია! მგელმა წამოურბინა, მგელმა!... ეეი! ე დალოცვილი, ბიჭო ხოსია, რა უდლადია ე შენი კამეჩი და! სწორეთ გემია, გემი!! შეხე, შეხე ი კვალში რა ნაირ მიანგრევს... თფუე, ოჰო, სად მივა ე, დასწყევლოს ღმერთმა!...

ბოდავს, შფოთავს სანდალა, ებრძვის სიკვდილს. ელანდება სულ გუთნის ამბები; ღამის მეხრეობის ვაი-ვაგლახი. ბო-

ლოს მოჰყვება ღიღინს ოროელას კილოზე; რამდენჯერმე დაიწყობს და გასწყვეტს; ურთავს შიგ ხვნეშას და ვაი-ვაის ძახილს, აი სანდალა ჩავარდა ღრმა ბურანში; ის ხედავს ცხად-ლივ, ვითომ ზის გუთნის-დედის ყორანა კამბეჩზე და საში-ნელ უკუნა ბნელაში მიუდის ჭალა-ჭალა გუთნეული; უცბად ჩა-ვარდა ყორანა უზარ-მაზარ ხაროში. აქედ ეცა სანდალა, იქით ეცა, გასავალი არ არის. კამბეჩმა ფრთები შეისხა და ზევით ამოვარდა, სანდალა მოეკიდა კუდზე, მაგრამ მეგობარი-ყორა-ნა, დახე ბედსა, მტრად გადაექცა, ამოჰკრა რქა და შიგვე ჩა-აგდო. აქ სანდალამ დაიყვირა საზარლად და ქასქასით გამო-ეღვიძა. მიიხედ-მოიხედავს, სახლში არავინ არის. უკანასკნე-ლად მოსდის ბრაზები თავის სილაჩრეზე, აჭრიალებს კბი-ლებს, ხელებს ისრესს. პირველად და უკანასკნელად სცადა თა-ვისი ღონე: წამოიწია, მაგრამ ისევ ლოგინზე დაეცა და შექ-მნა მწარე ოხვრა. თავის-თავის იმედი ჰქონდა, მაგრამ ამ და-საქცევმაც უმუხანათა. იქნებოდა შუა-დღე; ღჴმის მესრეს ეწ-ვია დაუპატიჟებელი სტუმარი — სიკვდილი და გამოასალმა სან-დალა სოფელს. სანდალამ უკანასკნელ წუთებში ესღა წამოი-ლუღლუღა:

— ვაიმე, ძმაო, დედა! ერთი ალ....ო ვე...ღარ, და ჩაბარ-და სიკვდილს.

სოფრ. მგალობლიშვილი.

1880 წ.

# თეატრი.

## I

„პარიჟელი ბიჭი", დრამა ორს მოქმედებად. (საფაროვის ქალის ბენეფისი 7 იანვარს).

ჩვენში კრიტიკა ეჯავრებათ, როგორც ჭირი. უმთავრეს საბუთათ კრიტიკის წინააღმდეგ მოჰყავთ შემდეგი გარემოება:

„ჩვენში ყოველივე კეთილი საქმე ახლად იწყობა; თეატრი, ჟურნალ-გაზეთობა, სხვა-და-სხვა ქველ-მოქმედი საზოგადოება მხოლოდ ეხლა იდგამს ფეხსა და ამათ ისეთის სასტიკის თვალით არ უნდა ვუყუროთ, როგორც სჩადიან სხვა ქვეყნებში, სადაც ყოველი ამ გვარი საგანი დიდი ხანია ხეირობს და მკვიდრი საძირკველიცა აქვს; ყმაწვილს ის არ მოეთხოვება, რაც წვერ-ულვაშიანს კაცს; ყმაწვილს უნდა ასწავლო და მოზრდილი კი გაჰკიცხო." აი ეს სიტყვები გვესმის ხოლმე ყოველთვის, როდესაც კი რომელსამე საზოგადო საქმეზე ვინმე სჯას გაბედავს. ამიტომაც ვიდრე ჩემს აზრს გამოვსთქვავდე შესახებ «პარიჟელ ბიჭის» ქართულად წარმოდგენისა, ჯერ ვიტყვი რომ ამ პიესას რუსეთში ან სხვაგან ევროპაში ბევრს ყურადღებას არ მივაქცევდი და თუ მაინცა და მაინც მათქმევინებდენ ჩემს აზრს, დავარწმუნებდი, რომ ეს პიესა ბევრით არაფრით არის შესანიშნავი; ამის ტენდენციისა

და ამაზედ უფრო ნიჭიერად დაწერილი პიესა ბევრი სხვაც მოიპოვება, მაგრამ, როცა ვლაპარაკობ ქართულ წარმოდგენაზე, მახსოვს მკითხველის სიტყვა: „ჩვენი საზოგადო საქმე ჯერ ნორჩია“, დ ვამბობ, «პარიჟელი ბიჭი» დიდი საუნჯეა ჩვენის სცენისათვის; ამ გვარი პიესა ჩვენ ცოტა გვაქვს. «პარიჟელი ბიჭი» ერთი იმ თხზულებათაგანია, რომელიც ჩვენს თეატრს აძლევს აზრს და სულს უდგავს.

სხვაგან თეატრი დიდი ძვირფასი რამ არ არის, რადგან აქვთ იქ კლუბები, მრავალი თავისუფალი გაზეთი და ჟურნალი, მრავალი თავისუფალი საზოგადო წესდება, იქ თეატრში აზრს ისე არ ეძებენ, როგორც ესტეტიკურს სიამოვნებას, მაგრამ ჩვენში კი... ჩვენს ბნელ ქვეყანაში მხოლოდ თეატრში შეუძლიან საზოგადოებას თავი მოიყაროს და თავის გულის პასუხი გაიგოს სცენიდამ, ან პუბლიკაში. «პეპო» პარიჟის სცენაზე იქნებოდა ყადამის-ყამის მელოდრამა, მაგრამ ჩვენში ის პირველი პიესაა, რადგან ჩვენ სხვებსავით მარტო ესტეტიკურის გრძნობის დასატკბობად არ მივდივართ თეატრში. ჩვენ მივდივართ იქ სხვათა შორის საზოგადოების სანახავად და გვინდა გავიგონოთ ცოცხალი სიტყვა, რომელსაც შეეძლოს ჭკუაც ასაზრდოოს და გულიც...

პარიჟელის ბიჭის დას ატყუებს ერთი ცრუპენტელა არისტოკრატი: მიყვარხარ და ცოლად შეგირთავო. პარიჟელი ბიჭი გაიგებს ამას და მიდის თავის დის გამაუპატიურებელის მამასთან—ბებერ ღენერალთან. ღენერალს ის ხან ტკბილად და ხან მუქარით აგრძნობინებს შვილის უპატიოსნებას. ბებერი ღენერალი კეთილ-შობილი კაცია, ეზიზღება თავის შვილის უსინიდისობა და პიესა თავდება იმით, რომ პარიჟელ ბიჭის დას ირთავს მამისაგან ნამუსში მოუკანილი ვაჟი. პიესა დაწე-

რილია სცენის მცოდნე კაცისაგან, ამასთანავე სხვა-და-სხვა სასცენო შუშხუნები არ აკლია, მაგრამ ყველაზე მეტად მოეწონა ის მაყურებლებს იმიტომ, რომ ბევრი გრძნობიერი სიტყვა გაიგო ღარიბების უბედურებაზე და მდიდრების უგულობაზე. ამ გარემოებამ, როგორც წარმოდგენის დროს, ისე შემდეგაც გამოიწვია პუბლიკაში ბევრი ბაასი; უაზრო სიცილი და ლაზღანდარობა აღარსად ისმოდა, გაიღვიძა ჩვენში იმ კეთილმა გრძნობამ, რომელიც გვამოქმედებს საზოგადო სიკეთისათვის, გაიღვიძა და აგვალაპარაკა: ყველა სცდილობდა ამ პიესის გათავების შემდეგ თავისი აზრი წარმოეთქვა...

რაც შეეხებოდა მოთამაშეებს, როლების უცოდინარობა ჩვეულებრივზე ნაკლებ ეტყობოდათ. ამას გარდა ძლივს იმაგრებდენ თავს, რომ ვოდევილობა არ გაერევოდათ თამაშობაში; ჩანს მეტად შეჩვეულნი არიან უმნიშვნელო, სახუმარო პიესების წარმოდგენას.

## II

«ადვოკატები», კომედია სამს მოქმედებად თ. რაფიელ ერისთვისა. (ფ. მაჩაბლის ბენეფისი.)

თ. რაფ. ერისთავი ერთი იმ მწერალთაგანია, რომელთაც ჯერ კრიტიკა არ მიჰკარებია. ეს უსამართლობაა, რადგან თ. რაფ. ერისთავი დიდი ხანია სწერს, ბევრსა სწერს და რასაცა სწერს, წაუკითხავი არა რჩება. ამ უსამართლობის შემცირება გვსურს ჩვენ იმის „ადვოკატების“ განხილვით.

ჯერ ორიოდ სიტყვით გამოვხატავთ პოეტის უმთავრესს

ღირსებას და ნაკლულევანებას, და მერმე ჩვენის საგნის გარჩევასაც შევუდგებით.

ქართული ენა ეხლანდელს მწერლობაში ისე მდიდრად არსად არა სჩანს, როგორც რაფ. ერისთავის ნაწერებში; აქ ენას ნაკლებად ეტყობა დანათესავება რუსულს და სხვა უცხო ქვეყნურს ენასთან; აქ ენას ქართული ხასიათი აქვს და ამავ ხასიათს აძლევს თვით უცხო-ქვეყნურს თხზულებასაც. ეს ფრიად დიდი ღირსებაა ეხლა ჩვენში, როდესაც სხვა მწერლის ნაწარმოებში არამც თუ ნათარგმნს, ორიგინალურს თხზულებასაც კი მცირედ ეტყობა ქართულობა. თ. რაფ. ერისთავმა რომ ისურვოს ქართულ ლექსიკონის დაწერა, ყველას ჩუბინოვს დაგვავიწყებს. ეს არის უმთავრესი ღირსება ჩვენი პატივ-ცემულ პოეტისა.

ახლა მოვიგონოთ იმის ნაკლულევანებანიც. ენის სიმდიდრე ხშირად აზრის მოკლედ გამოთქმას უშლის და ბევრის ერთ-მნიშვნელოვან სიტყვების შეჯგუფება ისე გაიტაცებს ხოლმე, რომ აზრს ივიწყებს და მხოლოდ სიტყვებს ატანს ძალას: გრძელი, გაბერილი წინადადება წყალმანკითა ხდება ავად. გაიხსენეთ მაგალითად კრილოვის ზღაპრების თარგმანი. კრილოვის ერთი სტრიქონი თ. რაფ. ერისთავს ორის სტრიქონითა აქვს გადმოთარგმნილი (ორგანვე კი სტრიქონები თითქმის თანასწორნი არიან სიგრძით). „მგელს და მელას“ კრილოვისას 21 სტრიქონი უჭირავს, ქართულად კი—40 სტრიქონი. „ყვავი და მელა“ რუსულად 26 სტრიქონით არის დაწერილი, ქართულად—55-ით; რუსულს «მგელსა და კრავში» 37 სტრიქონია, ქართულში კი 62 და სხვ. ამაზე მეტად თავს არ მოვაბეზრებ მკითხველებს არითმეტიკულ ანგარიშებით.

მეორე ცოდვა თ. რაფ. ერისთვისა ის არის, რომ სა-

თარგმნელად ხშირად ირჩევს ყოვლად უმნიშვნელო თხზულებებს. «ბიძიასთან გამოსუმრება», «ჯერ დაიხოცნენ, მერე დაქორწილდნენ», «იჭვიანი» სწორედ სასცენო პიესებია და ხშირად ასიამოვნებენ ქართულ თეატრის მოყვარეებს, მაგრამ ისიც უნდა ვთქვათ რომ ამ გვარ ნაწერებს ისეთივე მნიშვნელობა აქვთ რეპერტუარში, როგორც სადილზე ბურბუშელას და შაქრის-პურს.

უმთავრესი ცოდვა კი თ. რაფ. ერისთვისა ის არის, რომ სცენების წერას არ დასჯერდა და იმისთანა კომედიის შეთხზვა ისურვა, რომელშიაც ან სხვა-და-სხვა ხასიათი იყოს გამოხატული, ან რომელიმე აზრი იყოს თავიდამ ბოლომდე გაყვანილი. თ. რ. ერისთვის სცენები კი ნამდვილი ფოტოგრაფიაა. ავტორს ეტყობა რომ ის ბევრგან ყოფილა, ბევრი უნახავს და კარგადაც უნახავს და მეტადრე საგნების გარეგანს შეხედულობას დაჰკვირვებია. ამ მხრით რაფ. ერისთავს ისეთივე მნიშვნელობა აქვს ქართულს მწერლობაში, როგორც გამოცდილ ფოტოგრაფს მხატვრობის ხელოვნებაში. მაგრამ, როგორც როინაშვილი რაფაელათ ვერ გახდება, ისე თ. რაფ. ერისთავი ვერ ჩაითვლება ორგინალურ დრამატურგთა რიცხვში.

ამ საგანს უფრო დაწვრილებით გავარჩევთ აქ, რადგან იმედია, ჩვენი პოეტი ჯერ კიდევ ბევრის სარგებლობის მოტანას შეიძლებს ქართულ თეატრისათვის, თუ თავის ნიჭის შესაფერ გზას დაადგება.

„ადვოკატების“ აზრი ყოვლად თანაგრძნობის ღირსია: დიდი ხანია საჭიროა ამ ბატონების მასხარად აგდება, მაგრამ იმათ მაგიერ რომ ჭკუიდამ შეშლილები დავხატოთ და ქვეშ მოვაწეროთ: ეს გიჟები კი არა ადვოკატები არიანო, მაშინ მომქმედი პირების მაგიერ თვით აქტიორი იქნება სასაცილო.

სწორედ ეს დაემართა ხ. რაფ. ერისთავს. ავიღოთ მაგალითად პირველი მოქმედება.

პირველ სცენაში ერთი საშინელი აყალ-მაყალია, ორი ამხანაგი ადვოკატები ჩხუბობენ: «ადექი, მაგდენი ძილი არ იქნებაო“ და გაცხარებით ერთმანერთს აყვედრიან: შენ ადრე მეჩექმე იყავ, შენ კი დერციკიო. უეჭველია, გაიკვირვებთ ამ უმნიშვნელო ლაყბობას და იფიქრებთ: ან უდროო ძილს რა მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს ადვოკატების ხასიათის ახსნაში, ან ერთმანერთს დერციკობას და მეჩექმობას რად აყვედრიანო, როდესაც ორივეს ერთგვარად უნდა რცხვენოდეთ თავიანთ ადრინდელ ხელობის მოგონებისაო. მაგრამ გამოცანას ადვილად მიხვდებით, თუ არ დაგავიწყდებათ, რომ რაფ. ერისთავს სურდა პუბლიკისათვის შეეტყობინებინა: «ჩემი ადვოკატები ადრე ხელოსნები იყვნენო.»

მეორე სცენაში ადვოკატ მილოვთან მოდის იმის ნათლი-მამა პავლე ქარქვეტა-შვილი, რომელიც თავის შვილების ნათლიას ვერ იცნობს. იქნება, თქვენა გგონიათ, რომ მილოვს ხელოსანს, ადვოკატად გადაკეთებულს, გაეხარდა ნათლი-მამის შეცდომა? სრულებითაც არა, მილოვი თავის ახალს კლიენტს ეუბნება: მე თქვენი ნაცნობი საპონაშვილი გახლავართ, დერციკობას თავი დავანებე და ადვოკატობა დავიწყე, გვარიც გამოვიცვალეო; მართალია, ბევრი არავიცი-რა, მაგრამ ერთი სამსახურიდამ დათხოვნილი ჩინოვნიკი მყავს, იმას ვათრობ და ვაწერინებ არზებსაო.»

მესამე სცენაში მილოვს ეწვევა მდიდარი მებატონე სულხან ამაყამე, რომლის ქალი, თამარ, ძლიერ მოსწონს იმას და შერთვაც უდევს გულში. ამ ძვირფასს სტუმარსაც მილოვი

უცხადებს: «ჩემი ნამდვილი გვარი საპონაშვილია და ქვეყანას ვატყუილებ, რუსი მილოვი გასლავართო.»

იქნება იფიქროთ, რომ ეს თავისთავის გაცემა შეეფერება ჭკუიდამ შეშლილს და არა გაიძვერა ადვოკატს, მაგრამ თქვენ გავიწყდებათ, რომ ეს სცენები შეთხზა ავტორმა მილოვისაგან გვარის გამოცვლისა და სხვა თვალთმაქცობის შესატყობინებლად.

მაგრამ მარტო მილოვი არ არის გიჟი, იმის სტუმრებიც სულ წყალ-წაღებულები არიან. სულხან ამაყაძე დიდ-ხანს ელაპარაკება თავის ადვოკატს და ერთს სიტყვასაც არ ეუბნება, იმის ცოლის ბიძა, „სარიდონ ბრუნდაძე რად გადასჯდომია ზედ იმის მამულს და აღარ ანებებს.» ან იქნება სარიდონ ბრუნდაძეც ჭკუიდამ შეშლილა და ხმა ამოუღებლივ თავის ნათესავის მამულს იჩემებს? მილოვის რუს ჩინოვნიკსაც თავის ტვინი მწურებისათვის შეუჭმევია: რუსული დავიწყებია და გრანიცას მაგიერ «გვარინიცს» ამბობს. არც მაჭანკალია სრულს ჭკუაზე; ის ადვოკატის წინ აქებს ყველაზედ მეტად მზითევს კი არა, ქალის სილამაზეს, და ამასთანავე ახარებს: შენი საცოლო ყასბის ქალია და არსად განათლება არ მიუღიაო. ჩვენ ნამდვილად არ ვიცით, იქნება მაჭანკლისაგან ამორჩეული ქალი მართლა ყასბის ქალი იყოს, მაგრამ აბა ეს რა საჩქარო გამოსაცხადებელი იყო, ამას ხომ საქმროს ქალის მტერი მიახარებს, და არა მაჭანკალი!

მეორე მაჭანკალი არუთინ კოტროვიანცი უფრო შეშლილია ჭკუაზე. ეს სულხანის წინ აქებს იმის ქალის საქმროს და ქვეხულობს:

«ჩემი ამორჩეული ვაჟი თავქარიანი თბილისის საბრანიეში ჩლენია, კრუჟოკის ობჩესტვოში—ჩლენია, აგლიცკი კლუბში—ჩლენია, ნე-

მეცკი კლუბში—ჩლენია და კიდევ, რემესლენი კლუბში—ჩლენია... სირაჯების ამქარშიც კი ჩლენია თუ არა, მე და ჩემმა სულმა, კარგად არ ვიცი... ჯამაგირები კი არა, დანივრული ხაშლამა ექნება!... პირ-იქით-თითონ აძლევს ფულებს ობჩისტვოში: ზოგან წელიწადში სამ მანათს, ზოგან ათს, ზოგან—თუთხმეტს და ზოგან—ხუთ თუმანსაც!... გებნები კარგი ვინმეა მეთქი.» (იხ. მე-8 სცენა მეორე მოქმედებისა).

საქმროს შეშლებაზედ კი არც-ერთი მხარე ხმას არ იღებს. ამ გვარად, რასაკვირველია, არ მოიქცევა დ არ დაიწყებს გვეხნას არც-ერთი არუთინა, ვიდრე შეშლილების ექიმის წამლობა არ დასჭირდება.

სულხანის ქალი, თამარიც, უეჭველია, არ უნდა იყოს მრთელი ტვინის პატრონი, როცა მეტად დრამატიულ სცენაში ამბობს რომელიღაც წიგნიდამ ამოკითხულს „მაღალ ფრაზებს:“

«არ წავყვები იმას, ვისაც მითითებენ, რომ ვემონო... მონება და სიყვარული—გარწმუნებთ, თავის დღეში—ამხანაგები არ არიან!... სიბრიყვე, უპატიოსნება და გარყვნილობა ვერ ისადგურებენ განათლებასთან, სინიდისთან და კეთილ-ზნეობასთან!... მე არა მსურს, რომ ვიდედოფლო, მაგრამ არცა მსურს მონებაში ყოფნა; ცოლ-ქმრობაა—კავშირი თანასწორობისა და სიყვარულისა!... (იხ. უკანასკნელი სცენა მეორე მოქმედებისა.)

ამ გვარი სცენები რომ სულ გადავთვალოთ, მთელის კომედიის ხელ-მეორედ დაბეჭდვა მოგვინდება. ყველა ერთმანერთს ეჯიბრება სისულელეში და არ ვიცით, ვის მივცეთ ამ მხრივ უპირატესობა, ადვოკატებს თუ იმათ ნაცნობებს.

ავტორს დაავიწყდა, რომ ეხლა ისეთი უმეცარი და ტეტია ადვოკატები, როგორც მილოვი და იმის ამხანაგია, საშიშნი აღარ არიან და იმათ, თუ პრისტავი არა, მსაჯული და ხალხი მაინც ჩქარა ამოჰკრავს ბალღურს; ისინი ლიტერატურის მხრივ განკიცხვას არ საჭიროებენ. ავტორს რომ გამოჰყვანა

სცენაზედ ცბიერი და განათლებული ადვოკატი, ეს უფრო ეგ-ვანებოდა ჩვენს ნამდვილს ცხოვრებას, თორემ ეხლა იმისი მილოკი უფრო ნაკლებადა ჰგავს ჩვენ დროინდელ ადვოკატს, ვიდრე „ადვოკატი მელაძე“, რამდენიმე საუკუნის წინად გა-მოყვანილი ფრანცუზულს სცენაზედ პატლენი.

ჩვენ „ადვოკატების“ შინაარსს არ ვუამბობთ მკითხველებს, რადგან ეს პიესა დაბეჭდილიც არის და ორჯერაც წარმოად-გინეს სცენაზედ; მაგრამ ვისაც ის წაუკითხავს, ან უნახავს, ყველა დამეთანხმება, რომ იმაში არც ინტრიგაა ცოცხლად დადგენილი და ამის გამო პიესა უფრო ნაწყვეტ-ნაწყვეტ სცე-ნებსა ჰგავს.

თუმცა ამდენი ნაკლულევანება აქვს თ. რაფ. ერისთავის ახალ კომედიას, ჩვენთვის ის მაინც უსარგებლოდ არ უნდა დარჩეს, რადგან მეტად ღარიბები ვართ რეპერტუარით. ამი-ტომაც, ჩვენის აზრით, კარგი იქნებოდა რომ ორიოდ სცენა ამორჩეულიყო იქიდამ და ცალკე წაკითხულიყო დივერტისმენ-ტში, მაგ. არუთინას მოთხრობა სხვა-და-სხვა ობჩესტვოებზე კომედიაში უადგილოა, მაგრამ ცალკე წაკითხული კი ძლიერ მარილიანი რამ გამოვიდოდა.

სხვაგან, მცირეღირსებიან პიესას ალამაზებენ ნიჭიერი და სინიდისიანი მოთამაშეები; ჩვენში ეს ვერ ითქმის, რად-გან ხშირად ნიჭიერად შეთხზულ პიესასაც კი აგონჯებენ ჩვენი აქტიორები. «ადვოკატების» მომქმედი პირები, როგორც ვთქვით კიდეც, მეტად სუსტი პირები ბძანდებიან, მაგრამ ჩვენ სცენაზე კი სულ წყალ-წაღებულ, დასაბმელ გიჟებათ სჩანდენ. ამ მხრივ ყველას გადააჭარბა ჩვენის პუბლიკის საყვარელმა ვ. აბაშიძემ. ეს ვაჭარი მოდის მაჭანკლათ თავად სულხან ამაყა-მესთან, უქებს ერთს ყმაწვილ-კაცს და ამბობს: ის იმ ობჩეს-

ტვოს ჩლენიაო, რომელიც უყურებს, რომ ვირებს არ დაარტყან ჯოხიო." ამას ვ. აბაშიძე — არუთინა, უმატებს თავის მხრივ: „აი, ეხლა ვთქვათ შენ" (ე. ი. თ. სულხან ამაყაძე) ვირი ხარ და ჯოხი დაგარტყეს და სხვ.

ეს, რასაკვირველია, სცენის და პუბლიკის დამცირებაა და ვინც ამას ყურს არ უგდებს, იმას არ ესმის რა განსხვავებაა თეატრისა და ცირკის შუა, აქტიორისა და კლოუნის შუა!

პიესის ასრულებაზე კარგს ვერაფერს ვერ ვიტყვით, იმიტომ რომ მოთამაშეებმა და იმათ შორის თვით მობენეფისემაც როლები ზეპირად არ იცოდენ, და როლის უცოდინარ აქტიორის თამაშობაზე მხოლოდ მაშინ ითქმის რამე, როცა აქტიორს ნიჭის გარდა გამოცდილება დ განათლებაცა აქვს და ხერხიანად ჰფარავს თავის ნაკლულევანებას. როლის უცოდინარობით მეტად შეირცხვინა თავი ამ საღამოს ახალმა აქტრისამ—მხეიძისამ, რომელსაც პუბლიკა მაინც გულ-მოდგინედ ტაშს უკრავდა. საზოგადოდ, ჩვენ თეატრში უსაფუძვლო ტაშის-კვრა ხშირად ისმის და ამ გარემოებას არ შეუძლიან არ გაუფუჭოს გული ნიჭიერს და კეთილ-სინიდისიანს მოთამაშეს, რადგან ჭირვეული „ბრავო" და „ბის" ლამაზ და გრეხია მოთამაშეს უფრო ერგება ხოლმე, ვიდრე ნამდვილს არტისტს. უსაფუძვლო და უადგილო „ბრავო" და „ბის" არის დამნაშავე, რომ ჩვენი მოთამაშეები როლების გაზეპირებას და პიესის შესწავლას თავს ანებებენ და მელიკუდებათ ხდებიან. ესევე უგვანობა არის დამნაშავე, რომ ქართულ თეატრში ვეღარ უვლია ნამდვილ თეატრის მოყვარეს, ნამდვილ ხელოვნების თაყვანის-მცემელს. ამ გვარ ხალხს თეატრიდამ ისტუმრებს პუბლიკის ხმა-მაღლა ლაპარაკი, ბღავილი წარმოდგენის დროს და მოთამაშეების გრეხიაობა და უენობა.

თუ ჩვენ სცენის მოთავეებს სურთ რომ თეატრში დადიოდეს განათლებული ნაწილი ჩვენი საზოგადოებისა, რომელსაც ბევრი კარგი თეატრი უნახავს სხვაგანაც და თბილისშიაც, საჭიროა, იმუშაონ და მოიშორონ თავიდა უმეცრება და სიზარმაცე. შარშანდელ წარმოდგენების ანგარიშიდამ კარგად ვიცით, რომ უკეთესი ნაწილი ჩვენი საზოგადოებისა მაშინ მოაწყდებოდა ხოლმე თეატრს, როცა წინათ წარმოდგენა კარგად წავიდოდა ე. ი. აქტიორებს ეცოდინებოდათ როლები, პიესა არ იქნებოდა უაზრო და პუბლიკასაც თავი რიგიანად ეჭირა.

გ. თ—მ—.

---

# ახალი წიგნები

ქართული ანბანი, მოძრავი (?) ასოებით და პირველ-საკითხავი წიგნი. თბილისი. 1880 წ. ფასი ორი შაური.

თან-და-თან ვრცელდება ჩვენს ხალხში კითხვის სურვილი; ამ სურვილს ვერც ქართულის ენის საშუალო სასწავლებლებიდამ ძალ-დატანებით გამოდევნა მოსპობს, ვერც სასოფლო სკოლებში უდროოდროს სხვა ენაზედ სწავლა, სხვა ენის შემწეობით გონების დამახინჯება, დასახიჩრება. სამწუხარო მხოლოდ ეს არის რომ, როდესაც კი ხალხის საკითხავს წიგნებზედ ჩამოვარდება ლაპარაკი, მხოლოდ ჩივილი მოისმის ჩვენში, ხეირიანი წიგნები არა გვაქვს, არ იბეჭდებაო, წიგნების მაღაზიებში მხოლოდ უმნიშვნელო ყარამანიანებს, ამირან-დარეჯანიანებს, ასოთ-სამღერლებსა ვხედავთო. მოისმის ეს ჩივილი, მაგრამ საქმის გამსწორებელი, საქმის რიგიანად ფეხზედ დამყენებელი კი არავინა სჩანს.

სამწუხაროა, რასაკვირველია, როდესაც ცნობის შესაძენად გაღვიძებული გონება ივსება უბრალო ზღაპრებითა და ყოვლად გამოუდეგარის წიგნებით, მაგრამ კიდევ უფრო სამწუხაროა, როდესაც ბავშვს ჯერედ თითქმის ენა-ამოუდგმელს, ხელში აჩეჩებენ იმისთანა «პირველ-საკითხავ წიგნს», რომელმაც შეიძლება სამუდამოდ შეაძულოს წერა-კითხვა და წიგნის სახელიც კი შეაზიზღოს. ამის გამო დიდი ყურადღება უნდა იყოს მიქცეული ყოველ-გვარს ანბანზედ, ყოველ-გვარს პირ-

ველ-საკითხავს წიგნზედ და ყოველივე მცირედიც არის ნაკ-
ლულევანება შეუნიშნავი არ უნდა დარჩეს.

პირველს გვერდს რომ გადაშლით ზემოხსენებულის წიგნისას, დაგხვდებათ მოძრავი (ცალ-ცალკე) ასოები, რომელთ შემწეობით შეიძლება გაუადვილოს კაცმა ბავშვს ასოების სწავლა დ სიტყვების შედგენა. ჩვენში ხშირად ბავშვს ანბანს აზეპირებენ და ისე ჩააკითხებენ ხოლმე ბოლომდის, მაგრამ თუ სადმე ცალკე ასო შეხვდა, გამოცნობას ველარ ახერხებს. ბავშვმა იცის რომ ა-ს მისდევს ბ; ბ-ს—გ და სხვ. მაგრამ ა როგორია, ბ როგორი ეს კი აღარ იცის. ცალ-ცალკე ასოებს ეს მნიშვნელობა აქვთ რომ ასოების ერთმანერთზედ მიმდევრობასა სპობენ და ბავშვს თითქო ეუბნებიან, ასოს სახეს დააკვირდი და არა მაგის ხმას, და არა იმას, ასოები ერთმანერთს რა წესზედ მისდევენო.

შემდეგ ცალ-ცალკე ასოებისა ამ ანბანის შემადგენელს მიუღია ესეთი სისტემა: ბავშვს აცნობებს ჯერ ადვილს ასოებს ა-სა და ი-ს, შეადგენს ამათაგან სიტყვებს: ია, აი, აია (?) და რამდენჯერმე გაამეორებინებს ბავშვებს. მასუკან არდგენს იმისთანა სიტყვებს, რომლებშიაც ბავშვისაგან ცნობილი ასოები იყოს და ერთი კიდევ უცნობი და ამ ცნობილ ასოების შემწეობით აგებინებს უცნობის მნიშვნელობასაც.

რიგიანად მოუხმარნია ეს სისტემა შემადგენელს თუ არა, ერთის თვალის გადავლებითაც ეტყობა ამ წიგნს.

ჯერ ერთი ესა რა არის «აიაა», რომ პირველ ორის ასოს გაცნობის შემდეგვე აკითხებს ბავშვს. ამ სიტყვას მნიშვნელობა არა აქვს-რა და ბავშვებს უმნიშვნელო სიტყვის ამოკითხვარა ხალისს მოჰგვრის!

რა არის „რეხი“, „ხერი“, „ხოსია“, რომელნიც პირველ-

სა და მეორე გვერდზედ არიან გამოჭიმულნი? რ, ხ და სხვა ბევრი ასოები გარეგანის მხრივ უფრო ძერას მიაგვანან, ვიდ-რე ქართულ ასოებს. ამას გარდა რა კი ერთ-ხელ რიგიანს სისტემას დაადგება კაცი, ამ სისტემას ბოლომდე არ უნდა უმტყუნოს. მე-16-ე გვერდზედ არის სიტყვა: დანა. ამ სიტ-ყვით მასწავლებელმა უნდა გააგებინოს ბავშვს დ-ის და ნ-ის მნიშვნელობა მარტო ერთის ცნობილის ასოთი — ა-ნით. საი-დამ გაიგოს ბავშმა რომ აქ „დანა“ სწერია და არა „კაბა“, „ბაგა“ და ან სხვა ამისთანა სიტყვა. ესეთივე შეცდომა მოს-ვლია შემადგენელს მე-20-ე გვერდზედ, სადაც ისა სწერს: „გაზი“ და ა-ნის და ი-ნის შემწეობით აცნობებს ორს ასოს ერთად გ-სა და ზ-ს; ან მე-22-ე გვერდზედ ერთის სიტყვაში; „ყანწი“ უცნობს ასოებს: ყ-სა და წ-ს ერთად აქცევს და ყვე-ლამ იცის რომ ამ ასოებს ჩვენს ანბანში მხოლოდ ორი თუ სამი უდრის სიძნელით.

ასოების გასაცნობად შედგენილი ფრაზები უნდა ყოველ-თვის მარტივნი იყვნენ, წმინდა ქართულის ენით დაწერილნი და ყოველ ქართველ ბავშვისათვის გასაგებარნი, თუნდა იმე-რელი იყოს ბავშვი, თუნდ გურული, თუნდა მთიული. ამ მხრივაცა კოჭლობს შემადგენელი. ერთსა და იმავე ასოზედ აი რამდენი უადგილო ფრაზაა:

«აი თვალ-ყუყუნი ვაყი. მიმინო ჩემია ლაყო (?) კი ამ ქალის მამი-სა არის. დაყე, ნუ ხარ ყინიანი კაცი.»

„დაყეს“ მაგივრად ცხადია „დაჯექ“ უნდა იყოს და ეს კორექტურის შეცდომაა, მაგრამ საყმაწვილო წიგნში კორექ-ტურის შეცდომა რაც შეიძლება ნაკლებ უნდა იყოს; ამ ანბან-ში კი ამისთანა შეცდომები რომ მოვნახოთ, დიდ-ხანს არ მოგვინდება ძებნა.

ამ წიგნის მეორე ნაწილს შეადგენენ სხვა-და-სხვა წვრილი ამბები, ანდაზები, საწყრი, ორი-სამი ლექსი და ბოლოს განუშორებელი ამხანაგი ყოველის ანბანისა: ლოცვები მხედრულსა და ხუცურს ენაზედ.

ამბები უშნონი და უინტერესონი არიან და სავსენი როგორც ენის, ისე კორრექტურის შეცდომებით.

წაიკითხეთ მაგალითად ეს ერთი „ამბავი.“

«ბრმას ჰკითხეს, სად იყავიო, უპასუხა: რძეს ვსვამდიო, რძე რა არისო? რძე თეთრი და გემრიელი სასმელიაო. თეთლი რისი ფერიაო? როგორც ბატი (?). უპასუხა ბრმამ. ბატი რორიღა არისო? ბატი ბატის ფერიაო.»

ამ ოთხს სტრიქონში ორი შეცდომაა კორრექტურისა, ერთი ენისა და ნიშნების დასმაზედ კი ნუღარასა მკითხავთ.

მთელს წიგნში გაბნეულია შემდეგი სიტყვები: „ნახედარი ცხენი, მაშვინვე, ბოვშვი, ყვინთვა“ და სხვ.

მაგრამ შესანიშნავი მე-33-გვერდია წიგნისა, სადაც შემადგენელს სხვა-და-სხვა ცხოველები დაუხატავს და ბავშვსა ჰკითხავს:

«ჩამოთვალეთ რა და რა ცხოველებია აქ დახატული... ვის რომელი იმათგანი (ცხოველთაგანი) გინახავს? რომელი ცხოველი იღებს ნაცლხრას?»

ამ კითხვაზედ ბავშვი კი არა, თვით კიუვიეც რომ მკვდრეთით ამდგარიყო, ისიც ვერ შეიძლებდა პასუხის გაცემას, ის კიუვია, რომელიც ერთს პატარა ძვალზედ ატყობდა, რა სახისა და სიდიდისა უნდა ყოფილიყო მილიონის წლის წინად დედა-მიწის ზურგზედ გამწყვარი ცხოველი.

**პარიკ-მახერისას**, ხუმრობა-ვოდევილი, ერთს მოქმედებად; თხზულება თ. რაფ. ერისთვისა. **კატა-აწოხნა**, კომედია; თხზულება დიმ. მეღვინეთ-ხუცესოვისა. **კაპიშონი**, ფარსი ორს მოქმედებად; თხზულება ტ.-ე. ტერ-ასტვაწატურიანცისა.

რა უნდა ვთქვათ ამ სამ პატარა მჭლე წიგნების შესახებ, რომლებშიაც მკითხველებისთვის არაფერი საინტერესო და სასარგებლო არა არის-რა? ჩვენ მხოლოდ გვიკვირს, რომ ქართულს ენაზე ცალკე წიგნებად იბეჭდება უმნიშვნელო და უაზრო ვოდევილები (თავ. რაფ. ერისთვის ვოდევილი ბევრად სჯობს მეორე ვოდევილებს). კარგს ოსტატურს ვოდევილს აქვს მნიშვნელობა მხოლოდ სცენაზე და არა წასაკითხავად; სხვა ქვეყნებშიაც კი, სადაც ასობით და ათასობით იბეჭდება სხვა-და-სხვა წიგნები, ვოდევილებსა და ფარსებს დაბეჭვდას მკირად აღირსებენ; მხოლოდ სცენაზე არდგენენ მაყურებლების გასართობად და არა იმისთვის, რომ მათ რაიმე საზოგადო მნიშვნელობა ქონდესთ. აბა, წაიკითხე, მკითხველო, ტერ-ასტვაწატურიანცის ფარსი და მიბრძანე, იყო დასაბეჭდი იგი თუ არა; არავითარი აზრი, არც ოხუნჯობა იმაში არ მოიპოვება; ეს ფარსი ვერ ასრულებს უბრალო ფარსის დანიშნულებასაც კი; ერთხელაც არ გააცინებს მკითხველს და მაყურებელს და მისი მარილი მხოლოდ ეს არის, რომ მოთამაშე პირები უხეიროდ ამტვრევენ რუსულ სიტყვებს და უაზროდ ვითომც მჭევრმეტყველობენ, ან ამისთანა მშვენიერ ლექსებს ამბობენ:

„ვა, თუ ღმერთი გწამს დაიკვეხე
ვნახოთ რომელ სუმიდამ,
შვილი აბაზი არა მაქვს,

რომ ცუნგი მოვიტანო,
თუ გაქვს, ცოცა მასესხე
ხვალვე მიიღე ყულაბიდგან.»

ეს გახლავთ აკტორის პოეზია. ამისთანა უნიჭო თხზულება ჩვენ ჯერ არ ჩაგვვარდნია ხელში, თუმცა ჩვენს ენაზე ბევრი უვარგისი, უაზრო და მავნე წიგნები იბეჭდება იმ პირებისაგან რომელთაც არავითარი კავშირი არა აქვთ ლიტერატურასთან. ტერ-ასტვაწატურიანცებს და მათის თხზულებების გამომცემლებს შეძლოთ აურჩიათ სხვა ასპარეზი, რომელშიაც მათი ნიჭი უფრო გამოსადეგი იქნებოდა.

# შინაური მიმოხილვა.

ახლად გამართული ბაასი სკოლების თაობაზედ. ბბ. იანოვსკისა და სემიონოვის აზრის განხორციელება.—მეტიჩრები ქართველობაში.—«კავკაზის» გალაშქრება სახელოსნო სასწავლებლისაკენ.—ბ. წინამძღვრიშვილის სკოლის პროექტი და მისი ნაკლულევანება.—ქართული დრამატიული საზოგადოება

---

ჩვენდა სამწუხაროდ დღეს ჩვენის მიმოხილვის დასაწყისში ისეთი აზრები უნდა წარმოვსთქვათ, რომელნიც სხვა ქვეყნებში დაურღვეველ ჭეშმარიტებად გადაქცეულან და ვინც კი მათ განიმეორებს, იქნება სასაცილოდაც აიგდონ და ამერიკის მეორედ მპოვნელი დაუძახონ.

ჩვენ უნდა წარმოვსთქვათ, რომ ბავშმა თავ-და-პირველად თავის დედა ენაზედ უნდა გაიხსნას გონება და უცხო ენის სწავლას მხოლოდ მაშინ მიჰყოს ხელი, როცა თავის დედა ენაზედ საკმაოდ გაწვრთნილი იქნება. თუ გვინდა საკმაოდ ისწავლოს ბავშმა უცხო ენა, დროც საკმარისი უნდა ჰქონდეს, თორემ ორსა და სამს წელიწადში, არამც თუ ვერ შეითვისებს უცხო ენას, თავ-ბედი ისე აერევა რომ იმასაც კი დაივიწყებს, რისაც გაგება თავის დედა ენის შემწეობით მოასწრო.

დიაღ, დღესა გვჭირდება ამ დაურღვეველის ჭეშმარიტების გამეორება, თუმცა გვრცხვენიან და ვიცით რომ ყოველი

შეგნებული კაცი სასაცილოდ აგვიგდებს ასე საქვეყნოდ უვირილისათვის, ორჯერ ორი ოთხიაო. მაგრამ რა გაეწყობა! ქართველებში კიდევ ბევრი ყოფილა იმისთანა, რომელთაც ჯერ არ გასთქვეფიათ თავში ეს ჭეშმარიტება, თუმცა კი ჩვენი ლიტერატურა თითქმის თავის დაბადების დღიდამვე ამ ჭეშმარიტებას ჰქადაგებს.

მკითხველი მიხვდება, რაზედ ჩამოვაგდეთ ეს ლაპარაკი. ამ უკანასკნელს ხანს დიდი ამბავი მოახდინა ჩვენი სწავლა-განათლების მზრუნველის წერილმა, რომელიც გაზეთს „კავკაზ“-ში იყო დაბეჭდილი. ეს წერილი ღირს-შესანიშნავია იმითი, რომ ბ. მზრუნველი საქებურის გულ-ახდილობით წინ გვიშლის თავის პროგრამას....

შესანიშნავი ეს არის რომ ბ. მზრუნველი არ დაენდო მარტო თავის-თავს ამისთანა მძიმე საქმეში, საქვეყნოდ გამოაცხადა თავის პროგრამა, თითქო იწვევდა საზოგადოებას მის გასარჩევად და პირადაც ბევრს წარჩინებულ ქართველთან ჰქონია ამ საგანზედ ლაპარაკი. სამწუხარო ეს არის რომ ეს წარჩინებულნი პირნი ყოფილან წარჩინებულნი მხოლოდ ადგილით. იქნება მათ გულიცა სტკივოდათ ჩვენის ხალხისათვის, იცოდენ როგორ საჭიროობს იგი რუსულს ენას, მაგრამ არ ესმოდათ, რა საშუალებით შეიძლება აღსრულდეს ეს სურვილი და სრულებით უბოროტოდ, კეთილის განზრახვით წარმოსთქვეს, ჩვენს ხალხს რუსული ენა ეჭირება და კარგი იქნება ქართულთან ერთად ასწავლოთო. წარჩინებულ პირებზედ რომ ვლაპარაკობთ, იმედი გვაქვს ამას თავის-თავზედ არ მიიღებენ არც ბ. სენაკის მაზრის უფროსი ბებურიშვილი, არც ბ. ივ. ბერიძე, სენაკის მომრიგებელი მოსამართლე, არც „დეპუტანტი“ ლუკა ჟვანია, რომელნიც ამტკიცებენ „კავკაზ“-ში,

რომ სამეგრელოს ხალხი თხოულობს რამწამს სკოლაში შეგვყავს შვილები,—კინაღამ წამოგვცდა: რამწამს დაიბადებიან— მაშინვე რუსული ლაპარაკი დააწყებინეთო. წარჩინებულობას არც სენაკის სკოლის ზედამხედველი ბ. ლოსაბერიძე იკისრებს, რომელმაც ისე ცხადად ბ. მზრუნველს, გამართლების მაგივრად, ცილი დასწამა, როდესაც სწერდა: ასე მითხრა, რატომ სამეგრელოს სკოლებში მეგრულს ენაზედ არ ასწავლითო. რა საფიქრებელია რომ ბ. მზრუნველმა, რომლის კალთაშიაც მთელის კავკასიის სწავლა-განათლების საქმეა გამოხვეული, არ იცოდეს რომ მეგრულს ენაზედ წერა-კითხვა შეუძლებელია მეგრულის ანბანის უქონლობის გამო! რუსული ანდაზაა: მეტის-მეტი მოლაქუცე მტერზედ უარესიაო.

ბ. მზრუნველი ისე მოიქცა, როგორც საზოგადო საქმეების გამგე კაცს შეჰფერის. მან გამოაცხადა თავისი პროგრამა, შეიტყო უმაღლეს ქართველ საზოგადოების აზრი და შემდეგ სიტყვა საქმედ აქცია. ეხლა იმის პროგრამის ყოველს სკოლაში შემოღებას აპირებენ. ამიტომ მოკლედ განვიმეორებთ მას და გავაცნობთ ჩვენს მკითხველებს.

ბავშვის სკოლაში შესვლის შემდეგ პირველ ნახევარ-წელიწადს სწავლა უნდა მიდიოდეს დედა-ენაზედ. მეორე ნახევარ წელიწადსაც დედა-ენაზედ უნდა იყოს სწავლა, მხოლოდ რუსულის ენის გასაადვილებლად ყოველ-დღე ნახევარ საათისა, ან ორმოც-და-თუთხმეტის მინუტის განმავლობაში, მასწავლებელმა უნდა შეაჩვიოს ბავშვები რუსულის სიტყვებისა, ფრაზებისა და პატარა სტატიების გამეორებას, რომელნიც ჯერ ქართულად უნდა ითქმოდენ და მერე რუსულად. ამ საშუალებით ბავშვები „გონივრულად“ დაიხსომებენ სხვა-და-სხვა რუსულს სიტყვებსა და ფრაზებს.

მეორე წელიწადს, იმ შეგირდებმა, რომელთაც შეისწავლეს წერა და კითხვა დედა-ენაზედ, უნდა დაიწყონ წერა და კითხვა რუსულადაც, მაგრამ რასაც რუსულად სწავლობენ, უსათუოდ უნდა დედა ენის შემწეობით ახსნილი იყოს. ამ მეორე წელიწადს დღეში სამი გასაკვეთი დედა-ენისა უნდა იყოს და ერთი რუსულისა.

მესამე წელიწადსაც გასაკვეთების რიცხვი იგივე უნდა დარჩეს და იმავე რიგად, როგორც მეორე წელიწადს იყო. რუსულად წაკითხული სტატიები უნდა ახსნათ დედა-ენაზედაც და დედა-ენაზედ წაკითხული შემლებისაგვარად — რუსულადაც.

ბ. მზრუნველის აზრით ეს პროგრამა ისე გაუადვილებს ბავშვებს რუსულის სწავლას, რომ სკოლიდამ გამოსვლის შემდეგ შეეძლებათ საშუალო სასწავლებლების პირველს კლასში შესვლა და ეს ძრიად სასარგებლო იქნება მეტადრე იმ თავად-აზნაურთათვის, რომელნიც თავიანთ შვილებს სასოფლო სკოლებში სწავლას არ აკმარებენ და გიმნაზიებში, ან პროგიმნაზიებში მიცემას უპირებენო.

ეს პროგრამა ჩინებულს საფუძველზედ არის დადგენილი და თუ ნაკლულევანება აქვს რამე, ეს ნაკლულევანება ბ. მზრუნველის მრჩეველებს უნდა დაბრალდეს, რომელთაც სკოლის საქმე არ ესმით და ამ საგანზედ კი ბევრსა ლაპარაკობენ და არა თვით ბ. მზრუნველს, რომლის განზრახვა წმინდა და პატიოსანი უნდა იყოს, მაგრამ მისი აღსრულება კი იმ საშუალებით, რა საშუალებაც ბ. მზრუნველს მოუნახავს, ყოვლად შეუძლებელია.

ყოვლად შეუძლებელია ექვს თვეში შვიდისა და რვის წლის ბავშვმა ისე გაიცნოს თავისი დედა-ენა, რომ ამ კადის

შემდეგ შეიძლებოდეს უცხო ენის სწავლების შემოღებაც. ვისაც კი ბავშვისათვის წერა-კითხვა უსწავლებია, არ გამოეპარებოდა ის ჭეშმარიტება, რომ დიდმა ხანმა უნდა გაიაროს, ვიდრე ბავშვი ასოების სახეს დააკვირდებოდეს და მეტადრე, ვიდრე ამ ასოების ერთმანეთთან დაკავშირებასა და მათგან სიტყვის შედგენას მიხვდებოდეს; და როდესაც უსუსურს შვიდი-რვა წლის ბავშვს ჯერ ასოები რიგიანად ვერ გაუგია, ვერ გაუგია რა მნიშვნელობა აქვს მათს ერთმანეთთან კავშირს, როდესაც მთელი მისი გულის-ყური და გონების ძალა ამ საგანზედ უნდა იყოს მიმართული,—ახალი პროგრამა იმის ნორჩს გონებას, უიმისოდაც დატვირთულს, ასალს ბარგსა ჰკიდებს, კალადა სდებს რომ თუთიყუშსავით იზეპიროს რუსული სიტყვები და თუთიყუშსავითვე შეადგინოს მათგან სხვა-და-სხვა აზრები რუსულს ენაზედვე. ახალ პროგრამის შემადგენელი გონივრულადა სჯის, როდესაც ის ამბობს, რუსულს სიტყვებს და რუსულად აზრების გამოთქმას ბავშვი უნდა დედა-ენის შემწეობით შეეჩვიოსო, მაგრამ ჩვენ კიდევ ვიმეორებთ, ეს სიტყვები და ფრაზები თუთიყუშსავით იქნებიან გაზეპირებულნი და არა ცნობიერად მიხვედრილნი. როგორ უნდა შეადგინოს ბავშვმა სუთისა და ექვსის თვის სწავლების შემდეგ სხვა-და-სხვა ფრაზები უცხო ენაზედ, როდესაც თავის ღვიძლს ენაზედაც კი უჭირდება ორის სიტყვის ერთად გადაბმა და მათ შემწეობით თავის აზრის წარმოთქმა!

მეორე წელიწადსაო, ამბობს ახალი პროგრამა, როცა შეგირდებს შესწავლილი ექნებათ წერა და კითხვა დედა-ენაზედ, უნდა რუსულის ენის წერა და კითხვაც დაიწყონო. რა კარგი იქნება რომ საქმე ყოველთვის ისე ჩქარა და კარგად მიდიოდეს, როგორც ზოგიერთს პროგრამებში გამოცხადებული,

მაგრამ, სამწუხაროდ, ბევრის პროგრამის ასრულებას უშლის მასწავლებლების უხეირობა და არის იმისთანა პროგრამებიც, რომელთ შესრულებას თვით პესტალოცისა და დისტერვეგისთანა მასწავლებელნიც ვერ შეიძლებდენ....

თუმცა ქართულად წერა-კითხვის სწავლა ბევრად უფრო ადვილია, ვიდრე სხვა ენაზედ, მაგრამ ქართულადაც კი შეუძლებელია ბავშვი ისე გაიწვრთნას ერთის წლის განმავლობაში, ისე ისწავლოს წერა-კითხვა დედა-ენაზედ, რომ უცხო ენის შემოღებამ მეორე წელიწადს სრულიად თავ-ბედი არ დააკარგვინოს. ჯერ ერთს ენაზედ ბავშვს ჩათვლით კითხვა არ ეცოდინება და ახალის პროგრამის ძალით კი მეორე ანბანის სწავლას უნდა მოჰყვეს....

ახალის პროგრამის დამცველნი ბძანებენ, ხალხი თხოულობს, რომ რუსული ენა ასწავლონო და ჩვენც ხალხის სურვილი უნდა ავასრულოთო.

ჩვენც ვიცით რომ რუსულის სწავლა უნდა ხალხსა და ხალხის სურვილის ასრულება დიდად საქებურია, მაგრამ ამ საშუალებით, რა საშუალებასაც ახალი პროგრამა გვიქადაგებს, ეს შეუძლებელია.

გამართეთ იმისთანა სასოფლო სასწავლებლები, სადაც სწავლა ექვს წელიწადსა გრძელდებოდეს და იქ ასწავლეთ თქვენის პროგრამის შესაფერად, მხოლოდ, სადაც თქვენს პროგრამაში ნახევარ წელიწადია მოხსენებული, იქ ორი წელიწადი მაინც მოახმარეთ. ორს წელიწადს კარგის მასწავლებლის ხელში ისე შეისწავლიან ბავშვები თავის დედა-ენას, რომ გაუჭირებლად შეეძლებათ რუსულის დაწყობაც და ოთხის წლის განმავლობაში ამ ენას იმდენად შეისწავლიან, რომ ცხოვრებაში გამოადგეთ.

თურმე ამ ახალის საშუალებით მართლაც და ძალიან ნიჭიერი უნდა იყოს ბავშვი რომ რუსული ენა ცოტათიც არის შეისწავლოს. ჩვენს სასოფლო სკოლებში ბავშვები იმდენს ხანს არა რჩებიან რომ მართლა შემდეგისათვის დიდად გამოსადეგი სწავლა შეიძინონ; სოფლის მასწავლებელთ უფრო ბავშვის ზნეობაზედ უნდა იმოქმედონ, უნდა შეძლებისა-მებრ გაუღვიძონ გულში ის კაცობრიული გრძნობა, ურომლოთაც ცხოვრებაში ადამიანი უფრო მხეცად გამოიყურება, ვიდრე ადამიანად. როგორ მოსთხოვთ თქვენ ამას მასწავლებელს, რომელსაც ვალადა სდებთ სამს წელიწადში ასწავლოს ბავშვებს ქართული წერა-კითხვა, ანგარიში, საღმრთო წერილი, რუსული წერა-კითხვა, ისე რომ წაკითხულის გაგებაც შეეძლოს და ნაამბობის დაწერაც! შვიდისა და რვა წლის ბავშვის გონება მართლა უჯრებიანი ყუთი ხომ არ არის, რომელშიაც ყოველივე ცოდნის უჯრა-უჯრა მოთავსება შეიძლებოდეს....

მაშასადამე უნდა გამართოთ ექვს-კლასიანი სასოფლო სასწავლებლები სოფლებში და ასწავლოთ რუსული მესამე კლასიდამ და სადაც კი ვერ შეიძლებთ ამ გვარის სასწავლებლების გამართვას, ასწავლოთ მხოლოდ დედა-ენა, მხოლოდ დედა-ენისვე შემწეობით.

ჩვენ, რასაკვირველია, შეძლება არა გვაქვს, რომ ჩვენი სისტემა მივაღებინოთ სადმე ასე უეცრად, ჩვენ მხოლოდ ვაცხადებთ ჩვენს აზრსა და ჩვენს მტკიცე რწმენას; სხვებს შეუძლიანთ თავიანთი პროგრამა დღეიდამვე აღსრულებაში მოიყვანონ მაგრამ, სრულიად გულ-დაჯერებული ვართ, თვითონ საქმე დაარწმენს ჩვენში სწავლა-განათლების გამგეთ, რომ ახალ პროგრამის შესრულებას ერთი უმთავრესი ძალა აკლია, და ეს ძალა არის დრო.

გამოცდილებამდე კი ჩვენც მოთმენით ვიქნებით. მოვიცდით ვიდრე თვით მაგალითი არ დაამტკიცებს ჩვენის აზრის სიმართლეს. მართალია, ძნელია მთელის შთამომავლობის მრუდე გზაზედ დაყენება, მაგრამ რა გაეწყობა, რომ სხვა უფრო მარჯვე ღონე საქმის გასწორებისა ხელთ არა გვაქვს.

ჯერ-ჯერობით ჩვენის აზრის დასამტკიცებლად მხოლოდ ერთს მაგალითს დავასახელებთ: თბილისის გუბერნიაში თვითონ სახალხო სკოლების დირექტორის სიტყვით საუკეთესო სკოლად საგარეჯოს სკოლა ითვლება. ამ სკოლაში ბავშვები ოთხს წელიწადსა სწავლობენ. მეოთხე განყოფილებაში გადასულმა ბავშვებმა, ახალის პროგრამის აზრით, უნდა იცოდნენ რუსული წერა-კითხვა და უნდა ესმოდეთ, რასაცა ჰკითხულობენ. ამ მეოთხე განყოფილებაში ამ ბოლოს დროს მასწავლებლად იყო დანიშნული რუსი ბ. ჩუმაკოვი, განგებ რუსეთიდამ დაბარებული, მაგრამ რამდენიმე ხნის შემდეგ იმან უარი სთქვა მასწავლებლობაზედ, რადგან ვერცარაფერს ბავშვებს აგებინებდა, არცარაფერი მათი ესმოდა.

თვით ერთს იმ პირთაგანს, რომელსაც დიდი ხმა და გავლენა აქვს ამ მძიმე საქმეში, უთქვამს ამ წერილის დამწერისათვის: არ ვიცი ვასწავლებინო სახალხო სკოლებში რუსული, თუ არაო. როცა მკითხავენ: ასწავლით თუ არა რუსულს სახალხო სკოლაშიო, მე როგორც პატიოსანი კაცი, ვუპასუხებ ხოლმე ვასწავლითო და როდესაც მკითხვენ, გამოდის რამე მაგ სწავლებიდამ, თუ არაო, მე კიდევ, როგორც პატიოსანი კაცი, ვეუბნები, არაფერი არა გამოდის-რაო.

ამის მთქმელი რუსთაგანია და ჩვენ დარწმუნებული ვართ, ბოლოს დროს ყოველივე პატიოსანი კაცი ამ აზრისა იქნება, ვისაც კი აზრი აზროვნებისათვისა აქვს მინიჭებული და არა

იმისათვის, რომ ზედ გადააჯდეს, გაჰბაწროს და მოუსპოს ყოველივე თავისუფლება.

ჩვენი ხალხი თუ რუსულის სწავლებასა თხოულობს სადმე, იმიტომა თხოულობს რომ ჩვენში ეხლა მხოლოდ რუსულს ენასა ხმარობენ ყოველ-გვარს დაწესებულებაში და ადგილის ენები კი, მაგალითად, ქართული ენა ყველგან გამოდევნილია... ქართულის მცოდნე მოსამართლესთანაც კი აკრძალულია ქართულად ლაპარაკი....

უცხო ენის სწავლება საჭიროა, მაგრამ სხვა მხრივ უნდა იყოს დაწყობილი. იმის მაგიერად რომ მილიონს ხალხს, რომელსაც უფრო ნაკლებ მოცალეობა აქვს და ნაკლები დრო, ასწავლოთ უცხო ენა, ასწავლეთ იმ ხუთასს ან ათასს მოხელეს, რომელთაც ვალად უნდა ედოთ რომ ხალხს ემსახურონ. საქმის რიგიანად წაყვანა თავიდამ უნდა და არა ბოლოდამ.

არ არის კარგი, როდესაც სკოლის ხელმძღვანელნი მისდევენ სხვა აზრსა და სხვა განზრახულებას და არა იმას, რომ ყმაწვილის გონება გაავითარონ, ზნეობა აუმაღლონ; მაგრამ ის უფრო უარესია, როდესაც ეს „სხვა აზრი და სხვა განზრახულება“ ერევა იმისთანა საქმეში, როგორიც არის, მაგ. სახელოსნო, ან სამეურნეო სკოლა. საუბედუროდ ზოგიერთა მეტიჩარა პუბლიცისტები ამისთანა საქმესაც კი არა სტოვებენ ისე რომ თავიანთ უწმინდურის ხელით არ გაჭუჭყონ იგი და თავიანთი ბალღამი არ გადაასხან.

შემოდგომაზედ თბილისის რჩევამ გახსნა სრულის თავისის ხარჯით სახელოსნო სკოლა. ამ სკოლაში, გარდა პირველ-დაწყებით სკოლის საგნებისა, ბავშვები სწავლობენ აგრეთვე ხელოსნობას. სახელოსნო სასწავლებლის დამფუძნებელთ სწორედ გონივრულად განსაჯეს, როდესაც დააწესეს, რომ

სწავლა სამს ენაზედ მიდიოდეს: რუსებისთვის რუსულ ენაზედ, ქართველებისთვის ქართულზედ და სომხებისთვის სომხურზედ. ამ ღონით ტყუილად ბევრი დრო არ ეკარგებათ შეგირდებს სხვა ენის შესასწავლებლად და რაც დრო რჩება საგნების შესწავლის შემდეგ, ხელოსნობის შესწავლას ახმარებენ.

ეს პირველი მაგალითია ჩვენში იმისთანა სკოლის გამართვისა, რომელშიაც ყოველის ხალხის მოთხოვნილება ასრულებულია, ყოველის ხალხის შვილებს ერთ-გვარად გაადვილებული აქვთ სწავლის მიღება და მის ნაყოფით სარგებლობა.

ამისთანა სკოლა არ მოსწონს გაზეთ „კავკაზის“ რედაქციას და ცდილობს ყოველ-გვარი ცილი მოუგონოს მას. მაგრამ რაც უნდა ფხასავით ყელზედ დაადგეს „კავკაზს“ ეს სახელოსნო სკოლა, მაინც მკურნალს ვერ იშოვის. სახელოსნო სკოლა ქალაქის ხარჯით არის დაფუძნებული და თუ «კავკაზმა» კიდევ მეტის-მეტი გულ-მოდგინეობა გამოიჩინა, შეიძლება ამ გულ-მოდგინეობისათვის უფრო საყვედური მიიღოს, ვიდრე ქება, იმათგან, ვისიც სიამოვნება განუზრახავს.

ქალაქის რჩევისა და სხვა-და-სხვა ქველ-მოქმედ საზოგადოებათ გარდა, ამ ბოლოს დროს, თვით კერძო პირმაც კი განიზრახა ჩვენში თავის ხარჯით ერთის ფრიად სასარგებლო სკოლის გამართვა.

„დროებაში“ დაბეჭდილი იყო პროექტი იმ სამეურნეო სასწავლებლისა, რომელსაც ბ. ილია წინამძღვრიშვილი მართავს სოფ. წინამძღვრიანთ კარში, დუშეთის მაზრაში. ჩვენ გავიგონეთ რომ ეს პროექტი ზოგიერთის ცვლილებით კიდევ წარუდგენია დამფუძნებელს, სადაც რიგია. არ ვიცით ეს ცვლილება როგორია, მაგრამ იმედი გვაქვს რომ ეს პროექტი

ისე იქნება შესრულებული და გასწორებული, როგორც ზოგიერთი პრაქტიკული მოსაზრება მოითხოვს.

ჩვენ არ შევუდგებით ამ პროექტის დაწვრილებით განხილვას; ზოგიერთი შეუფერებელი პარაგრაფის ცვლილება მასუკანაც ადვილად მოხერხდება; ჩვენ დღეს მხოლოდ წესდების ზოგიერთს ნაკლულევანებას ვუჩვენებთ, თუმცა ამ ნაკლულევანებაზედ სხვაგანაც იყო ლაპარაკი.

ცხადია რომ სამეურნეო სკოლას მხოლოდ მაშინ ექნება ვრცელი მნიშვნელობა, თუ მასში გაწვრთნილი მოწაფეები სხვა-და-სხვა სოფელში იცხოვრებენ და თავიანთ მოძმეებს აჩვენებენ მამულის მოვლის უკეთესს მაგალითს.

წესდების მე-12 მუხლის ძალით შეგირდები სკოლაში უფასოდ ივლიან. თუმცა წესდებაში გამორკვეული არ არის სულ ერთის სოფლიდამ იქნებიან ისინი მიღებულნი, თუ სხვა-და-სხვიდამ, მაგრამ ეს სიტყვა „ივლიან" პირ-და-პირ აჩვენებს, რომ თითონ სკოლაში არ ექნებათ ბინა და გარედამ უნდა იარონ და გარედამ მოსიარულობა მხოლოდ იმ სოფლელებს შეუძლიანთ სადაც სკოლაა. სხვა სოფლიდამ ძვირად თუ ვინმე მიაბარებს სკოლაში შვილს გარედამ მოსიარულედ.

ის ემჯობინებოდა ბევრად, რომ უცხო სოფლელ შეგირდებს თითონ სკოლაშივე ჰქონოდათ ბინა; მაშინ შეიძლებოდა, როგორც „დროებაშივე" ამბობდა ბ. როსტომაშვილი, ვინც სხვა-და-სხვა სასოფლო სკოლაში სხვებზედ უკეთესად შეასრულებდა სწავლას, ამ სამეურნეო სკოლაში შესულიყო. მაშინ ამ სკოლაში შეგირდები თეორეტიკულადაც და პრაქტიკულადაც მხოლოდ მეურნეობას შეისწავლიდენ და არ მიჰყვებოდენ სხვა-და-სხვა საგნების სწავლას, რომელიც, უეჭველია, დაუშლის ამ სკოლის ნამდვილ დანიშნულების შესრულებას.

მაინცა-და-მაინც თუ ჩვენი აზრი ვერ შესრულდება და ეს სკოლა სამეურნეოც იქნება და პირველ-დაწყებითიც, პროექტში მოხსენებულ ზოგიერთ საგნების სწავლება სრულიად უნაყოფო იქნება. იმედია, არავინ ცუდს განზრახვას არ დაგვწამებს, თუ ვიტყვით, სამეურნეო სკოლაში რუსეთის გეოგრაფიისა და რუსეთის ისტორიის ცალკე სწავლება ვერაფერს სარგებლობას ვერ მოიტანს.

ამ თვის მიმოხილვა უნდა შემდეგის სასიამოვნო ამბით დავაბოლოვოთ: ამას წინად მთავრობამ დაამტკიცა წესდება ქართულ დრამატიულ საზოგადოებისა და კვირას, 18 იანვარს, იყო ყრილობა ამ საზოგადოების წევრთა. ამოირჩიეს მართველობა, რომელმაც უნდა აწარმოვოს საზოგადოების საქმე. საზოგადოებას შეუძლიან ხელი მოუწყოს ქართულ წარმოდგენების გამართვას, სადაც კი ამ წარმოდგენების გამართვა მოხერხდება; შეუძლიან ყოველივე თეატრისთვის საჭირო ნივთეულობა და თვით თეატრისთვის საჭირო შენობაც საკუთრებად შეიძინოს; შეუძლიან შემწეობა გაუწიოს აქტიორებს, დრამატიულ მწერლებს; შეუძლიან ქართულს ენაზედ ბეჭდოს სხვა-და-სხვა სათეატრო თხზულებები და გამოსცეს სათეატრო ჟურნალი; შეუძლიან გამართოს ქალაქს თბილისში სათეატრო სკოლა.

ერთის სიტყვით საზოგადოებას ფართო მეიდანი აქვს წინ გაშლილი და თუმცა ჯერ საშუალება იმდენი არა აქვს რომ თავისი დანიშნულება რიგიანად შეასრულოს, მაგრამ ჩვენ დარწმუნებული ვართ ეხლა ისეთმა ნიავმა დაჰბერა ქართველ საზოგადოებას, რომ თუ ამ საქმის მოთავენი ენერგიულად და დაუზარებლივ მოიწადინებენ თავიანთ დანიშნულების შესრულებას, თანაგრძნობაც ბევრი იქნება.

მართლაც და ქართული თეატრის საქმე ისეთი საქმეა, რომ თუ კარგად ვერ წავიდა და ბოლო მოელო, საზოგადოების წინ მძიმე პასუხის-გებაში ჩავარდება იგი, ვისაც კი ამ საქმის წაყვანა ჰქონდა მინდობილი და ამ მინდობილობის შესრულება არ მოინდომა. ჩვენში თეატრს შეიძლება დიდი ზნეობის ამამაღლებელი მნიშვნელობა ჰქონდეს, თუ წარმოსადგენად დანიშნული პიესები რიგიანი იქნებიან.

მგონი ყველაზედ ეს შთაბეჭდილება უნდა ჰქონოდა, მაგალითად „პარიჟელ ბიჭის“ წარმოდგენას. უნდა გენახათ, რა აღტაცებით ყურს უგდებდა საზოგადოება პარიჟელ ბიჭის მშვენიერს ლაპარაკს; როგორ ყოველივე საუკეთესო აზრი უნებურად გაცხარებულს ტაშს იწვევდა ზოგიერთთაგან და სხვები როგორ სტუქსავდენ ამ მოუთმენელებს, რატომ ბოლომდის არ გაგვაგონებთ, რაც სათქმელი აქვსო.

როდესაც მაგალითად, ბებერი ღენერალი—არისტოკრატი გაიცნობს კეთილ-შობილს გრძნობას პარიჟელ ბიჭისას და უბძანებს თავის შვილს, დაიწეროს ჯვარი მისგან გაუპატიურებულ უბრალო კაცის ქალზედ,—ვინ არ იტყვის რომ ეს სურათი უფრო კარგად გვიქადაგებს ადამიანთ თანასწორობას, ვიდრე განგებ ამ აზრის განსამარტებლად შეთხზული ფრაზები.

გაბედვით ვიტყვით, ჩვენში დიდებისათვის ისეთივე მნიშვნელობა აქვს ქართულ თეატრს, როგორც პატარაებისთვის სკოლას.

## განცხადება.

იბეჭდება და გამოვა თებერვლის დამლევს

**არჩეული ლექსები**

და

სხვა თხზულებანი

**თ. მიხ. ბირთვ. თუმანიშვილისა.**

შინაარსი: წინასიტყვაობა. — ლექსები. — ბაღჩისარაიის შადრევანი, პუშკინის პოემა. — მოლაყბეს ფურცლები. — ქართული თეატრი (ვორონცოვის დროის).

ფასი 30 კაპ.

---

განცხადებანი მიიღება „ივერიაში" დასაბეჭდად ქართულს, რუსულს და სხვა ენებზედ.

ფასი სტრიქონისა: წვრილის ასოებით ერთი შაური,
ჩვეულებრივის ასოებით ორი შაური
და მომსხო ასოებით სამი შაური.

---

ი 383
1881

# დროება-ივერია

1881 წელს ჟურნალი «ივერია» გამოვა ყოველ-თვე არა ნაკლებ ხუთის დიდის თაბახისა ახალის უფრო ვრცელის პროგ-რამით და ახალ თანამშრომლების დახმარებით.

ყოველ-დღიური გაზეთი «დროება» გამოვა იმავე პროგ-რამით და იმავე თანამშრომლების დახმარებით, როგორც აქამ-დის გამოდიოდა.

ხელის-მოწერა მიიღება:

ტფილისში, «დროება-ივერიის» რედაქციაში, (გოლოვინის პროსპექტზედ, თ. ივ. კ. მუხრანსკის სახლებში, კლუბის ქვე-მოთ).

ქუთაისში: «დროება-ივერიის» აგენტთან ი. ჭყონიასთან (სილაზედ, მირიან ჭყონიას სახლში.)

ქალაქს გარეშე მცხოვრებთ ჟურნალ-გაზეთი ამ ადრესით უნდა დაიბარონ:

Въ Тифлисъ. Въ Редакцію Дроэба-Иверіи.

## ფასი.

| | 1 წლით. | 6 თვით. | 3 თვით. |
|---|---|---|---|
| «დროება» და «ივერია» ორივე ერთად | 14 მან. | 8 მან. | 5 მან. |
| «ივერია» ცალკე — — | 7 მან. | 4 მან. | 2 მან. |
| «დროება» ცალკე — — | 9 მან. | 5 მან. | 3 მან. |

ჟურნალ-გაზეთის ფული ხელის-მომწერმა დაბარებისა-თანავე უნდა გამოგზავნოს რედაქციაში.

რომელს ხელის-მომწერსაც კი ჟურნალის ნომერი არ მიუვა, უმორჩილესადა ვთხოვთ გვაცნობოს რედაქციაში და ვეცდებით მალე გავუგზავნოთ დაკარგული ნომერი.

რედაქტორები ილ. ჭავჭავაძე და ს. მესხი.